პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი 1926 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 240 (1785)

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. არალოვი რიგაში ჩავიდა.
- პოლონეთის სოც. პარტიის საბჭოში განხეთქილება მოხდა.
- ავსტრიის ახალი მთავრობა ზეიპელმა შეადგინა.
- ინგლისელ მემაღაროეთა ფედერაციამ გააძლიერა კამპანია შტრეიკბრეხერთა წინააღმდეგ.
- ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოთა ბანკირებმა და მრეწველებმა ფინანსიური მანიფესტი გამოაქვეყნეს.
- კანტონი ნაციონალური მთავრობის დროებით სატახტო ქალაქად გამოცხადდა.

პარტიის გამარჯვება

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

კვირას გამოქვეყნებულ „ცენტრალური კომიტეტის განცხადება შინაპარტიულ მდგომარეობაზე" და იმ „განცხადებას", რომელსაც ოპოზიციის ბელადები აწერენ ხელს, უნდა შევხედოთ როგორც მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტებს.

16 ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტებს ღრმა პოლიტიკური აზრი აქვთ, ისინი გამოჰხატავენ პარტიის სრულ, აბსოლუტურ და საუცხოვოდ მიღწეულ გამარჯვებას ოპოზიციაზე. ისინი გამოჰხატავენ ოპოზიციის პოლიტიკურ დამარცხებას, რომელიც სრულიად თვალსაჩინო და ნათელია არა მარტო მთელი პარტიისათვის, არამედ თვით ოპოზიციისათვისაც; რომელმაც ბრძოლა დაიწყო პარტიისა და მისი ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და შეეცადა ბოლშევიკური რიგების ერთობა შეერყია. პარტიის გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის მიღწეული არა ამა თუ იმ განცალკევებული ოპოზიციონური მიმდინარეობის წინააღმდეგ, არამედ ყველა ოპოზიციონური ჯგუფებისა და ფრაქციების ბლოკის, მათი ორგანიზაციულათ მოწყობილი კავშირის, მათი გაერთიანების წინააღმდეგ. თუ 1921 წელს ლენინის ხელმძღვანელობით დაძლეულ იქმნა ეგრეთ წოდებული „მუშათა ოპოზიციის" წვრილბურჟუაზიული გადახრა და დაგმობილ იქმნა შლიაპნიკოვ-მედვედევის მოძრაობა, რომელიც შემდეგ შავრაზმულ მენშევიზმში გადაგვარდა, თუ 1923—1924 წელს პარტიამ გაიმარჯვა ტროცკიზმის წინააღმდეგ, რომელიც აღიარებული იქნა ლენინიზმის რევიზიათ და წვრილბურჟუაზიულ მოძრაობათ, თუ მე-14 ყრილობაზე პარტიამ დაამარცხა და ვაჰკიცხა „ახალი ოპოზიცია",—ახლა გამარჯვება მიღწეულია მთელი ოპოზიციონური ბლოკის წინააღმდეგ, ყველა იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთაც ერთად, შემჭიდროებული ფრონტით გაილაშქრეს ცეკას წინააღმდეგ და პარტია გათიშვის საშიში აჩრდილის წინაშე დააყენეს.

გაერთიანებული ოპოზიცია შემუსვრილია! პარტიამ გაიმარჯვა! პარტიის მთლიანობა შენარჩუნებულია! ის შეურყეველი რჩება! მთელი პარტია ერთი კაცივით აღსდგა ლენინური ცენტრალური კომიტეტის დასაცავად, მას მტკიცე ფოლადის ჯავშანი შემოახვია და გამანადგურებელი კონტრ-იერიშით უპასუხა გამთიშველ ოპოზიციას.

გამარჯვების სახელი სამართლიანად უბრალო პროლეტარ-კომუნისტებს ეკუთვნის. სწორედ მათ ითამაშეს გადამჭრელი როლი პარტიის მთლიანობისათვის ბრძოლაში. სწორედ მათ იგრძნეს კლასობრივი ინსტინქტით ოპოზიციის იდეის არაბოლშევიკური არსება; ისინი მყისვე მიხვდნენ, თუ საით მიჰყავართ ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას. თვითონ მათ, უბრალო—კომუნისტებმა დაზ[illegible] გვიდან ყოველგვარ ლეგენდარულ „აპარატის მუხრუჭის" გარეშე შესძლეს ოპოზიციის შემოტევის უკუგდება და არ მიიღეს ძალით თავს მოხვეული დისკუსია. უბრალო პროლეტარულმა სიტყვამ გაიმარჯვა ოპოზიციის ბელადების მაღალფარდოვან მჭერმეტყველობაზე. სირცხვილი გამთიშველებს! ხელს ნუ გვიშლით მუშაობაში! ხელები შორს ცენტრალურ კომიტეტისაგან! ასეთი ძახილი გაისმოდა ქარხნიდან-ქარხანაში, უჯრედიდან-უჯრედში, „ავიოპრიბორი"-დან „კრასნი პუტილოვეც"-ში. ოპოზიცია იძულებული შეიქნა ქედი მოეხარა ლენინგრადისა და მოსკოვის მუშა-ბოლშევიკების იერიშების წინაშე.

ოპოზიციის ბელადებმა ისტორიული „განცხადება" გააკეთეს 16 ოქტომბერს. იმათ ეს განცხადება გააკეთეს სრული ნებაყოფლობით, ადგილი არ ქონია იძულებას ან „ბრძანებას" ცენტრალური კომიტეტის მხრით. ცეკას პოლიტბიუროს 16 ოქტომბრის ოქმში ნათქვამია შემდეგი: „პოლიტბიურო განუმარტავს ოპოზიციონერ ამხანაგებს, რომ პოლიტბიუროს დღევანდელი გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს ოპოზიციის „განცხადების" უკანასკნელ ტექსტში ამხ. ამხ. ბუხარინისა და მოლოტოვის მიერ შეტანილ შესწორებებს, არ არის სავალდებულო ან, ტროცკის გამოთქმით, „ცეკას ბრძანება" ოპოზიციონერებისათვის, რომელთაც ხელი მოაწერეს განცხადებას, არამედ ანდობს მათ თვითონ გადასწყვიტონ საკითხი მისაღებია პოლიტბიუროს მიერ მოწონებული ესა თუ ის შესწორება მათ „განცხადებაში, თუ არა".

„განცხადება" გულისხმობს ოპოზიციონერ ამხანაგების მიერ მთელ რიგ შეცდომების ნებაყოფლობით აღიარებას და აკისრებს მათ მთელ რიგ ვალდებულებებს პარტიის წინაშე.

ოპოზიციამ დაარღვია პარტიის, მისი ყრილობების, ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილება. ეხლა ოპოზიცია აღიარებს პარტდისციპლინის დარღვევის ფაქტებს და პირობას სდებს მომავალში „უსიტყვოდ დაემორჩილოს" ყველა გადაწყვეტილებებს.

ოპოზიცია პარტიის წინააღმდეგ აწარმოებდა ფრაქციულ ბრძოლას. ეხლა ოპოზიცია სიტყვას იძლევა შესწყვიტოს ყოველგვარი ოპოზიციონური ბრძოლა და დაშალოს ფრაქციული ჯგუფები.

ოპოზიციამ, ბოლშევიკური მე-14 ყრილობა გაუთანასწორა „სტოკჰოლმის" ყრილობას, ე. ი. ჩვენ რიგებს პირდაპირ გათიშვის მუქარა დაუყენა წინ. ეხლა ოპოზიციამ სტოკჰოლმის ანალოგია შეცდარად აღიარა.

ოპოზიცია იდგა ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლების თეორიისა და პრაქტიკის ნიადაგზე (პარტიის „ყველა ყოფილი ჯგუფების" თავისუფლების ლოზუნგი). ეხლა ოპოზიცია აღიარებს, რომ ასეთი თეორია და პრაქტიკა ეწინააღმდეგება ლენინიზმის საფუძვლებს და კისრულობს სინამდვილეში განახორციელოს პარტიის დადგენილება ფრაქციულობის დაუშვებლობის შესახებ.

ოპოზიცია არ სცნობდა საჭიროდ რენეგატ ოსოვსკისაგან გამიჯვნას. ოპოზიციამ ოსოვსკის პარტიიდან გამორიცხვის წინააღმდეგ მისცა ხმა. ეხლა ოპოზიცია იმიჯნება ოსოვსკის ანტილენინური შეხედულებებისაგან.

ოპოზიცია მფარველობას უწევდა შლიაპნიკოვ-მედვედევის ჯგუფს და პირდაპირ ბლოკი ჰქონდა მასთან. ოპოზიციის წარმომადგენელი ამხ. ზინოვიევი უარს აცხადებდა დაეწერა წერილი მედვედევის მემარჯვენე მენშევიკური პლატფორმის წინააღმდეგ და მას სცნობდა „მემარცხენედ". ეხლა ოპოზიცია ჰგმობს მედვედევ-შლიაპნიკოვის შეხედულებებს.

ოპოზიცია სისტემატიურად „ეარშიყებოდა" უკიდურეს მემარჯვენე და უკიდურეს მემარცხენე ჯგუფებს კომინტერნში და მისი „ავტორიტეტით" იფარავდენ და იფარავენ თავს წვრილბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიის მზვერავები, კორშის მსგავსნი, რომელნიც მუშაობას აწარმოებენ მსოფლიო რევოლიუციის შტაბის წინააღმდეგ და ილაშქრებენ საკავშირო კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ეხლა ოპოზიცია იმიჯნება იმ ხალხისაგან, რომელმაც კავშირი გასწყვიტა კომინტერნთან და უარს ამბობს სოლიდარობა გამოუცხადოს ყოველგვარ ფრაქციულ ჯგუფებს კომინტერნში.

პარტია ცენტრალურ კომიტეტთან ერთად კმაყოფილებით იღებს ოპოზიციის განცხადებას ფრაქციული მუშაობის შეწყვეტის შესახებ, მის მიერ შეცდომების აღიარებას და ვალდებულების აღებას, რომ მომავალშიაც თავს შეიკავებს არაბოლშევიკური ყოფა-ქცევიდან. პარტია ყურადღებით ადევნებს თვალს, რომ სავსებით იქმნას შესრულებული ოპოზიციის ყველა ვალდებულებანი პარტიის წინაშე. პარტია მოელის ოპოზიციისაგან, რომ იგი სინდისიერად შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელნიც მან ნებაყოფლობით იკისრა. ახალ დისკუსიით „თამაშობას", პარტდისციპლინის დარღვევას და ახალ ცდას, რომ ჩაშლილ იქმნას პარტიის საქმიანი მუშაობა, პარტია ერთი წუთითაც ვერ მოითმენს. ოპოზიციამ იცის ეხლა მთელი პარტიის აშკარა და მტკიცე ნებისყოფა.

პარტია, როგორც დღემდე, ისე მომავალშიაც კვლავ აწარმოებს შეურიგებელ იდეურ ბრძოლას ოპოზიციის პრინციპიალურ შეხედულებებთან, რომლებსაც ოპოზიცია არ უარჰყოფს. პარტია, როგორც თვალის ჩინს, ისე მოუვლის მთელი თავისი პროგრამისა და პრაქტიკის იდეურ ლენინურ სიწმინდეს და თავს დაიცავს, რომ იგი არ შეირყვნას რომელიმე წვრილ-ბურჟუაზიულ, ტროცკისტულ, მუშურ-ოპოზიციონური და სხვაგვარ იდეოლოგიის ელემენტების გავლენით. ლენინიზმის საფუძვლების განმარტება, ლენინიზმის გავრცელება მასებში, ჩვენი ძვირფასი იდეური იარაღის გალესვა წვრილ-ბურჟუაზიულ ოპოზიციონურ გადახრათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის—კვლავ რჩება პარტიის პირველ ხარისხოვან ამოცანად. იდეური ბრძოლის წარმოება ოპოზიციის წინააღმდეგ, პარტიული მასისათვის 1926 წლის ოქტომბრის გაკვეთილების გადაცემას და ამასთან ერთად ძალების მაქსიმუმის დახარჯვა ძირითადი ყოველდღიური მუშაობისათვის, რომელიც სოციალისტური აღმშენებლობისათვის სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში,—ასეთია ჩვენი ამოცანა.

პარტიამ გაიმარჯვა! იგი მთლიანი დარჩა. როგორი სასიხარულო ღმუილი შექმნეს რევოლიუციის მტრებმა, საზღვარგარეთელმა ბანკირებმა, ფაბრიკანტებმა და კაპიტალისტური პრესის ბანდიტებმა, როცა მათ შეიტყვეს, რომ „ჩხუბი" დაიწყო საკავშირო კომპარტიაში. კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის მტრების ერთად-ერთი იმედი ხომ სწორედ ესაა, რომ გაძლიერდეს წინააღმდეგობანი საკავშირო კომპარტიის რიგებში. შინაგან წინააღმდეგობათა ზრდამ ჩვენს პარტიაში, მისი მთლიანობის შერყევამ და მისი რიგების გათიშვამ, ჩვენი მტრების აზრით, უნდა ააფეთქოს პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა. მაგრამ ჩვენი მტრების იმედები ამ შემთხვევაშიაც გაცრუვდა. საბჭოთა წყობილებისა და პროლეტარული რევოლიუციის მოძულეთა ვერაგული იმედები ვერ ჰპოვებენ განხორციელებას. პარტია დარჩა და ყოველთვის იქნება მთლიანი, ისეთი მთლიანი, როგორც წინად იყო. ლენინის მძლავრმა საკავშირო კომპარტიამ გაიმარჯვა, ვინაიდან მუშა ბოლშევიკებმა მტკიცე ზღუდე აღმართეს მთლიანობის დასაცავად.

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 20 ოქტომბერი.

მზადება მოსახლეობის აღწერისათვის

მზადება მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის კარგა ხანია რაც დაიწყო. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა გამოსცა სპეციალური დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც ხელს შეუწყობენ აღწერის წარმატებით განხორციელებას („კომუნისტი" № 238) ამ დადგენილებაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, აფხაზეთის, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრებათ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ორგანოების მონაწილეობით ჩაატარონ საგიტაციო კამპანია, რათა მოსახლეობა გაეცნოს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიზანს და მის წარმოების წესს".

მართლაც, მოსახლეობის აღწერა უნაკლოდ და საფუძვლიანად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩატარდეს, თუ ფართო მასსა საამისოდ მომზადებული იქნება, თუ ის კარგად გაეცნობა აღწერის დანიშნულებას და მის ორგანიზაციას; მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიხდის პირნათლად თავის მოვალეობას მოსახლეობა აღწერასთან დაკავშირებით და აქტიურად დაგვეხმარება ამ საქმეში. უამისოდ, მარტო სტატისტიკის მუშაკთა საალწერო მუშაობით, სასურველ შედეგებს ვერ მივიღებთ, როგორადაც არ უნდა იყოს ეს მუშაობა შესრულებული.

რა მიზანს ისახავს მომავალი აღწერა, რა უნდა მოგვცეს მან? აღრიცხვა, გეგმიანი სოციალისტური მშენებლობის ერთი ძირითადი პირობათაგანია. ამიტომაა, რომ აღრიცხვის საქმის დაყენებას საბჭოთა ხელისუფლება ასე დიდ ყურადღებას აქცევს. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მდგომარეობისა და დინამიკის გამოკვლევასთან ერთად, უაღრესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მოძრაობისა და მისი რეალური შემადგენლობის შესახებ უტყუარი სურათის დახატვას. თუ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის მდგომარეობაზე, მთელი რიგი გამოკვლევების წყალობით, დაახლოვებით სწორი ცნობები მოგვეპოვება, ეს ოდნავადაც არ ითქმის მოსახლეობის მოძრაობის შესახებ. ამიტომ პირველ რიგში უკანასკნელის შესწავლაა გადაწყვეტილი.

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა მოხდა 1920 წ. (რუსეთში). ეს ის დრო იყო, როცა ქვეყანა სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული, მრავალ ალაგას ფრონტი იყო გაშლილი, მოსახლეობის მოძრაობა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა განუწყვეტლივ სწარმოებდა, ტერიტორიაც არ იყო მუდმივი. ასეთ პირობებში აღწერა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა სწორად ჩატარებული ყო.

უფრო აღსანიშნავი ის არის, რომ ამ აღწერით მიღებული მასალები ძალზე მოძველდა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ და ცხოვრების მშვიდობიან კალაპოტში ჩაყენებამ მთელი რიგი არსებითი ცვლილებები მოახდინა მოსახლეობის რიცხვობრივ, სოციალურ და პროფესიულ მდგომარეობაში, რის გათვალისწინება აუცილებელია.

საქართველოში სოფლის მოსახლეობის სპეციალური აღწერა სრულებითაც არ მომხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1897 წ. აღწერას. 1922 წ. ჩატარებულ საქალაქო აღწერას მრავალი ნაკლულევანებანი ახლავს. გარდა ამისა, ამის შემდეგ განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ქალაქების მოსახლეობაშიც დიდი ცვლილებები მოხდა. ამიტომ, ჩვენში საყოველთაო აღწერის ჩატარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

სახელდობრ, რანაირია ეს მნიშვნელობა? ჩვენ ვთქვით, რომ აღრიცხვა გეგმიანი მშენებლობის საფუძველია. ეს დებულება ერთნაირად უდავოა არა მარტო სახალხო მეურნეობის, არამედ მოსახლეობის აღწერის დარგშიაც. ავიღოთ, მაგ., მოსახლეობის სამრეწველო საქონლით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მომარაგების, მათი სწორად განაწილების ამოცანა, რომლის გადაჭრა ხელისუფლების საზრუნავ საქმეს შეადგენს. განა შეიძლება გამოვარკვიოთ, თუ რამდენი საქონელი ესაჭიროება მოსახლეობას, სად რამდენი უნდა მივაწოდოთ ის, თუ დაწვრილებით არ გვეცოდინება მოსახლეობის შემადგენლობა?

ავიღოთ სახალხო განათლების საქმე. ჩვენ დღეს მიზნად გვაქვს დასახული საყოველთაო სავალდებულო განათლების შემოღება. ამ მხრივ საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენი სასკოლო ჰასაკის ბავშვი მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში, როგორია დაბადების პროცენტი, რამდენია წერა-კითხვის უცოდინარი და სხ.

ასევე ითქმის ჯანმრთელობის საქმეზე. ხალხის ფიზიკური გაჯანსაღება, სამკურნალო ქსელის მიზანშეწონილი მოწყობა გულისხმობს მოსახლეობის რიცხვის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობის ზედმიწევნით ცოდნას. საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა ყველასათვის ცნობილია. სხვათა შორის, მართვა-გამგეობა და სწავლება მშობლიურ ენაზე ამ პოლიტიკის ძირითადი ელემენტებია. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ამ ჟამად ჩვენს წინაშე დგას ტერიტორიის დარაიონების ამოცანა ეკონომიური ნიშნების მიხედვით, ამავე დროს, ცხადია, სათანადო ანგარიში გაეწევა ნაციონალურ მომენტს. ყველაფერი ეს მოითხოვს მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობის სისწორით განსაზღვრას.

აღწერა ამასთან გამოარკვევს მოსახლეობის სოციალურ და პროფესიულ შემადგენლობას. ამ მხრივ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში საგრძნობი დიფერენციაცია მოხდა, რომლის შესწავლა ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის სწორად გატარების საწინდარი იქნება. აღწერის საშუალებით, კერძოდ, გამოირკვევა მუშა ხელის რაოდენობა, უმუშევართა რიცხვი, რაც საფუძვლად დაედება უმუშევრობასთან ბრძოლის და გადასახადების საქმეს, რაც ჩვენს წინაშე დღეს მწვავედაა წამოჭრილი.

ამნაირად, მომავალი აღწერის მნიშვნელობა უაღრესია და მრავალფეროვანი. მის წარმატებით ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული გეგმიანი მშენებლობის განვითარება და მშრომელ მასების სამეურნეო-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მოსახლეობა ცხოვლად უნდა იყოს დაინტერესებული აღწერის უნაკლოდ განხორციელებაში.

თავისთავად ცხადია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა მეტად რთული და ძნელი საქმეა. გარდა ხალხის მისდამი შეგნებული დამოკიდებულებისა, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო წინასწარი საგიტაციო კამპანიის ჩატარებით, აუცილებელია პირველ ყოვლისა აღმწერლების შესაფერისად შერჩევა. სტატისტიკის სამმართველოს გამოანგარიშებით, ამისათვის საჭიროა 4.500 რეგისტრატორი. ამოდენი აღმწერელთა შოვნა ადვილი არ არის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ცაკის ხსენებულ დადგენილების იმ ადგილის, რომლის მიხედვით საალწერო მუშაობაში ჩაბმული მასწავლებლობა აღწერის პერიოდის განმავლობაში განთავისუფლებულ უნდა იქნას თავის პირდაპირ მოვალეობისაგან და აგრეთვე ყოველ დაწესებულებას ევალება გაანთავისუფლოს სტატისტიკის ორგანოების მიერ გამოწვეული ყოველი თანამშრომელი, რომელსაც გამოცდილება აქვს სტატისტიკაში და რომელიც აღწერაში მონაწილეობის მიღების სურვილს განაცხადებს. რა თქმა უნდა, ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული აღწერისათვის გამოყოფილ პირების მომზადებისათვის, მათთვის ვრცელ ინსტრუქციების მისაცემად.

ჩვენ არ ვილაპარაკებთ აღწერასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტეხნიკურ საკითხებზე, რომელთა დროზე და სათანადო გადაჭრას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ დაინტერესებულმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედონ.

აღწერამდე ბევრი დრო არ არის დარჩენილი, ის ჩატარდება ა. წ. 17 დეკემბერს. მანამდე მოსახლეობის დაკითხვა იწარმოებს ქალაქებში 7 დღე, სოფლებში—14 დღე საჭიროა ამ თავითვე საგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობის ფართედ გაშლა. მხოლოდ გაძლიერებული მუშაობით, მოსახლეობის აქტიური დაინტერესებით და მისი ნდობის განმტკიცებით აღწერისადმი, აღმწერელთა კადრის შესაფერი შერჩევით და აღწერასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ და ორგანიზაციულ საკითხების დროზე მოგვარებით მივაღწევთ სათანადო შედეგებს, მივიღებთ უტყუარ მასალებს მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ჩვენი გეგმიანი სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

კანონიერება შრომის დაცვის საქმეში

ამ.-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კონფლიქტების გარჩევის დროს ხშირად არ არის სისწორით დაცული შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები, რის გამო ილახება დაქირავებულ მუშა-ხელის ინტერესები და სახელმწიფოც ნივთიერად საგრძნობლად ზარალობს. ამიტომ ხსენებულმა კომისარიატმა ამ დღეებში გამოსცა ცირკულიარი „შემარიგებელ-საკონფლიქტო ორგანოების გადაწყვეტილებებზე მეთვალყურეობის გაძლიერების შესახებ", რათა აღმოფხვრილ იქნას კანონიერების დარღვევის შემთხვევები შრომითი ურთიერთობის დარგში.

შრომითი კონფლიქტებს ბლომად წააწყდებით ჩვენს სინამდვილეში. შრომითი ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულ საჩივრებით სავსეა შემარიგებელ-საკონფლიქტო დაწესებულებები. აღსანიშნავია, რომ საჩივრების გარჩევა და საბოლოო გადაწყვეტა ხშირად ჭიანურდება, საქმეები „მოგზაურობს" ერთიდან მეორე ინსტანციაში არა იშვიათად მთელი თვეების განმავლობაში, სანამ მათ დასასრული მიეცემოდეს. ამაზე დიდ დროს კარგავენ როგორც დაინტერესებული მუშა-მოსამსახურენი, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენელნი. კონფლიქტების მოგვარების გაჭიანურება უკმაყოფილებას იწვევს მუშებში, რომელთაც ასეთები აღძრეს, აგრეთვე დანარჩენ მუშებშიც, რომელნიც მათთან ერთად მუშაობენ; დაწესებულება-წარმოებებს აქედან უმრავლეს შემთხვევებში მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მოსდის, რამდენადაც როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კონფლიქტები მეტ წილად მუშების სასარგებლოდ თავდება და წარმოების ადმინისტრაციას უხდება სათანადო ხარჯების ანაზღაურება; ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მუშებისათვის კონფლიქტების გადაწყვეტის გაჭიანურება ხშირად პირდაპირ აუტანელ მდგომარეობას ქმნის.

ამ მხრივ გაზ. „ტრუდ"-ს საგულისხმო მაგალითი მოყავს. მოსკოვის ერთ-ერთ სახ. ქარხნიდან ადმინისტრაციამ 1925 წ. 17 აპრილს ორი მუშა დაითხოვა რაღაც მიზეზის გამო. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ ეს დათხოვნა დაადასტურა. დათხოვნილებმა შემფ.-საკ. კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სატარიფო-საკონფლიქტო ქვეგანყოფილებაში, რომელმაც 1925 წ. 4 მაისს გააუქმა ხსენებული გადაწყვეტილება, როგორც უკანონო, ვინაიდან დათხოვნილთა მოქმედება შინაგან განწესრიგების წესების დარღვევას წარმოადგენდა და ამისათვის სამუშაოდან მოხსნა შეუძლებელი იყო. 8 მაისს შემფ.-საკ. კომისიამ საქმე კვლავ განიხილა და ისევ დაადასტურა თავისი წინანდელი დადგენილება. 14 მაისს სატარიფო-საკონფლიქტო ქვეგანყოფილებამ საქმე გადაუგზავნა შრომითი სესიას, რომელმაც სცნო რა დათხოვნა უკანონოდ, 2 ივნისს დაადგინა: დათხოვნილები აღდგენილ იქნენ თავის თანამდებობაზე, დაბრუნებულ იქნენ უკან სამუშაოზე და მიეცეთ მათ იძულებით გაცდენილ დროის სრული ხელფასი. მაგრამ ადმინისტრაციამ ჯიუტობა გამოიჩინა და შრომითი სესიის დადგენილებაზე აღძრა საკასაციო საჩივარი, რომელიც საგუბერნიო სასამართლომ 14 ივნისს უშედეგოდ დასტოვა. ამის შემდეგაც ადმინისტრაცია შეეცადა საქმის გაუქმებას უმაღლესი პროკურატურის საშუალებით. და მხოლოდ ოქტომბერში ის იძულებული გახდა,—როცა ყველა ინსტანციები მოიარა და ვერსად ვერაფერი გააწყო,—უკან მიეღო მუშები და გადაეხადა მათ სასარგებლოდ 2.000 მანეთზე მეტი.

მსგავს მაგალითებს უეჭველია ჩვენშიც წააწყდებით. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ კანონიერების გატარება შრომითი ურთიერთობის დარგში და საკონფლიქტო პრაქტიკა საგრძნობლად მოიკოჭლებს. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზები?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მუშათა მასების გაურკვევლობა შრომის კანონმდებლობაში; კიდევ მეტი: ამ კანონმდებლობას ნაკლებად იცნობენ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები და დაწესებულება-წარმოებათა ხელმძღვანელები. შრომითი ურთიერთობის სირთულე და მრავალფეროვანება იწვევს შრომის კანონმდებლობის ზრდას. გარდა ამისა არსებობს მრავალი ცალკე განმარტება შრომის კანონებისა, რამდენადაც მათი გამოყენება ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში იწვევდა დავას და გაუგებრობას. მისაღებია მხედველობაში ჩვენი კანონების რედაქცია და ენა, რომელიც ალაგ-ალაგ ბუნდოვანია და საჭირო სიცხადეს მოკლებული. ყველაფერი ეს აძნელებს მასების მიერ კანონმდებლობის საფუძვლიანად შეთვისებას.

შრომის კანონმდებლობისათვის თავის მოყრა, მისი გამარტივება და ენის მხრივ დაწმენდა დიდად შეუწყობს ხელს კონფლიქტების რიცხვის შემცირებას და მათი გადაჭრის დაჩქარებას.

ყურადღება უნდა მიექცეს მასების იურიდიულ მომზადებას, შრომის კანონმდებლობის ფართე პოპულიარიზაციას, უწინარეს ყოვლისა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშური ნაწილის გაცნობას შრომის კანონმდებლობასთან. ამ მხრივ განსაკუთრებული მოვალეობა აწევს პროფკავშირებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშური სექტორისათვის სათანადო პირების შერჩევას, როგორც მომზადების მხრივ, ისე იმ მხრივ, რომ ისინი მედგრად უნდა იდგენ მუშების კანონიერ უფლებების და ინტერესების სადარაჯოზე. აღსანიშნავია, რომ შემფ.-საკ. კომისიის მუშური შემადგენლობა კონფლიქტებს ხანდახან უსაფუძვლოდ სწყვეტს მუშების საზიანოდ, და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ის კარგად ვერ ერკვევა არსებულ კანონებში, არამედ იმიტომაც, რომ ზოგჯერ ადმინისტრაციის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება და არ სურს მას „აწყენინოს". ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

დასასრულ, როგორც ზევით ვსთქვით, დაწესებულებათა გამგენიც ხშირად არ იცნობენ შრომის კანონმდებლობას და კონფლიქტები არა იშვიათად ამ ნიადაგზე წარმოიშობა. დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ვალდებული არიან შრომის კანონები იცოდენ. მათ უნდა შეიგნონ, რომ კანონის უცოდინარობით არ შეიძლება მისი დარღვევის გამართლება და პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. მაგრამ ყველაზე უფრო ხაზგასასმელი ის არის, რომ ესა თუ ის გაბიუროკრატებული ადმინისტრატორი ჯიუტობას იჩენს კონფლიქტების გარჩევის დროს და ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავს თავისი შემცდარი თვალსაზრისის დასაცავად. „ტრუდ"-იდან მოყვანილი მაგალითი ამის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს. ასეთი ჯიუტობა კი, გარდა იმისა, რომ მუშებში უკმაყოფილებას ასაზრდოებს, სახელმწიფოს დიდ ნივთიერ ზიანს აყენებს. ასეთი ჯიუტობისათვის ადმინისტრატორს უნდა დაეკისროს პირადი და ნივთიერი პასუხისმგებლობა დისციპლინარული წესით. ეს მას შემდეგისთვის შრომის კანონების დარღვევის ხალისს დაუკარგავს და საკონფლიქტო ორგანოების პრესტიჟსაც აწევს მუშათა მასებში.

ბ. კ—ლი.

ახლო მომავალში დაიწყება მოლაპარაკება ლატვიასთან საგარან. ხელშეკრ. შესახებ

გაიხსნა ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია.—ინგლისის პრესა კონფერენციის შესახებ

საალყო წესები შანხაიში და ნანკინში.—ჩან-ძო-ლინი ჯარებს აგროვებს კანტონის წინააღმდეგ

მოლაპარაკება ლატვიასთან

ამხ. არალოვის განცხადება

რიგა, 19 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი არალოვი ჩავიდა რიგაში, სადაც იგი ლატვიის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს საგარანტიო ხელშეკრულების დასადებათ.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში არალოვმა განაცხადა:

„მე ეჭვი არ შემდის, რომ მალე მივაღწევთ შეთანხმებას, ვინაიდან ლატვიის ინტერესი მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიური სტრუქტურის გამო მოითხოვს, რომ მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა კავშირის მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი [illegible] ლატვიის ხალხის ბედ-იღბალს და ამიტომ იგი დიდის კმაყოფილებით შეხვდა საგარანტიო ხელშეკრულობის დადებას ლატვიასთან, რომელიც შექმნის მტკიცე საფუძველს ორთავე ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური და კულტურული, არამედ ეკონომიური დაახლოებისათვის.



ამხ. არალოვი
ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი

მდგომარეობა ჩინეთში

შანხაისთან

პეკინი, 19 ოქტომბერი. შანხაიდან მიღებული ცნობით პროვინცია ჩე-ციანის გუბერნატორმა სია-ჩაომ, რომელიც აჯანყდა სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ და შეეცადა შანხაი მოულოდნელად ხელში ჩაეგდო, მიზანს ვერ მიაღწია. სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა დროზე მოასწრეს შანხაი—ჩანჟუსის რკინის-გზის გადაჭრა და ჩე-ციანის ჯარების წინსვლის შეჩერება. იუწყებიან, რომ ჩე-ციანის ჯარებმა მიაღწიეს სუნ-ციან-ფუს 20 მილის დაშორებით შანხაის სამხრეთით და შევიდენ სინ-ჩუანში, სადაც არის შანხაის არსენალი. მიუხედავათ ამისა სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა რამოდენიმე შეტაკების შემდეგ შეაჩერეს ჩე-ციანის ჯარების წინსვლა სინ-ჩუანის რაიონში. შანხაისა და ნანკინში გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა. სუნ-ჩუან-ფანის ხელისუფლებამ შანხაიში დახურა სტუდენტების კავშირი, რამოდენიმე პროფკავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მობილიზაცია მუკდენში

პეკინი, 19 ოქტომბერი. იუწყებიან, რომ მუკდენილები აგროვებენ ორას ათასიან არმიას სამხრეთში გასაგზავნად. მიღებული ცნობების თანახმად შანდუნის ჯარები დაიძრენ ადგილიდან. ჩანძო-ლინთან დაახლოვებული გაზეთი „ხუანბაო" მოითხოვს შანდუნის ჯარების დაუყოვნებლივ გაგზავნას პროვინცია ციან-სუში, რომ ეს პროვინცია ხელში არ ჩაუგდონ კანტონელებს.

ბრძოლა ბოლშევიკური პროპაგანდის წინააღმდეგ

ხარბინი, 19 ოქტომბერი. პოლიციამ მოახდინა გადასინჯვა საბჭოთა კავშირიდან მიღებული წიგნებისა და ჟურნალებისა მუშათა კლუბებში, სამკითხველოებში და წიგნთსაცავებში. პოლიციამ კონფისკაცია უყო ჟურნალ „რაბოჩი პუტს" და აკრძალა კითხვა „პროჟექტორის", „პუშკა"-ს, „აგანიოკ"-ის და საბჭოთა სხვა გამოცემების. აღმოს. ჩინეთის რკინის-გზის კიოსკებიდან წაიღეს საბჭოთა გამომცემლობის რამოდენიმე ათასი წიგნი. კონფისკაციის საბაბია ბრძოლა ბოლშევიკური პროპაგანდის წინააღმდეგ.

დატყვევებულია ვაგონ-ბიბლიოთეკის გამგე ვოლკოვი და სადგურ ხაილერის სამოსწავლო კომიტეტის თავმჯდომარე გონჩაროვი.

კანტონი—ნაციონალური მთავრობის დროებითი დედაქალაქია

პეკინი, 19 ოქტომბერი. კანტონში გაიხსნა გომინდანის მორიგი კონფერენცია.

გადაწყვეტილია ნაციონალური მთავრობის სამყოფ ადგილად ჯერ-ჯერობით დარჩეს კანტონი.

ზეიპელის კაბინეტი

ბერლინი, 20 ოქტომბერი. ვენიდან მიღებული ცნობით, დოქტორმა ზეიპელმა შეადგინა ავსტრიის ახალი კაბინეტი. ვიცე კანცლერად დანიშნულია პანგერმანისტების პარტიის ბელადი და ეროვნული კრების ყოფილი თავმჯდომარე დოქტორი დინგჰოფერი.

საფრანგეთის მემაღაროეთა გაფიცვა

პარიზი, 20 ოქტომბერი. ვიის, მონტინის, ჟაიონეს და პადეკალეს სამთამადნო მუშებმა, ადმინისტრაციის მიერ დადებულ ჯარიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს გაფიცვა.

პილსუდსკი და „სოციალისტები"

განხეთქილება პეპეესოველთა საბჭოში

ვარშავა, 20 ოქტომბერი. ორი დღის კამათის შემდეგ პეპეესოველთა საბჭოში გაიმარჯვა მემარჯვენე ფრთამ. საბჭო თავის შეკავების პოზიციას დაადგა პილსუდსკის მთავრობის მიმართ. პასუხისმგებლობა მთავრობაში პეპეესოველ მორაჩევსკის შესვლაზე საბჭომ დააკისრა უკანასკნელს და განუცხადა, რომ ის ამ შემთხვევასთან სრულიად არ არის დაკავშირებული.

ამჟამად საბჭო დაყოფილია სამ ჯგუფად: მემარცხენე ჯგუფი, 7 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობს ზარემბა, მოითხოვს პარტიის გადასვლას ოპოზიციაში; ცენტრის ჯგუფი—ყველაზე მრავალრიცხოვანი, ბალიცკის მეთაურობით და მემარჯვენე ჯგუფი, პილსუდსკის მომხრე, დაშინსკისა და იავორსკის მეთაურობით.

არჩევნები სეიმში

ვარშავა, 20 ოქტომბერი. პიასტოველთა კულაკური პარტიის ბელადმა, ყოფილმა პრემიერმა ვიტოსმა, ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა, რომ მოკლე ხანში ჩატარდება ახალი არჩევნები სეიმში.

ერთმანეთს ატყუებენ

ბერლინი, 20 ოქტომბერი. განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში გერმანიამ შეიტანა წინადადება, რომ გაუქმებულ იქმნას შხამიანი გაზების ხმარება ომში. საფრანგეთმა შეიტანა წინადადება, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო გამოიყენებს შხამიან გაზებს, მაშინ ყველა სხვა სახელმწიფონი, რომელნიც ცნობილნი არიან „ქიმიურ სახელმწიფოებად", უნდა გაერთიანდენ ამ თავდამსხმელ სახელმწიფოს წინააღმდეგ. საფრანგეთის წინადადებას მხარს უჭერდენ აგრეთვე პოლონეთი და ფინეთი.

ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია

გაზეთების აზრი

ლონდონი, 19 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს ლონდონში გაიხსნა ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია ყველა თვითმმართველი დომინიონების პრემიერთა და აგრეთვე ინგლის-ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელის მონაწილეობით.

პრესა აღნიშნავს, რომ კონფერენციაზე განხილული იქნება ბრიტანეთის იმპერიისათვის ერთი არსებითი პრობლემათაგანი, სახელდობრ დომინიონებისა და ინგლისის ურთიერთობის საკითხი საერთაშორისო პოლიტიკის დარგში.

ზოგიერთი გაზეთები აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანეთის იმპერიის ცალკე ნაწილებს შორის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში შეთანხმება არ იქნება, მაშინ ინგლისის მთავრობის ომში ჩაბმამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ამ გარდაწყვეტილებით უკმაყოფილო დომინიონებს შეეძლებათ ფაქტიური დამოუკიდებლობის შექმნა, ნეიტრალიტეტის გამოცხადების გზით. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს კონსტიტუციით ომი შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ ირლანდიის პარლამენტის განსაკუთრებული დადგენილებით და უმატებენ, რომ იგივე პრინციპია გატარებული სხვა დომინიონთა მინისტრების დეკლარაციებში.

გაზეთების აზრით, დომინიონების უმრავლესობას ამის გამო არ შეუძლია თავისი სუვერენულ უფლებათა წინასწარი განსაზღვრა იმით, რომ იკისრონ ვალდებულება ომის დროს. ამით აიხსნება ის გულგრილობა, რომელსაც დომინიონები იჩენენ ლოკარნოს ხელშეკრულებით დაწესებულ გარანტიებისადმი.

ბოლდუინის სიტყვა

ლონდონი, 19 ოქტომბერი. საიმპერიო კონფერენციაზე ბალდუინმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც განაცხადა:

„არც ერთ დარგში არასოდეს არ ყოფილა საჭირო იმპერიის ცალკე ნაწილების მთავრობებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგება, როგორც საგარეო პოლიტიკის დარგში. საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხს ამ კონფერენციაზე წარმოადგენს იმპერიის ცალკე ნაწილებს შორის არსებული კავშირის სისტემის შემდგომი გაუმჯობესება.

თავდაცვის დარგშიც წამოჭრილია ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ დაწვრილებით, შეთანხმებულ განხილვას.

რაც შეეხება საიმპერიო ვაჭრობის და გადასახადის საკითხს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი მთავრობა, თავის ქვეყნის ეკონომიური გასაჭირის განხილვის დროს, მხედველობაში მიიღებს საერთო საიმპერიო ვაჭრობის განვითარებასაც".

ჩემბერლენის მოხსენება

კონფერენციის 20 ოქტომბრის სხდომა მთლიანად მოუნდება ჩემბერლენის მოხსენებას საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ჩემბერლენის მოხსენება არ იქნება გამოქვეყნებული.

გაფიცვა ინგლისში

კამპანია შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ

ლონდონი, 20 ოქტომბერი. ბასფორდში (ნოტინგამშირი) გაიმართა სრულიად ინგლისის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა შტრეიკბრეხების საწინააღმდეგო კამპანიის მოწყობის საკითხი. უფრო შტრეიკბრეხერულ რაიონებში. კუკი, სმიტი და სამთამადნო მუშათა ფედერაციის სხვა წარმომადგენლები გამოვიდენ 18 მიტინგზე სამთამადნო მუშათა სხვადასხვა სამოსახლო ადგილებში. ორატორთ ყველგან მხურვალედ ეგებებოდნენ. სამთამადნო მუშათა სრულიად ინგლისის ფედერაციის აღმასკომის წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ გამართული ნოტინგამშირის ფედერაციის აღმასკომთან; თათბირმა დაადგინა გატარდეს სრულიად ინგლისის ფედერაციის პოლიტიკა. ნოტიმგამშირის აღმასკომმა დაადგინა, აგრეთვე, გააუქმოს დადგენილება აღმასკომის შემადგენლობიდან სამუშაოზე დაბრუნებულ დელეგატების გამორიცხვის შესახებ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი მიემხრობიან გაფიცვას. დღეს ნოტინგამშირში მუშაობს 13.00 მემაღაროეთ ნაკლები, ვიდრე წინედ. „დეილი ჰერალდის" ანკეტიდან სჩანს, რომ მთელ რიგ მაღაროებში, სადაც მუშაობს 13.000 მუშა, მუშაობა განაახლა მხოლოდ 11 მუშამ. დალტონში (იორკშირის ერთი მთავარი სანახშირო კანტონი) ცხენოსანი არტილერია ესროლა ჯოხებითა და ქვებით შეიარაღებულ მემაღაროებს, რომლებიც შტრეიკბრეხერების საწინააღმდეგო დემონსტრაციას მართავდენ.

უნაყოფო მოლაპარაკება

ინგლის-გერმანიის მრეწველთა თათბირის შემდეგ

ბერლინი, 19 ოქტომბერი. ბერლინის წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისისა და გერმანიის მრეწველების თათბირმა რომში მნიშვნელოვანი შედეგები ვერ მოიტანა, თუ არ ჩავთვლით კომისიის დაარსებას აღძრული საკითხების შემდეგში განხილვისათვის და შეთანხმებას მომავალში ასეთი კონფერენციების მოწვევის შესახებ. მთელს თათბირს უფრო დემონსტრაციის ხასიათი ჰქონდა, მისი მიზანი იყო დაემტკიცებია, რომ საფრანგეთ-გერმ. ეკონომიური შეთანხმება არაა მიმართული ინგლისის წინააღმდეგ.

მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ თათბირზე არ იყვნენ წარმოდგენილნი გერმანიის მხრივ არც რკინის ინდუსტრია, არც სამთამადნო მრეწველობა, თუმცა სწორედ ამ დარგშია უფრო ძლიერი კონკურენცია ინგლისსა და გერმანიას შორის. აგრეთვე არ იყო წარმოდგენილი გერმანიის საფეიქრო მრეწველობაც (ესეც უდიდესი კონკურენციის დარგია). განსაკუთრებულის სიძლიერით იყო წარმოდგენილი გერმანიის ქიმიური მრეწველობა და ორთავე მხარის ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობა. ცნობილია რომ უკვე ხუთი წელიწადია რაც გრძელდება მოლაპარაკება ინგლისისა და გერმანიის ქიმიური მრეწველობის შორის, მაგრამ მას დღემდე არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია. გერმანიის სამღებრო ტრესტმა კი ხელმძღვანელი მდგომარეობა დაიჭირა მსოფლიო ქიმიურ მრეწველობაში. ასეთ პირობებში სრულიადაც არაა ადვილი შეთანხმების მიღწევა ინგლისისა და გერმანიის ქიმიურ მრეწველობის შორის.

რომში დასახული გეგმის შესახებ, რომლის მიხედვით მთლიანი ფრონტი უნდა შეიქნას გერმანიის მრეწველობისა და ინგლ.-ამ.-კის ფინანსიურ ბაზარს შორის, ეკონომიური ურთიერთობის დასამყარებლად საბჭოთა კავშირთან, აქაურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს აზრი ახალი არ არის. შახტი გერმანიის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე, ამერიკაში გამგზავრების დროსაც სცდილობდა ასეთი მთლიანი ფრონტის შექმნას. როგორ შედეგებს გამოიღებს ამ მხრივ რომში გამართული თათბირი—ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ყოველ შემთხვევაში „რუსეთის საკითხი" დღის წესრიგის ერთი უმთავრესი საკითხთაგანი იყო.

მეორე შეხვედრა

ბერლინი, 18 ოქტომბერი. „ბერლინერ-ბერზენ-კურირ"-ის ცნობით, ნოემბერში მოხდება ინგლისელ და გერმანელ ფინანსისტების და მრეწველების მეორე შეხვედრა.

საფრანგეთი და გერმანია

რკინის-გზებზე კონტროლის საკითხი

პარიზი, 20 სექტემბერი, ფრანგული გაზეთების ცნობით, გერმანიის მთავრობამ თავის ელჩს პარიზში, ფინ-გეშს წინადადება მისცა განუცხადოს საფრანგეთის მთავრობას და, აგრეთვე, მოკავშირეთა უზენაეს კომისიას, რომ ოკუპაცია ქმნილ ოლქების რკინის-გზებზე არსებული სამხედრო კონტროლი აუტანელია გერმანიისათვის და, რომ კონტროლის ასეთი ფორმა ეწინააღმდეგება თანამშრომლობის სურვილს.

იტალიელ ფინანსისტების განცხადება

რომი, 20 ოქტომბერი. 180 საერთაშორისო ფინანსისტის დეკლარაციასთან ერთად, რომელშიც ისინი მოითხოვენ საბაჟო შეზღუდვის გაუქმებას, გამოქვეყნებულია ამ დეკლარაციაზე ხელისმომწერ ათ იტალიელ ფინანსისტისა და მრეწველის ცალკე განცხადება.

იტალიელთა განცხადება ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მათ ეშინოდეთ საერთაშორისო ეკონომიურ კომბინაციებიდან გათიშვისა. იტალიელები მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ საერთაშორისო ფინანსისტების დეკლარაციით არ არის დაგმობილი პროტექციონიზმის სხვა ფორმები, გარდა საბაჟო გადასახადებისა. იტალიელები უკმაყოფილონი არიან ნედლეულის მონოპოლიის მფლობელთა მიერ ნედლეულობის განაწილების სისტემით, როცა ერთ სახელმწიფოს უპირატესობა ეძლევა მეორის მიმართ.

ხორტის სამფლობელოში

ვენა, 19 ოქტომბერი. ჰუნგრეთის სამ მუშას, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ ლიტოგრაფიული სტამბის საშუალებით დაებეჭდათ სტალინის წიგნი „ლენინისა და ლენინიზმის შესახებ" მიუსაჯეს ორი წლით იძულებითი სამუშაო, ვინაიდან „მათ დაარღვიეს კანონი სახელმწიფოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესიერების შესახებ". სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

იტალიის იმპერიალიზმი აფრიკაში

რომი, 18 ოქტომბერი. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გრანდიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამ დღეებში დადებული ხელშეკრულება იტალიისა და იემენს შორის, შედის იტალია-ინგლისის შეთანხმებულ პოლიტიკის ჩარჩოებში წითელ ზღვაზე; ეს ხელშეკრულება განხილული იქმნა მუსოლინის ჩემბერლენთან შეხვედრის დროს.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანო, „დეილი ტელეგრაფი" 29 სექტემბრის ნომერში ზემოხსენებულ ხელშეკრულების შესახებ შემდეგს იუწყება: იტალიის კოლონიის ერიტრეის (წითელი ზღვის სამხრეთ დასავლეთის ნაპირზე, ინდოეთის ოკეანეში შესავლელადგილთან) გუბერნატორმა გასპარიმ იემენის (წითელი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, ერიტრეის პირდაპირ) ხელისუფლებასთან ორი კვირის მოლაპარაკების შემდეგ დასდო მნიშვნელოვანი ეკონომიური ხელშეკრულება, რომლის მიხედვით იტალიას ეძლევა დიდი ეკონომიური სარგებლობა. თუმცა დაწვრილებით ხელშეკრულების შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ აშკარაა, რომ იტალია დაპირდა ამ ქვეყნის მფლობელს იმამ იახაიასა მიაწოდოს მას სხვადასხვაგვარი საფაბრიკო ნაწარმოები და მოწყობილობა; შესაძლებელია, რომ აქ ლაპარაკია იემენს სამხედრო ძალების გასაძლიერებელ საშუალებებზეც.

„ეს შეთანხმება—განაგრძობს გაზეთი—არის იმ მისწრაფების მიღწევა, რომელიც იტალიელებმა გამოიჩინეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში—რომ მტკიცედ ფეხი მოეკიდათ იემენში. ეს არის იტალიის წითელ ზღვაზე წინ წაწევის გეგმის ნაწილობრივი განხორციელება. მომავალი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ხელშეკრულება ინგლისსა და იმამის ურთიერთობაზე; იმამი დიდი ხანია ცდილობს გააფართოვოს თავისი სამფლობელო სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, იმ ტერიტორიის, რომელიც იმყოფება ინგლისის მფარველობის ქვეშ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

„როტე ფანე" ოპოზიციის დამარცხების შესახებ

ბერლინი, 20 ოქტომბერი. იხილავს რა საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის ლიდერების განცხადებას, „როტე ფანე" აღნიშნავს, რომ ბოლშევიკური პარტიის კოლექტიური მთლიანობაში განსახიერებულმა ლენინიზმმა გაიმარჯვა წვრილ-ბურჟუაზიულ რადიკალურ სულისკვეთებაზე, რომელიც განსახიერებულია (...დამახინჯებულია)... ლენინიზმის მოწინააღმდეგე—ტროცკისა და ლენინიზმის მერყევ ფორმალურ გამომხატველს—ზინოვიევს შორის.

„გერმანიის კომუნისტებს,—სწერს გაზეთი—სურთ მიიღონ გარანტია იმისა, რომ თავდასხმა ტროცკიზმის მხრივ აღარ განმეორდება და იმედს გამოსთქვამენ, რომ საკავშირო კომპარტია შესძლებს ამ გარანტიის უზრუნველყოფას. ოპოზიციის დამარცხება საკავშირო კომპარტიის შიგნით თავის გამოხატულებას ჰპოვებს, აგრეთვე, გერმანიის კომპარტიის ოპოზიციის რიგებშიაც. გერმანიაშიაც პარტია უზრუნველყოფს თავის რევოლიუციონურ ბრძოლაში მთლიანობის დაცვას ახლა უკვე შესუსტებულ გამთიშველებისა და ლიკვიდატორების პატარა ჯგუფის თავდასხმისაგან.

საგანგებო წესების გაგრძელება ინგლისში

ლონდონი, 20 ოქტომბერი. საიდუმლო საბჭოს სხდომაზე მეფის თავმჯდომარეობით. უკანასკნელმა ხელი მოაწერა პროკლამაციას, რომელიც გულისხმობს საგანგებო წესების გაგრძელებას მემაღაროეთა გაფიცვის გამო და ორშაბათისათვის პარლამენტის მოწვევას სათანადო კანონების განსაახლებლად.

პარასკევს ლონდონში შეიკრიბება ტრედიუნიონთა გენერალური საბჭო.

კოსგრევი

ლონდონი, 20 ოქტომბერი. თავისუფალ ირლანდიის სახელმწიფოს პრემიერი არ დასწრებია პანაშვიდს იმპერიალისტურ ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად. კოსგრევი 1926 წელში მონაწილეობას ღებულობდა ირლანდიის რესპუბლიკანელთა აჯანყებაში ინგლისის წინააღმდეგ.

ურთიერთობა პოლონეთთან

ლონდონი, 19 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდ"-ის ვარშაველ კორესპონდენტთან საუბარის დროს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ განაცხადა, რომ ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არღვევს რიგის ხელშეკრულებასო, მაგრამ ამასთანავე იმედი გამოსთქვა, რომ ეს საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს საბჭოთა კავშირთან ჩვეულებრივ-დიპლომატიური გზით, ხოლო ეს კი საშუალებას მოგვცემს განვაგრძოთ მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

დებსის ავადმყოფობა

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სოციალისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი ევგენი დებსი ავად გახდა სულის ავადმყოფობით.

საფინანსო კონფერენცია

ბერლინი, 20 ოქტომბერი. ოფიციალურად უარყოფენ ხმებს გერმანიის მთავრობის განზრახვის შესახებ მოიწვიოს საერთაშორისო ფინანსიური კონფერენცია ტუარში შემუშავებულ პროგრამის პრაქტიკულად განხორციელების მიზნით.

პროფესორ ისაევის ჩამოსვლა

გუშინ უზბეკისტანიდან თბილისში ჩამოვიდა უზბეკისტანის ტროპიკული ინსტიტუტის პროფესორი ლ. მ. ისაევი. მისი ჩამოსვლის მიზანია — კავშირის გაბმა ადგილობრივ ტროპიკულ ინსტიტუტებსა და მალარიის საწინააღმდეგო ორგანიზაციებთან.

ესტოკადა სოხუმში

შავი ზღვის რკინის-გზის სამშენებლო გაჯგუფებამ დაამუშავა პროექტი მთელ სოხუმზე გრანდიოზული ესტოკადის აგების შესახებ, რომელზედაც გაივლის მატარებელი. წინედ განზრახული იყო მაღალი ნაყარის მოწყობა, მაგრამ შემდეგ ის გეგმა უარყვეს, რადგან ის ძალიან დაამახინჯებდა ქალაქს.

პოლიცია უმუშევრების წინააღმდეგ

ვენა, 19 ოქტომბერს. ავსტრიელ უმუშევართა ერთმა ჯგუფმა გაანთავისუფლა მის მიერ ამ რამდენიმე კვირის წინად დაკავებული მიწა, ოპერაუში, რადგან მთავრობა შეჰპირდა მათ სხვა ადგილის მიცემას.

პოლიციის მიერ ალყაშემორტყმული მუშები მთელი ამ ხნის განმავლობაში მედგრად იცავდენ ოპერაუს, მიუხედავათ იმისა, რომ შეწყვეტილი იყო სურსათ - სანოვაგის მიწოდება.

გერმანიის მუშა - ქალთა დელეგაციის დაბრუნება ბერლინში

ბერლინი, 19 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირიდან ბერლინში დაბრუნდა გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია. ბერლინში მათი ჩამოსვლისთანავე გაიმართა მისასალმებელი მიტინგი, რომელზედაც მთელი რიგი დელეგატებისა გამოსთქვამდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. პავლოვიჩი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ხოდოროვი.

ბაქოს ბაზრობა თებერვალში

მოსკოვი, 20 ოქტომბერი, რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის საბჭომ დაადგინა ბაქოს ბაზრობის გახსნის დღეთ დანიშნეს 1927 წლის 10 თებერვალი და არა აპრილი, როგორც ეს ჩვეულებრივად იყო.

მოხსენება ბერლინში საბჭოთა პედაგოგიკის შესახებ

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. მოსკოვის მე-2 სახ. უნივ. რექტორის პინკევიჩის ბერლინში ჩასვლასთან დაკავშირებით, გერმანიაში არსებულ „რუსეთის მეგობართა საზოგადოებამ" მოაწყო პინკევიჩის საჯარო მოხსენება შემდეგ თემაზე „საბჭოთა პედაგოგიკის ძირითადი საზები". მოხსენებამ მრავალი ხალხი მიიზიდა.

წამების წინააღმდეგ რუმინეთში

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. რემედასის ამერიკის სექციის ინიციატივით ნიუ-იორკში გამართა საპროტესტო მიტინგი რუმინეთში პოლიტპატიმართა წამების წინააღმდეგ.

ტრაქტორების მიწოდება

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს საკავშირო სახ. საგეგმო კომისიამ განიხილა სასოფლო მეურნეობის ტრაქტორებითა და სას. სამ. იარაღებით მომარაგების და აგრეთვე, ქვეყნის შიგნით ტრაქტორების დამზადების საკითხები.

1926-27 წელში საკავშირო სასოფლო მეურნეობა მიიღებს 180 მილ. მანეთის სას. - სამ. იარაღ - მანქანებსა და ტრაქტორებს. განაწილებული იქნება 4000 ტრაქტორი.

საჭიროა შეუდგეთ ახალ სატრაქტორო ქარხნების აგებას. ტრაქტორების განაწილებას მიზნობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ტრაქტორები უნდა დაიგზავნოს უმთავრესად ისეთ რაიონებში, რომლებიც წარმოადგენენ მრეწველობისა და ნედლეულის ძირითად ბაზას.

კოლექტიურ ხელის მოწერის ვადის გაგრძელება

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. მთელ რიგ კოლექტიურ მუშა-მოსამსახურეთა და თავისუფალი პროფესიის პირთა თხოვნით სახელმწიფო ბანკი დათანხმდა ახალ მომგებიან სესხზე ხელისმოწერის ვადა გააგრძელოს 25 ოქტომბრამდე 22 ოქტომბრის მაგიერ.

შეღავათი გლეხკორებს

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. საკავშირო ფინსახკომი იძლევა განმარტებას, რომ გლეხკორების ჰონორარი და აგრეთვე, სასოფლო უბნების საექიმო და საბეითლო პერსონალის კერძო პრაქტიკით მიღებული შემოსავალი უნდა განთავისუფლებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ისევე, როგორც მათი ხელფასი. მათი შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით საერთო წესის თანახმად.

სესხი

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. წინასწარ მიღებული ცნობებით, 20 ოქტომბრამდე მთელ კავშირში გაყიდულია ახალი მომგებიანი სესხის ობლიგაციები 17.432.075 მანეთის რაოდენობით.

ბანკირების დეკლარაცია

ლონდონი, 20 ოქტომბერი. ინგლისის გაზეთების უმრავლესობამ გამოაქვეყნა დეკლარაციის სრული ტექსტი, რომელზედაც ხელი მოაწერეს ევროპის 15 სახელმწიფოს და ამერიკის შეერთებულ შტატების საბანკო და სამრეწველო წრეების ცნობილმა წარმომადგენლებმა მორგანის მეთაურობით.

დეკლარაციას წამძღვარებული აქვს სათაური „მოწოდება ევროპის ვაჭრობის შეზღუდვის პირობების მოსპობისაკენ" და შიგ გამოთქმულია იმედი, რომ „ეკონომიური თავისუფლების დამყარება წარმოადგენს ვაჭრობისა და კრედიტის აყვავების საუკეთესო საშუალებას მთელს მსოფლიოში". დეკლარაცია ყურადღებას მიაქცევს „ყველასათვის ცნობილ და საერთო შიშის გამომწვევ შეფერხებებზე, რომლებიც წინ ეღობებიან საერთო კეთილდღეობას აღდგენას". ასეთ შეფერხებებს, დეკლარაციის ავტორების აზრით, წარმოადგენენ უმთავრესად, საბაჟო ბარიერები, სპეციალური ლიცენზიები, საქონლის გატანის აკრძალვა და სხვა ამგვარი, რომლებიც, მსოფლიო ომის ხანაში შემოღებულნი, დღეს ბუნებრივად ავიწროვებენ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. მსხვილ პოლიტიკურ და ტერიტორიალურ ორგანიზმების დაშლა, დეკლარაციის თქმით, წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის უმძიმეს სატკივარს, წინააღმდეგობებმა დაარღვიეს დღემდე მჭიდროთ დაკავშირებული საზოგადო ორგანიზმები. ახალი საზღვრების დაწესების გამო სახელმწიფოებმა დაკარგეს შესაძლებლობა სურსათ-სანოვაგით იაფი მომარაგებისა და სამრეწველო ნაწარმოების და ნედლეულის მიწოდებისა. ახალ საბაჟო ზღუდეებს იქით გაჩნდა წმინდა ადგილობრივი ხასიათის მრეწველობის ახალი დარგები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენენ.

საბანკო წრეების ორგანო „ფინენშიელ ტაიმსი", მიესალმება რა დეკლარაციას, აცხადებს: „საჭიროა სამრეწველო ლოკარნო".

ლიბერალური პარტიის გაზეთები, რომლებიც თავიდანვე ქადაგობდენ ვაჭრობის თავისუფლებას, დიდი ზეიმით იუწყება „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ისტორიული დეკლარაციის" გამოქვეყნებას. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი მეილი" სწერს: „საერთაშორისო ტრესტებმა გადასწყვიტეს, რომ საბაჟო ბარიერები წარმოადგენენ შეფერხებას საერთაშორისო ვაჭრობის განსავითარებლად, ხოლო ფინანსიური კაპიტალი ეძებს კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ახალ საშუალებას".

ვერსალის ეკონომიური მარცხი

ბერლინი, 20 ოქტომბერი. გერმანიის ბურჟუაზიულ გაზეთების აზრით, ბანკირების და მრეწველობის დეკლარაცია მოწმობს ვერსალის ხელშეკრულების ეკონომიური მარცხის აღიარებას.

„ბერზენ ცეიტუნგ" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დეკლარაცია სრულებით არ ეხება საკითხს საბჭოთა კავშირის შესახებ, რომლის გადაუჭრელად დეკლარაციაში წამოყენებული ამოცანები განუხორციელებელია.

ტიფის ეპიდემია გერმანიაში

ბერლინი, 18 ოქტომბერი. გერმანიას მოედო გადამდები ავადმყოფობა, ტიფი, რომელიც ნოყიერ ნიადაგს პოულობს გაღატაკებულ და დაჩაგრულ მუშათა მასების წრეში და ამიტომ ვრცელდება გასაოცარი სისწრაფით. გადამდებ ავადმყოფობის გამავრცელებელი ცენტრი არის ჰანოვერი, რომელიც მცხოვრებლებს წყალს აწვდის ბაცილებით მოწამლულ წყალსადენიდან. თავის დროზე, როცა ტიფით ავად გახდომის პირველი შემთხვევა აღმოაჩინეს, შესაფერი ინსტანციების ყურადღება მიქცეული იყო წყალსადენის წყლის თვისებებზე. მაგრამ ხელისუფლებამ ყური არ გაიბერტყა ამ მოვლენის გამო და არ მიიღო არავითარი ზომები. ეხლა ეჭვს გარეშეა, რომ ჰანოვერის წყალსადენი არის გადამდებ ავადმყოფობის გამავრცელებელი. მიუხედავათ ამისა ქალაქის თვითმართველობა აფერხებს ამ გარემოებას და არ კეტავს წყალსადენს, რადგან მას არ აქვს სხვა საშუალება ქალაქს მიაწოდოს წყალი.

ოფიციალური ცნობების მიხედვით ტიფის ავადმყოფთა რიცხვი მხოლოდ ჰანოვერში სექტემბრის დამლევისათვის უდრიდა 1,500 კაცს. სინამდვილეში-კი ავადმყოფთა რიცხვი გაცილებით მეტია. ასეთი განსხვავება ოფიციალურ ცნობასა და ფაქტიურ მდგომარეობას შორის აიხსნება არა მარტო იმით, რომ რეგისტრაციაში ვერ ტარდება ყველა ის ვინც ქალაქის საავადმყოფოებში მოხვდება, არამედ იმითაც, რომ ბევრი ავადმყოფი არჩევს იექიმოს კერძოთ ან დაიმალოს, რომ თავიდან აიცილოს საავადმყოფოში მოთავსების აუცილებლობა. რადგან საავადმყოფოებში მოვლა ძალიან ცუდად არის დაყენებული. საავადმყოფოებში არის ყოველგვარი ნაკლებობა: საექიმო პერსონალის, თანამშრომლების, წამლების, ლოგინების და თითქმის თეთრეულისაც-კი. საავადმყოფოები ისეა გაჭედილი, რომ ჰანოვერის ზოგიერთ პროლეტარულ რაიონებში სკოლები გადააქციეს სამკურნალოებად. აფთიაქები და აფთიაქის მაღაზიები, რომლებიც კერძო მეპატრონეთა ხელში იმყოფება, ყოველ ღონეს ხმარობენ გამოიყენონ შექმნილი მდგომარეობა თავის ინტერესების სასარგებლოდ და მოსახლეობას აწვდიან სრულიად უვარგის წამლებს. ტიფი გავრცელდა ბარზინგჰაუზენში, ემელდოში, ეგესტორფში, ლეტერში და ზელცში. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობებით ყველა აღნიშნულ რაიონებში მოსალოდნელია ამ უბედურების შემდეგი განვითარება.

მეორე გამავრცელებელი ტიფის ეპიდემიისა არის ქ. მაგდებურგი. სექტემბრის დამლევისათვის იყო რამდენიმე ათეული კაცის ტიფით ავადგახდომის შემთხვევა. ავადმყოფთა რიცხვი სწრაფად იზრდება. შემდეგ მოდის ქ. ჰამბურგი, სადაც როგორც სჩანს, ეპიდემია იწყებს გავრცელებას.

სხვადასხვა

ავტომობილის მსხვერპლი

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. შეერთებულ შტატების გაზეთების ცნობით, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში, ავტომობილის მსხვერპლი გახდა 263,000 კაცი, ამ რიცხვიდან მოკვდა 13.000 კაცი, ხოლო დაჭრილია 250,000 კაცი.

ვაშინგტონი — გერმანიის რკ.-გზის ობლიგაციების წინააღმდეგ

ბერლინი, 20 ოქტომბერი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, შეერთებული შტატების მთავრობამ განიმეორა თავისი უარყოფითი შეხედულება გერმანიის რკინის-გზების ობლიგაციების ბაზარზე გამოშვების წინააღმდეგ; იგი ამ ზომას მიზან-შეუწონლად სცნობს.

სურათების გადაცემის ცდა მანძილზე

პეკინი, 19 ოქტომბერი. მანძილზე სურათების რადიოს საშუალებით გადაცემის აღმომჩენი ედუარდ ბელონი ჩამოვიდა პეკინში ცდების საწარმოებლად.

ნორვეგია წინააღმდეგია მაგარი სასმელების აკრძალვის

ოსლო, 19 ოქტომბერი. ნორვეგიაში მომხდარ საერთო სახალხო კენჭის ყრის დროს მაგარი სასმელების წარმოებისა და გაყიდვის საკითხის შესახებ აკრძალვის მომხრეები დამარცხდენ.

ჰაეროპლანის ავარია

პარიზი, 19 ოქტომბერი. ოლდერშოტში (ინგლისი) დაიმსხვრა ჰაეროპლანი. მფრინავი დაიღუპა.

ვანდერველდე—„ანტიფაშისტი"

ბერლინი, 20 ოქტომბერი. იტალიის ელჩმა ბრიუსელში ყურადღება მიაქცია ვანდერველდეს სიტყვებს, რომელიც მან წარმოსთქვა მატეოტის ხსოვნის აღსანიშნავად. ელჩი ვანდერველდეს სიტყვას ფაშისტური მთავრობის საწინააღმდეგო გალაშქრებად სთვლის.

ყოფილი სულთანის შვილის დაპატიმრება

ბერლინი, 20 ოქტომბერი. ყოფილ სულთანის მაჰმედ მეხუთეს უფროსი შვილი დატუსაღებულ იქმნა იმის გამო, რომ იგი შეეცადა ოსმალეთში შეპარულიყო. კანონი ყოფილ დინასტიის წევრებს უკრძალავს ოსმალეთში შესვლას.

უზუნოვიჩის კაბინეტი დარჩა თავის ადგილზე

ვენა, 18 ოქტომბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში მოწესრიგებულია. უზუნოვიჩის კაბინეტი მთელი თავისი შემადგენლობით რჩება თავის ადგილზე.

ქვა-ნახშირის ექსპორტის ნებართვის წესი

პარიზი, 19 ოქტომბერი. 20 ოქტომბრიდან ბელგიიდან ქვა-ნახშირის უცხოეთში გატანა იწარმოებს წინასწარი ნებართვით.

გაფიცვის მუქარა ამერიკის სავაჭრო ფლოტზე

ლონდონი, 19 ოქტომბერი. ამერიკის სავაჭრო ფლოტის მოსამსახურეთა შემადგენლობა და გემის ინჟინრები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას იმ ზომით, როგორც ეს დაწესებულია იმავ თანამდებობებისათვის შეერთებულ შტატების საზღვაო სამინისტროში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრებიან.

საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანიის შეწყვეტა

რომი, 18 ოქტომბერი. მიუხედავათ ოფიციალური უარყოფისა, ფაშისტური კრება კვლავ ავრცელებს ხმებს, რომ ახლო მომავალში ერთმანეთს შეხვდებიან მუსოლინი და ბრიანი.

თუმცა ჯერ გამორკვეული არაა, თუ რამდენად შეეფერება ეს ხმები სინამდვილეს, მაგრამ ფაშისტურმა პრესამ შესცვალა ტონი და შესწყვიტა საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანია, რომელსაც იგი დღემდე აწარმოებდა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საპაიო გადასახადის გადიდება

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭო თანახმაა, რომ მუშათა კოოპერაციის საპაიო გადასახადი აყვანილ იქნეს 15 მანეთამდე. საპაიო გადასახადის გადიდება უნდა ხდებოდეს კოოპერატივის წევრთა და რწმუნებულთა კრების აუცილებელი თანხმობით და, ის შეთანხმებული უნდა იქნას აგრეთვე სათანადო პროფორგანიზაციებთან. საპაიო გადასახადის გადიდებას უნდა აწარმოებდეს მუშათა კოოპერაცია და პროფკავშირები თანდათანობითი გადიდების გზით.

საკავშირო პროფსაბჭოს აუცილებლათ მიაჩნია, რომ კოოპერაციამ და პროფკავშირებმა ჩაატარონ ფართე ახსნა-განმარტებითი კამპანია საპაიო გადასახადის გადიდების შესახებ კოოპერაციის გაძლიერების მიზნით.

საკავშირო პარტიული აღწერა

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიმართა ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს ცირკულიარით მომავალ საკავშირო პარტიული აღწერის ჩატარების შესახებ.

ცირკულიარში ნათქვამია:

„საკავშირო პარტიული აღწერა ჩატარდება დეკემბერში. საჭიროა მისთვის მომზადება, მისი გატარება ცეკას ერთიან გეგმის მიხედვით და დროზე დასრულება. აღწერას პრაქტიკული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტკომებმა.

აკისრებს რა პარტიულ კომიტეტებს პასუხისმგებლობას აღწერის კარგად ჩატარებაში, ცეკა ამ უკანასკნელთაგან მოელის დიდ ყურადღებას და სერიოზულობას ამ მუშაობისადმი".

ენერგეტიული მეურნეობის რაციონალიზაცია და სათბობი მასალის გამოყენება

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა დებულება ენერგეტიული მეურნეობის რაციონალიზაციისა და სათბობი მასალის გამოყენების შესახებ. ყველა საწარმოო დაწესებულებებში, ყველ საკავშირო ტრესტებში, ყველა საკავშირო მთავარ სამმართველოებში და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებში გამოყოფილ უნდა იქნენ სპეციალური რწმუნებულები ენერგეტიული მეურნეობის მოსაწესრიგებლად. ამ რწმუნებულებს ევალებათ პასუხისმგებლობა ენერგეტიული მეურნეობის რაციონალიზაციის და კერძოთ სათბობი მასალის გამოყენების საქმეში. რწმუნებულები მუშაობენ საწარმოო ენერგეტიკის განყოფილების საერთო ხელმძღვანელობით. მუშაობის გასაძლიერებლად ენერგეტიული მეურნეობის საქმეში ტრესტების გამგეობებს ევალებათ არ უგვიანეს 1-ლი იანვრისა შემოიღონ ტექნიკური პერსონალზე პრემიების მიცემა. პრემია არ უნდა აღემატებოდეს მუშა-მოსამსახურეების ძირითად განაკვეთის 60%.

რკინის გზების საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი მოსკოვში

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოდის რკინის გზების საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი გუსტავ ლევერვი იმ მიზნით, რომ გაეცნოს საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მდგომარეობას.

სიცხე ციმბირში

ბარნაული, 20 ოქტომბერი. დაიჭირა ცხელი ზაფხულის ამინდი.

გერმანიის მუშა ქალთა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, ოქტომბერი. 17 ოქტომბერს გერმანიაში გაემგზავრა გერმანელ მუშა ქალთა დელეგაცია, რომელმაც დაათვალიერა საბჭოთა კავშირი.

ყირიმი

სიმფეროპოლი, 20 ოქტომბერი. სიმფეროპოლიდან 15 ვერსის დაშორებით სიმფეროპოლის ახლად აშენებულ წყალსადენის გაბურღულ ადგილას ამოხეთქა შადრევანმა. წყალს ნავთის ნიშნები აქვს.

უკრაინა

დახმარება მემაღაროებს

ხარკოვი, 20 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს სრულიად უკრაინის პროფსაბჭომ ინგლისის მემაღაროებს გაუგზავნა 67.000 მან. სულ კამპანიის დაწყებიდან უკრაინის მშრომელებმა ინგლისის მემაღაროეთა სასარგებლოდ გადარიცხეს 1.053 ათასი მან.

რედაქციის თანამშრომელს სცემეს

ოდესა, 20 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს ადგილობრივ გაზეთ „იზვესტიაში" რედაქციაში მოხდა ხულიგნობის აღმაშფოთებელი შემთხვევა. ჟურნალისტ სვეტლანოვთან გამოცხადდა სოფლის საბჭოს რწმუნებული ბატმანი, რომელმაც გაიხმო სვეტლანოვი ცალკე ოთახში, თითქოს სვეტლანოვის მიერ მოთავსებულ ფელეტონის შესახებ ახსნა-განმარტების მისაცემად, და სცემა მას. სვეტლანოვმა გადასახლებულთა ჯგუფის თხოვნით ამხილა ბატმანი, რომელიც სპეკულიაციას ეწეოდა გადასახლებულ ებრაელების მიწების ხარჯზე.

შუა აზიის ეკონომიური საბჭო

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. უზბეკისტანის ს. ს. რ., თურქმენისტანის ს. ს. რ. ტაჯიკისტანის ავტონ. ს. ს. რ., ყირგიზეთის ავტონომიურ ოლქისა და მთელ საბჭ. კავშირის შორის ეკონომიურ ურთიერთობის განსამტკიცებლად ს. ს. რ. კ. ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს დააარსოს ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოსთან შუა-აზიის ეკონომიური საბჭო, რომელსაც სამმართველო ტაშკენტში ექნება.

ეკონომიურ საბჭოს ეკისრება: აღნიშნულ რესპუბლიკების და ოლქების ყოველწლიურ საპერსპექტივო სამეურნეო გეგმების განხილვა, მთელ შუა-აზიისათვის სამეურნეო გეგმების შედგენა და სხ.

ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობაში შედიან. საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო, 3 მოადგილე თავმჯდომარის, რომელთაც ამტკიცებს საკავშირო სახკომსაბჭო ეკონომიურ საბჭოს წარდგენით, თურქმენის ს. ს. რ., უზბეკისტანის ს. ს. რ, ტაჯიკის ა. ს. ს. რ., სახკომსაბჭოების წარმომადგენლები, ყირგიზეთის ავტონომიურ ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე, 6 წარმომადგენელი თვითეულ ამ რესპუბლიკიდან და ოლქიდან, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის რწმუნებული, ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებული, ს. ს. რ. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებული, ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის რწმუნებული, მთავარი საბამბო კომიტეტის რწმუნებული, შუა-აზიის სამხედრო ოლქის სარდალი შუა-აზიის საგეგმო კომისიის და შუა - აზიის წყალთა მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარენი, შუა-აზიის წყლის მეურნეობის უფროსი, საკავშირო პროფსაბჭოს შუა-აზიის ბიუროს 2 წარმომადგენელი, სახელმწიფო ბანკის შუა-აზიის კანტორის მმართველი და ეკონომიურ საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზნავთის მოხსენება აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის პლენუმზე

ბაქო, 20 ოქტომბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის მეცხრე პლენუმმა მოისმინა აზნავთის უფროსის ბარინოვის მოხსენება. მომხსენებელმა აცნობა პლენუმს, რომ მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში აზნავთმა გაბურღა 95,000 საჟენი 1913 წლის 78,000 საჟ. ნაცვლად. ამ წელში დავალებული 338 მილ. ფუთი ნავთის ამოღება შესრულებულია 99,4%; ნავთის ამოღება ელექტრონის ძალით შესრულებულია 93 %. სწარმოებს მუშაობა ნავთის ახალი ადგილების აღმოსაჩენად.

მოხსენების მიხედვით პლენუმმა აღნიშნა დიდი მიღწევები რაციონალიზაციის საქმეში და ნავთის მრეწველობის მოწყობაში. პლენუმმა წინადადება მისცა „აზნავთს" მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება საკვლევი მუშაობის გაძლიერებას, განაგრძოს გაუმჯობესება სარეწაო საქმისა და დაამთავროს ზეთისა და ნავთის ქარხნები.

ლენინგრადის საფინანსო კურსებზე

ბაქო, 20 ოქტომბერი. აზერბეიჯანის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ლენინგრადში, საფინანსო კურსებზე, 15 საფინანსო მუშაკი გაგზავნა.

ბარიტის წისქვილის მოწყობილობა

ბაქო, 20 ოქტომბერი. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოიწერა უცხოეთიდან სრული მოწყობილობა განჯის ბარიტის წისქვილისათვის.

სომხეთი

განაჩენი ხუშოიანის მკვლელობის საქმეზე

ერევანი, 20 ოქტომბერი. სალამოს სომხეთის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ხუშოიანის მკვლელობის საქმეზე. ბრალდებულ სტეპანიანს მიესაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა, სინოიანს და სარქისიანს — ათ-ათი წლის ციხე სასტიკი იზოლაციით, აკოპიანს — სამი წლით, მანუკიანს, მკრტიჩიანს, ფახრადიანს და პეტროსიანს — თითო წლით წინასწარი პატიმრობის ჩათვლით, ხოლო გაზარიანი, მაკარიანი, და ხაჩატრიანი— განთავისუფლებულნი არიან სასჯელისაგან.

აღმოსავლეთში

„ბედნიერი არაბეთი" და იმპერიალისტები

არაბეთის ნახევარ - კუნძულის სამხრეთ - დასავლეთ ნაწილში მდებარეობს იემენი, (ძველად „ბედნიერი არაბეთი" ეწოდებოდა) არაბეთის ყველაზე უმდიდრესი კუთხე. იემენი მდიდარია ხილით, ბამბით, განსაკუთრებით კი განთქმულია იგი ყავით (ცნობილი ყავა „მოკკო" იემენიდან გამოაქვთ).

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს უმდიდრესი კუთხე, 200 ათასი კვ. კილომეტრის სივრცით და ერთ მილიონზე მეტი მოსახლეობით დიდი ხანია იმყოფება იმპერიალისტების ყურადღებას. მაგრამ იემენის მამაცი და თავისუფლების მოყვარული მოსახლეობა ყოველთვის იგერიებდა იმპერიალისტების თავდასხმებს.

ომამდი იემენი შეადგენდა ოსმალეთის იმპერიის ნაწილს, მაგრამ უფრო ნომინალურათ, ვიდრე ფაქტიურად. ომმა იემენისათვის სრულიად ხალი პირობები შექმნა. გეჯასში დაწყებული აჯანყების გამო ოსმალეთის გარნიზონი იემენში მოწყვეტილი იქნა მთელ ქვეყანას (ზღვა ინგლისელების ხელში იყო). იემენის მმართველმა იმამმა იახიამ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით, რომ განემტკიცებია თავისი გავლენა ქვეყნის შიგნით, დაემორჩილებია ცალკე კუთხეების მთავრები და საფუძველი ჩაეყარა იემენის ცენტრალისტური სახელმწიფოსათვის.

ომის დამთავრებამ ბოლო მოუღო იემენის ძველ, ნომინალურ დამოკიდებულებას ოსმალეთისგან. ოსმალეთის გარნიზონებმა დასტოვეს იემენი და იმამ იახიას დაუტოვეს დიდძალი სამხედრო მასალა. დარჩენ იემენში მრავალი ოსმალო ოფიცრები და მოხელეები, რომლებიც იმამის სამსახურში გადავიდნენ. მაგრამ ომის ლიკვიდაციამ იემენს მნიშვნელოვანი ზიანიც მიაყენა. ინგლისელებმა, მცირე ერების „ერთგულმა მეგობრებმა", რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ იმამმა უარი განაცხადა მათ ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებაზე, 1921 წ. პირველ იანვარს დაიკავეს იემენის საუკეთესო ნავსადგური ხოდეიდა და გადასცეს იგი ასირის სამთავროს მფლობელს შეიხ მოხამედ იდრისს.

ამის შემდეგ იმამის მთავარი საზრუნავ საგნათ გადაიქცა ამ ნავთსადგურის დაბრუნება. ოთხ წელიწადზე მეტს გაგრძელდა ბრძოლა ამ ნავთსადგურისათვის. იმამმა გაიმარჯვა. 1925 წ. აპრილის დასაწყისში იემენის ჯარებმა დაიკავეს ხოდეიდა და სასტიკად დაამარცხეს შეიხი მოხამედ იდრისი. შეიხის დამარცხებაში მთავარი როლი ითამაშა იმან, რომ იმამ იახიას მხარეზე გადავიდა მთელი რიგი ტომები, რაც ნაკარნახევი იყო ამ ტომების ეკონომიური ინტერესებით (მსოფლიო ომამდი ხოდეიდის ვაჭრობა 3—4 მილიონ გირვ. სტერლინგს უდრიდა, ნავთსადგურის ასირისათვის გადაცემის შემდეგ ვაჭრობა სრულიად ჩაკვდა). იმამი იახია არ დაკმაყოფილდა მარტო ხოდეიდის დაბრუნებით. მან თავის გავლენას დაუმორჩილა ასირის დიდი ნაწილი. ჩრდილოეთით შეტევასთან ერთად, იმამის ჯარები მიიწევდნენ სამხრეთ - აღმოსავლეთით, ხადრამუტის რაიონში, სადაც იმამმა თავის სამფლობელოებს შემოუერთა დიდი ტერიტორიები, რომლებიც წინად ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდენ. ინგლისელების მიერ ამ რაიონში მოწყობილი აჯანყებები უშედეგოთ დამთავრდა. თავისი გავლენის გაფართოებასთან ერთად, იმამი შეუდგა შინაურ მშენებლობასაც. 1921 წ. გახსნილ იქნა სამხედრო სასწავლებელი ოფიცრების მოსამზადებლათ; შემდეგ გაიხსნა მეორე სასწავლებელი უმცროს უფროსშემადგენლობის მოსამზადებლათ. სანააში, იემენის სატახტო ქალაქში, მოეწყო თოფხანა, სადაც ამზადებენ ვაზნებს და ყუმბარებს. სამხედრო მასალებს იმამი იძენს უცხოეთში, უმთავრესად იტალიაში. 1925 წ. იემენმა იტალიაში შეიძინა 5 სამხედრო აეროპლანი. მოეწყო სკოლების ქსელი.

უკანასკნელ ხანებში მდიდარი ქვეყანა, რომელიც დღემდი ისტორიის ფართე გზიდან განზე იმყოფებოდა, საერთაშორისო პოლიტიკის ფერხულში ჩაება.

ევროპის სახელმწიფოთაგან საფრანგეთი პირველი იყო, რომელიც შეეცადა ურთიერთობა დაეჭირა იემენთან ომის შემდეგ. საფრანგეთის მთავრობამ სპეციალური მისია გაგზავნა იემენში, მაგრამ მოლაპარაკება იმამთან უშედეგოთ დამთავრდა.

უფრო გაუღიმა ბედმა იტალიას. გაცხოველებულმა ურთიერთობამ, რომელიც არსებობს იემენსა და ერიტრეას შორის (იტალიის კოლონია წითელ ზღვაზე), სამხედრო დახმარებამ, რომელიც იტალიამ აღმოუჩინა იმამს, — ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო იტალია - იემენის დაახლოებას. ფაშისტური იტალიის კოლონიალური პოლიტიკა განსაკუთრებით აქტიურია წითელი ზღვის რაიონში, სადაც მას წარმატების უფრო მეტი შანსები აქვს, ვიდრე აფრიკის რომელიმე სხვა კუთხეში. იემენს კი, გარდა თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა, არა ნაკლები სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ერიტრეისათვის, ვიდრე საფრანგეთის (კოლონია) სომალისათვის.

ერიტრეის იტალიელ გუბერნატორის და იემენის იმამის თათბირის შემდეგ იტალიამ მიიღო იემენში ნავთის შეტანის მონოპოლია.

იემენის გაძლიერებამ ძალიან შეაფიქრიანა ინგლისი. როცა აჯანყებების პოლიტიკამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, ინგლისი შეეცადა „მეგობრული" ურთიერთობა დაემყარებია იემენთან. ხოდეიდის დაცემამ და სხვა მნიშვნელოვანმა მოვლენებმა არაბეთის ნახევარ - კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში (გეჯასის დაპყრობა იბნ-საუდის მიერ და გეჯას-ნეჯდის ძლიერი სახელმწიფოს შექმნა) კიდევ უფრო შეუწყო ხელი ინგლისის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. ინგლისს განზრახვა ჰქონდა იმამი იახია იბნ-საუდის შესასუსტებლად გამოეყენებია.

1925 წ. დეკემბერში ინგლისის წარმომადგენელი ჯილბერტ კლეიტონი გაემგზავრა სანააში იმამ იახიასთან მოსალაპარაკებლად. ამავე დროს ინგლისის გაზეთები გაივსო ცნობებით იმამ იახიას და იბნ-საუდს შორის მოსალოდნელი ომის შესახებ.

მაგრამ ინგლისელების ამ ხრიკებმა არ გასჭრა. იმამმა იახიამ, რომელმაც პრაქტიკიდან იცის, თუ რას ნიშნავს ინგლისური „მეგობრობა", ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების დროს ისეთი პირობები წამოაყენა, რომ ინგლის ისინი მიუღებლად სცნო.

ინგლის - იემენის შეთანხმების ნაცვლად, მიმდინარე წლის ზაფხულის დამლევს დაიწყო მოლაპარაკება იმამ იახიასა და იბნ-საუდს შორის, რომელიც წარმატებით დასრულდა.

ინგლის - იემენის ხელშეკრულება კი ჰაერში გამოკიდებული. უთანხმოების მთავარ საგანს წარმოადგენს შემდეგი:

იმამი უარს ამბობს ინგლისელებისათვის კონცესიების მიცემაზე; მოითხოვს მის მიერ დაკავებული ტერიტორიების ცნობას იემენის ნაწილად და მთელ რიგ ტერიტორიების დათმობას (ლაპარაკია ე. წ. (ახრა რაიონზე ადენის ოლქში, რომელსაც იემენისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს).

უკანასკნელად მიღებული ცნობებით, ამ რამდენიმე ხნის წინათ იტალია - იემენს შორის დაიდვა „მეგობრობის" ხელშეკრულება. აშკარაა, რომ იმ ეკონომიურ უპირატესობათა ნაცვლად, რომელსაც იტალია ეძებს წითელი ზღვის რაიონში, იემენი მოითხოვდა მისი ტერიტორიალური პრეტენზიების ცნობას, რაც ახალ წინააღმდეგობას ქმნის ინგლის - იტალიის იმპერიალიზმს შორის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთ აფრიკაში.

ი. მ.

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის წინააღმდეგ—პარტიის მთლიანობისათვის

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის აქტივი შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მე-8-ე პლენუმის სხდომა მოსკოვის კომიტეტის აქტივთან ერთად.

შინაპარტიულ მდგომარეობისა და მოსკოვის კომიტეტის მე-7-ე პლენუმის შესახებ ჩატარებულ საანგარიშო კამპანიის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. უგლანოვი.

კამათის და ამხ. უგლანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოსკოვის ორგანიზაციის აქტივთან ერთად ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1) მოისმინა რა უგლანოვის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობისა და მოსკოვის კომიტეტის მე-7-ე პლენუმის გარშემო ჩატარებულ საანგარიშო კამპანიის შესახებ, მოსკოვის კომიტეტის მე-8-ე პლენუმი ორგანიზაციის აქტივთან ერთად აღნიშნავს, რომ მოსკოვის ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონური ბლოკი უკანასკნელი თვეების განმავლობაში გაძლიერებით აწარმოებდა გამთიშველ, არალეგალურ მუშაობას, დარჩა და რჩება შეკავშირებულ, მებრძოლ ლენინურ ბოლშევიკურ ორგანიზაციად.

2) როგორც კი ოპოზიციამ სცადა აშკარად გამოსულიყო მოსკოვის კომიტეტის მე-7-ე პლენუმის გარშემო გამართულ საანგარიშო კამპანიაში თავის ოპორტიუნისტურ-ლიკვიდატორულ შეხედულებების და ლოზუნგების დასაცავად, მოსკოვის ორგანიზაციამ ოპოზიციონერ ბლოკს დაუზოგავი ბოლშევიკური წინააღმდეგობა გაუწია. მოსკოვის მე-7-ე პლენუმიდან გასული პერიოდი — ეს იყო გამოცდა მოსკოვის ორგანიზაციის გამძლეობისა და შეკავშირების, შემოწმება იმისი, თუ რამდენად შეუძლია მას წინაღუდგეს ყოველგვარ ანტილენინურ და ანტიპარტიულ რყევას და ორგანიზაციულ არევ-დარევას. მოსკოვის ორგანიზაციამ ეს გამოცდა ჩააბარა.

3) ოპოზიციამ ისარგებლა მე-7-ე პლენუმის შესახებ საანგარიშო კამპანიის ჩატარებით, ის შეეცადა თავზე მოეხვია მოსკოვის ორგანიზაციისათვის და მით მთელი პარტიისათვის დისკუსია. ორგანიზაციამ ერთსულოვნად და გადაჭრით დაგმო დისკუსია და ერთხმად, უმნიშვნელო გამონაკლისით, მოიწონა როგორც მოსკოვის კომიტეტის, ისე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და მუშაობა. ოპოზიციის წინააღმდეგ გაილაშქრა მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა მთელმა მასამ. იმ დროს, როდესაც ოპოზიციამ, განსაკუთრებით დისკუსიის გამოწვევის პირველი ცდის დროს, თავი მოუყარა ყველა ძალებს, რომელთაც მეთაურობდენ ოპოზიციონური ბლოკის ბელადები ტროცკი, ზინოვიევი, პიატაკოვი და სხვ.. პარტიის მხრივ ოპოზიციას წინაღუდგა უბრალო პარტ. ფართო მასა. ოპოზიციის მყვირალა და ცბიერი ანტილენინური დემაგოგიური ლოზუნგები მაშინვე სწორად შეაფასა პარტიულმა მასსამ, რომელიც მათგან გადაჭრით გაიმიჯნა. ეს იმას მოწმობს, რომ ორგანიზაციის ბოლშევიკური სიმწიფე გაიზარდა. ეს იმის თავდებია, რომ პარტია მომავალში არ მოითმენს არავითარ ცდას მოახდინონ ლენინიზმის რევიზია, წამოაყენონ ტროცკიზმი პარტიის იდეურ დროშად, შეარყიონ პარტიის რკინისებური სიმტკიცე და მთლიანობა, რაც პროლეტარიატის დიქტატურის ძლევამოსილ განხორციელების ძირითად პირობას წარმოადგენს.

4) გაუწია რა წინააღმდეგობა ოპოზიციონურ ბლოკს უჯრედების კრებებზე, მოსკოვის ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ოპოზიციონურ ბლოკს იდეოლოგიურად მეთაურობს ტროცკიზმი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იბრძოდა და იბრძვის პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მე14-ე ყრილობას ოპოზიციამ, რომელმაც ბლოკი შეჰკრა ტროცკიზმთან, ყველა ძირითად საკითხებში (გლეხთა მასების ხელმძღვანელობა, პარტიის მთლიანობა, სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში) სრული კაპიტულიაცია მოახდინა მის წინაშე და წამოება მის ანკესზე. პარტიული მასები არ აჰყვენ პანიკას, პესიმიზმის და უიმედობის გაწყობილებას, არამედ, პირიქით, ისინი, აფასებენ რა ჯეროვანად როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო ხასიათის დაბრკოლებებს (მსოფლიო რევოლიუციის დაგვიანება, ინტერვენციის საფრთხე), აღნიშნავდენ უეჭველ წარმატებებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გზაზე და ღრმად არიან დარწმუნებული ჩვენი სოციალისტური პოზიციის შემდგომ განმტკიცებაში.

5) მოსკოვის კომიტეტის მე-8-ე პლენუმი აღნიშნავს, რომ ოპოზიცია თავის არალეგალურ მუშაობით თავგამოდებით ცდილობდა თავისი ორგანიზაციული შეხედულებების გატარებას. ის, იმეორებდა რა ტროცკის შეხედულებებს, ამტკიცებდა რომ ჩვენ არ გვაქვს შინაპარტიული დემოკრატია, რომ ჩვენში გამეფებულია მდივნის მუხრუჭი (секретарский зажим), რომ პარტიაში აპარატი პარტიის სახელით ლაპარაკობსო. ოპოზიციის ცდებმა თავზე მოეხვია პარტიისათვის დისკუსია ოპოზიციის ეს დებულებები და შეხედულებები აშკარა შეუსაბამოდ გახადეს. ერთსულოვანი წინააღმდეგობა, რომელიც ოპოზიციას ორგანიზაციის წევრთა მთელმა მასამ გაუწია, მოწმობს, რომ მოსკოვის ორგანიზაციაში ფართოდ ვითარდება შინაპარტიული დემოკრატია. თვით ბოლშევიკური სიმწიფე და სიმტკიცე, რომელიც უკანასკნელ დროს განსაკუთრებული სიცხადით გამოიჩინა მოსკოვის ორგანიზაციამ, მოწმობს შინა-პარტიული დემოკრატიის განვითარებას და იმას, რომ ოპოზიციის მიერ წამოყენებული ბრალდება მუხრუჭის მოქმედების და შინა-პარტიული ცხოვრების მოდუნების შესახებ წარმოადგენს ცილის დაწამებას მოსკოვის ორგანიზაციისა და მთელი პარტიის მიმართ.

6) უჯრედებში წაკითხული მოხსენებანი მე-7 პლენუმის შესახებ გვიჩვენებენ, რომ ორგანიზაციის პარტიული მასები ულრმესი სერიოზულობით ეკიდებიან სოციალისტურ აღმშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. მომჭირნეობის რეჟიმის, სამუშაო ხელფასის პოლიტიკის, საქალო ფასების დაკლების და სხვა საკითხები საერთოდ და მთლიანად ხაზგასმით არის გათვალისწინებული პარტიული მასის მიერ, როგორც პროლეტარიატისა და პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმთავრესი მორიგი ამოცანები.

7) პლენუმი აქტივთან ერთად კმაყოფილებით აღნიშნავს ოპოზიციის უარს ანტიპარტიულ ფრაქციულ მუშაობაზე და აგრეთვე თავის ორგანიზაციულ შეხედულებებზე. პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს აგრეთვე ოპოზიციის გამიჯვნას მედვედევ-შლიაპნიკოვის მენშევიკურ პლატფორმიდან, ოსოვსკისა და კომინტერნის სხვა სექციებში არსებულ კონტრ-რევოლიუციონურ უკიდურეს მემარჯვენე შეხედულებათაგან (კორში, რუტ ფიშერი, მასლოვი). ოპოზიციის ეს უკან დახევა ჩვენი პარტიის ძლევარი დარაზმულობის შედეგია. პლენუმი ამავე დროს აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ არ უარჰყო თავისი პრინციპიალური შეხედულებანი. ჩვენი პარტიისათვის აუცილებელია არა მარტო ორგანიზაციული, არამედ იდეური მთლიანობა ლენინიზმის მიხედვით. თვითონ ორგანიზაციული მთლიანობა შეიძლება იყოს შეურყეველი მხოლოდ იდეური დარაზმულობის, შეკავშირების საფუძველზე. ამიტომ მოსკოვის კომიტეტის პლენუმი აქტივთან ერთად აუცილებლად სცნობს განაგრძოს ორგანიზაციაში მტკიცე მუშაობა იმისათვის, რომ პარტიულ წევრებს განუმარტოს ოპოზიციისა და მისი შეხედულებების იდეური არსება. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს შეუდრეკელად განაგრძონ მუშაობა, რათა საფუძვლიანად იქმნას განმარტებული არაბოლშევიკური ხასიათი იმ პრინციპიალურ დებულებათა, რომლებსაც ოპოზიცია აყენებდა წინედ და რომლებსაც იგი აყენებს ეხლა. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივაღწიოთ იმ სრულ, მაქსიმალურ ლიკვიდაციას იმ ანტიბოლშევიკურ მერყეობათა, რომელნიც ოპოზიციას შეაქვს ჩვენ რიგებში.

8) ოპოზიციის ფრაქციულმა მუშაობამ და მისმა ცდამ, რომ მოეხვია მოსკოვის ორგანიზაციისათვის დისკუსია, თავისი გამოხატულება ჰპოვა მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტისათვის მუშაობაზე. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი თავის შემდგომ მუშაობაში აუცილებლად სთვლის მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება პრაქტიკული მუშაობის კიდევ უფრო გაფართოვებას, იმ მორიგი პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტას და ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან არიან დაკავშირებული, პარტიის გავლენისა და კავშირის გაძლიერებას უპარტიო მუშათა მასებთან, სოფლის ღარიბი გლეხობისათვის დახმარების მოწყობის ღარიბი გლეხობისათვის დახმარების მოწყობისციას და მის შემდგომ გაფართოვებას და სხვ.

9) მოსკოვის ორგანიზაცია და მოსკოვის კომიტეტი სავსებით და მთლიანად უერთდებიან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომელნიც მიმართული არიან პარტიის მთლიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი სავსებით და მთლიანად უერთდება ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან და გამომდინარეობენ ჩვენი შინა-პარტიული მდგომარეობიდან და საჭიროდ მიაჩნია, რომ ცეკამ სათანადო საორგანიზაციო ღონისძიებანი მიიღოს ცეკას იმ წევრების მიმართ, რომლებმაც პარტდისციპლინა დაარღვიეს; ეს საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში უზრუნველყოფილ იქმნას ცეკას საქმიანი, ნაყოფიერი მუშაობა პარტიისა, ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში. მოსკოვის ორგანიზაცია და მოსკოვის კომიტეტი ცენტრალური კომიტეტის მტკიცე დასაყრდენად.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას! გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

მერყეობის წინააღმდეგ

ბაქო, 16 ოქტომბერი. აზერბეიჯანის ლენინურ ახკომკავშირის ბაქოს აქტივის კრებაზე, რომელიც შესდგა 14 ოქტომბერს, გაკეთებულ იქნა მოხსენება ახალგაზრდათა კომინტერნის მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი:

ლენინიზმის რევიზიის მორიგი ცდა უპრინციპო ბლოკის მხრით, რომელსაც ეწოდება ს. კ. პ. (ბ) „ახალი ოპოზიცია" და აგრეთვე მისი ცდა გაება კავშირი ძმურ კომუნისტურ პარტიების სხვა ოპოზიციონურ მიმდინარეობებთან, დამთავრდა სრული მარცხით.

ახალი ოპოზიციონური ბლოკი (ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის და სხ.) შეეცადა თავისი ანტილენინურ შეხედულებები კომკავშირშიაც გაევრცელებია.

ბაქოს კომკავშირის აქტივი მოუწოდებს კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს მტკიცედ იდგენ თავის ლენინურ პოზიციებზე და გააღრმავონ მუშაობა ლენინიზმის შესასწავლად. ბაქოს კომკავშირი—პარტიის ერთგული ბურჯი სდგას ლენინის სწორ პოზიციებზე და წინააღმდეგია მერყეობის, გადახრების და დისკუსიის პარტიაში და კავშირში.

ბაქოს კომკავშირის აქტივის კრება მოუწოდებს კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს და მათთან ერთად მთელი ქვეყნის პროლეტარულ ახალგაზრდობას, გაერთიანდენ თავისი რევოლიუციონური შტაბის—ახალგაზრდობის კომინტერნის გარშემო და განამტკიცონ მთლიანობა და სოლიდარობა კლასობრივ ბრძოლაში.

საქართველოს კომორგანიზაციის ხმა

სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაცია

სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტისა და ცხინვალის რაიპარტკომის გაფართოებულმა სხდომამ 1926 წლის 14 ოქტომბერს მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტისა და ცხინვალის რაიპარტკომის გაფართოებული სხდომა, მოისმინა რა ამხ. აბაევის მოხსენება ოპოზიციის უკანასკნელი დეზორგანიზატორული გამოსვლების შესახებ გაკოტრებული ბელადების ტროცკის, ზინოვიევის, პიატაკოვის და ჩვენი ორგანიზაციის წევრების ოკუჯავას, ცინცაძის, ლ. დუმბაძის და სხვების მეთაურობით, აცხადებს რომ მათი გამოსვლების ხასიათი და მეთოდები თანამედროვე პირობებში აძლიერებს მუშათა კლასისა და ჩვენი პარტიის მტრების პოზიციას.

გამოვიდა რა მე-14-ე პარტყრილობისა და საკავშირო კომპარტიის ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, ოპოზიციამ გაილაშქრა ლენინიზმის საფუძვლებსა და მთელი პარტიის წინააღმდეგ და გადასწყვიტა პარტიის მთლიანობის დარღვევა; ოპოზიცია მოითხოვდა დისკუსიის დაწყებას, რომელიც არავისთვის საჭირო არ იყო.

სამხრეთ-ოსეთის მთელი ორგანიზაციის სახელით სხდომა ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ ოპოზიციის აღმაშფოთებელი გამოსვლა მე-13 და მე-14 პარტყრილობის და ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ პარტიული რიგების მთლიანობის შესახებ, აყენებს საკითხს: მთლიანი ბოლშევიკური პარტიის ყოფნა არყოფნის შესახებ, რითაც დიდ სიძნელეებს ქმნის პარტიის წინაშე პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, რადგან ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური სახელმწიფოებით არის გარშემორტყმული და განიცდის სამეურნეო დაბრკოლებებს. ოპოზიცია თავის გამოსვლებით ხელს უშლის უკანასკნელი პარტყრილობისა და ც. კ. და ც. ს. კ. გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას.

საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებში, და კერძოთ თბილისში, ოპოზიციის ერთსა და იმავე დროს გამოსვლა მოწმობს ორგანიზაციულად მოწყობილ ფრაქციული ბრძოლის არსებობას, რომელიც აერთიანებს არა მარტო ახალი დროის ლიკვიდატორებს—ოსოვსკის, მედვედევს და შლიაპნიკოვს, არამედ უპრინციპო გაჯიუტებულ დუმბაძეს, ცინცაძეს და პარტიის სხვა წევრებს. ჩვენი პარტიის ისტორიაში ოპოზიციის ანტიბოლშევიკური გამოსვლა, როგორც არსებითად ისე თავის ფორმით არის არა მარტო დარღვევა მე-14 პარტყრილობისა და ც. კ. უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებებისა, არამედ პირდაპირი და თავხედური დაცინვა მთელ პარტიაზე, რომელმაც არა ერთხელ დაგმო ფრაქციულ გამთიშველი მოქმედება.

პარტიას არ სურს დამღუპველი შინაპარტიული დისკუსია იმ საკითხების გარშემო, რომელიც მე-14 პარტყრილობამ და ივლისის პლენუმმა გადასწყვიტა იმ დროს, როცა საჭიროა ყველა ძალების დაჭიმვა პარტიის ძირადი ამოცანების განსახორციელებლად, არსებულ სიძნელეთა დასაძლევათ სამეურნეო დარგში და ჩვენი სოციალისტური მეურნეობის მომავალი განვითარების საქმეში, პარტიის ინტერესები მოითხოვენ ბოლშევიკურ დისციპლინისადმი უსიტყვო დამორჩილებას საკავშირო კომპარტიის ყველა წევრებისაგან გამოუკლებლად. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ კატეგორიულად დისკუსიის თავზე მოხვევისა და ლენინიზმის საფუძვლების ტროცკიზმის საფუძვლებით შეცვლის წინააღმდეგ.

მოვითხოვთ ოპოზიციისაგან დეზორგანიზატორულ ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტას და ძველ ნაცად ლენინურ გზაზე დადგომას. სავსებით ვიწონებთ ორგანიზაციულ დასკვნებს უ. ცინცაძის შესახებ და მოვითხოვთ საქ. კომპარტიის ც. კ. და მასზე მაღლა მდგომ პარტორგანიზაციებისაგან მედგრად იბრძოლონ საკავშირო კომპარტიის თითეული წევრის ანტიპარტიული მოქმედებისა და მთლიანად-კი ოპოზიციის წინააღმდეგ არ დაიხიოს უკან სასტიკი პარტიული სასჯელის დადებაში.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ მთლიანობას და პარტიის ფოლადისებურ დისციპლინას! ძირს ოპოზიციონური თიმში!

ტყიბული

ტყიბულის მაღაროს მუშებისა და სატრანსპორტო უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა მან ამხ. სევ. მინდაძის მოხსენება, პარტიის და ოპოზიციის შესახებ, სთვლის, რომ ოპოზიციის უპრინციპო შეკოწიწებული ბლოკის ფრაქციული ბრძოლა გაუგონარი მოვლენაა ჩვენს პარტიაში, რაც საფრთხეს უქადის პარტიის მთლიანობას და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებას.

ოპოზიციის მიერ წამოყენებული დებულებები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის, შეუძლებლობის, მრეწველობის არასოციალისტური ხასიათის, ინდუსტრიალიზაციის და გლეხთა საკითხში გადახრების შესახებ კრებას შეცდარათ მიაჩნია. კრება აღიარებს, რომ მათი ავტორები ასცდენ ლენინიზმს და ტროცკიზმამდე დაექანენ.

ოპოზიციის მოთხოვნილება ინდუსტრიალიზაციის ტემპის გასაძლიერებლად გლეხობის დაბეგვრისა და საქონელზე ფასების გადიდების შესახებ კრებას დამღუპველად მიაჩნია მუშების და გლეხების კავშირის საქმისათვის.

ტყიბულის მაღაროს მუშათა, საწარმოვო და სატრანსპორტო უჯრედების გაერთიანებული კრება სრულიად მიზანშეწონილად სთვლის. მხარს უჭერს და უერთდება ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის ყველა დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია პარტიის მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ.

უჯრედების გაერთიანებული კრება, გაეცნო რა ის [illegible] ორგანიზაციის ზოგ წევრების გამოსვლას, თავის გულისწყრომას გამოსთქვამს მათ წინააღმდეგ და მოუწოდებს მათ წესიერებისაკენ.

ქუთაისში უპარტიოთა კრებაზე არალეგალური მენშევიზმის წარმომადგენლის [illegible] ქალის გამოსვლა, რომლის კონტრ-რევოლიუციონური მოთხოვნილებები სრულიად ეთანხმება მედვედევ-ოსოვსკის თვალსაზრისს, სავსებით მიეწერება ოპოზიციონერთა საქმიანობას.

მოუწოდებთ ოპოზიციონერებს წესიერებისაკენ, რათა მათ დაშალონ ჯგუფები, ფრაქციები და დაემორჩილონ ლენინურ პარტიის დისციპლინას. კრება სთხოვს პარტიის ბელადს—ცენტრალურ კომიტეტს სათანადო ზომები მიიღოს პარტიის რიგების მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

ძირს გამთიშველები.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობასა და პარტიის ბელადს—ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთლიან და ერთად-ერთ ლენინურ პარტიას!

ქართულ სამხედრო პარტორგანიზაციაში

19 ოქტომბერს შესდგა თბილისის გარნიზონის ქართული ნაწილების პარტუჯრედების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება სამეურნეო პოლიტიკაზე.

მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. სიხარულიძის მოხსენება პარტიის სამეურნეო პოლიტიკაზე, თბილისის გარნიზონის ქართული ნაწილების პარტიული კრება აღიარებს: 1) პარტიის სამეურნეო პოლიტიკა სავსებით სწორი და მიზანშეწონილია. იგი მიმართულია მეურნეობის სოციალურ საფუძვლების განმტკიცების და პროლეტარიატის და გლეხობის სამეურნეო კავშირის გაძლიერებისაკენ.

2) გაერთიანებული ოპოზიციის თავდასხმა პარტიაზე დღევანდელ მძიმე პერიოდში იწვევს პარტიის ძალების შესუსტებას. ბრძოლის გამთიშავი მეთოდები, რომლებსაც მიმართა ოპოზიციამ, უმზადებს საბჭოთა კავშირს დიდ საფრთხეს. ფრაქციული მუშაობა, რომელსაც აწარმოებს ოპოზიცია, არანახული მოვლენაა ჩვენი პარტიის რიგებში. პარტკრება სასტიკად ილაშქრებს ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის წინააღმდეგ და მოითხოვს სასტიკი ზომების მიღებას ფრაქციონერთა წინააღმდეგ.

გაზეთებში გამოქვეყნებულ ოპოზიციის განცხადებას ვღებულობთ ცნობათ და მოვითხოვთ, რომ ოპოზიციის განცხადების ის მუხლები, რომლებშიაც იგი ემორჩილება პარტიის ნებას და შლის ფრაქციებს, ოპოზიციის მიერ იქნეს შესრულებული სრულად.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ დისკუსიის!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

საქ. ახ. ლ. კომკავშირის ცენ. კომიტეტის პლენუმი

მეორე სხდომა

ს. ა. ლ. კ. კ. პრეზიდიუმის წევრთა ერთი ჯგუფის განცხადება

19 ოქტომბერს ს. ა. ლ. კ. კ. პლენუმის დილის სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა ც. კ. პრეზიდიუმის წევრთა ერთი ჯგუფის შემდეგი განცხადება: როგორც პლენუმმა უკვე იცის ამხ. მ. კახიანის მოხსენებიდან და ამ მოხსენების გარშემო გამართულ კამათიდან—ქართულმა ოპოზიციამ იმთავითვე აიღო ბრძოლის ფრაქციული მეთოდი და შეეცადა გადაეტანა ეს ბრძოლა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციაშიაც. მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთმა უჯრედმა ანდა რომელიმე უჯრედის მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ არ დაუჭირა მათ მხარი, ოპოზიციამ მაინც შესძლო გადაებირებია თავის მხარეზე და ჩაება ფრაქციულ მუშაობაში ს. ა. ლ. კ. კ ც. კ. და თბილისის კომიტეტის აპარატში მომუშავენი, ამხ. ძიგრაშვილი, ფრანგიშვილი, ტაბიძე და ბახტაძე.

ყველაზე მძიმე მომენტში, როცა კავშირის ხელმძღვანელობის საკითხი უფრო ძნელია და როული, როცა საჭიროა ც. კ. პრეზიდიუმის კოლექტიური და შეთანხმებული მუშაობა, პრეზიდიუმის წევრებმა ამხ. ძიგრაშვილმა, ფრანგიშვილმა და ტაბიძემ მხარი დაუჭირეს ოპოზიციას და ჩაებენ ფრაქციულ ბრძოლაში, რითაც ც. კ. პრეზიდიუმის პრაქტიკული მუშაობა და ხელმძღვანელობა საგრძნობლად შეასუსტეს.

ოპოზიციის ბელადების ზინოვიევის, კამენევის, პიატაკოვის და სხვების განცხადების შემდეგ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ზემოაღნიშნული ამხანაგები ჩამოშორდებიან ფრაქც. ბრძოლას და გულწრფელად შეეცდებიან საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში დახმარების გაწევას. მიუხედავათ ამისა ამხ. კახიანის მოხსენების გამო პლენუმზე შეტანილ რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის დროს, —რეზოლიუციის, რომელშიაც გარკვევით იყო ხაზგასმული მთლიანობის აუცილებლობა და პარტიის გადაწყვეტილებათა შეუცვლელად ცხოვრებაში გატარება და ამით ლენინური ხაზის დაცვა ჩვენს კავშირში,—ამხ. ძიგრაშვილმა, ფრანგიშვილმა, ტაბიძემ და მათთან ერთად ბახტაძემ თავი შეიკავეს და ამით ფაქტიურად რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

ჩვენ ვსთვლით, რომ ასეთი არაგულწრფელი მოქცევის დროს, როცა ზემოაღნიშნული ამხ-ბი პლენუმის ტრიბუნიდან ლაპარაკობდენ ერთს და ფაქტიურად იმავე სხდომაზე რამოდენიმე წუთის შემდეგ რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, რითაც განაგრძობენ თავის ფრაქციულ მოქმედებას, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ც. კ. პრეზიდიუმში ჩვენი ერთად მუშაობა შემდეგში შეუძლებელია.

ვღებულობთ რა მხედველობაში მთლიანობისა და კოლექტიურ შეთანხმებულ მუშაობის აუცილებლობას ც. კ. პრეზიდიუმში კავშირისათვის ამ პასუხსაგებ მომენტში, ჩვენ შემოგვაქვს პლენუმზე წინადადება განთავისუფლებულ იქნან ამხ-ბი: ძიგრაშვილი, ფრანგიშვილი და ბახტაძე ცეკას პრეზიდიუმის წევრობის თანამდებობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვანთავისუფლოთ ჩვენ საკავშირო მუშაობიდან და მოგვხსნათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში.

განცხადებას ხელს აწერს ამხ-ბი: გობეჩია, ჯავახიძე, სალუქვაძე, არუთინოვი, აზაოშვილი, გარსევანოვი, მოგელაძე და ნესტეროვი.

შემდეგ წაკითხულ იქნა ოპოზიციონერ კომკავშირელების განცხადება, რომელშიაც ისინი შეეცადენ თავი ემართლებიათ წაყენებულ ბრალდებისაგან.

ხანმოკლე კამათის შემდეგ, ოპოზიციონური ჯგუფის არა გულწრფელი მოქმედების გამო, პლენუმმა ერთხმად დაადგინა გაანთავისუფლოს ისინი ც. კ. პრეზიდიუმში მუშაობიდან.

ამას გარდა, ფრაქციული მუშაობისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან სენაკის სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. კაჭარავა და ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. ბახტაძე.

მეორე საკითხის შესახებ პრეზიდიუმის ანგარიშის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გობეჩია.

ს. ა. ლ. კ. კ. პრეზიდიუმის ანგარიში

ამხ. გობეჩიას მოხსენება

ამხ. გობეჩიამ თავდაპირველად აღნიშნა, რომ ც. კ. მეორე პლენუმის შემდეგ, როცა განახლებული იყო პრეზიდიუმის შემადგენლობა, შეიქმნა ჯანსაღი პირობები საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციის მუშაობისათვის; ის ლაპარაკობს, რომ საქართველოს კომკავშირმა უკუაგდო ახალი ოპოზიცია. ოპოზიციის ცდა ჩაება საქ. კომკავშირულ ორგანიზაციის წევრები ფრაქციულ მუშაობაში უშედეგოთ დამთავრდა. მაზრებში ოპოზიცია შეეცადა გამოეყენებია კომკავშირის ზოგიერთი წევრების უკმაყოფილება, რომელიც წარმოიშვა იმ ნიადაგზე, რომ ამჟამად შეუძლებელი გახდა ახალგაზრდობის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასწავლებლებში ან სამუშაოებზე მოთავსების შესახებ. მაგრამ ოპოზიციამ ვერც აქ მოიპოვა გამარჯვება. საქართველოს კომკავშირის 99 პროც. დგას საქ. კომპარტიის ც. კ. ხაზზე. იყო აგრეთვე ცდა ოპოზიციის მხრიდან შეექმნათ უკმაყოფილება კომკავშირის სამაზრო და ცენტრალურ ორგანიზაციებს შორის ყალბი ინფორმაციის საშუალებით. ავრცელებდენ ხმებს თითქოს ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტის მთელი შემადგენლობა ოპოზიციის ხაზზე დგას.

ოპოზიციის მუშაობის დასამარცხებლად ადგილებზე ჩატარებულ უნდა იქნეს ენერგიული კამპანია ჩვენი ცენტრალური ორგანიზაციების უკანასკნელ დადგენილებათა ახსნა-განმარტებით. ძირითადი ამოცანა, რომელიც კომკავშირის წინაშე სდგას ეს არის შინაპარტიული მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლა, რომელიც აღნიშნულია საქართველოს ა. ლ. კ. კ. და კ. პ. პლენუმისა და ყრილობის მიერ. ორგანიზაციის ზრდის შეჩერება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. შიში ორგანიზაციის ზრდის გამო, რომელიც ემჩნევა კომკავშირის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებს, უსაფუძვლოა. ორგანიზაციის ზრდის შეწყვეტა მომასწავებელი იქნებოდა მისი, რომ უარი გვეთქვა ახალგაზრდობაზე ხელმძღვანელობის გაწევაზე. საქართველოში ჩვენ გვაქვს ახალ. მუშების კომკავშირულ ორგანიზაციებში ჩაბმის საქმეში საკმაო მიღწევები. ამ წლის 1-ლ იანვრისათვის საქართველოს კომკავშირის რიგებში ჩვენ გვყავდა 49,596 წევრი; მათგან 2.257 კანდიდატი იყო. ამავე წლის 1-ლი ოქტომბრისათვის ჩვენა გვყავს უკვე 62,641 წევრი და კანდიდატი. სოფლად, სადაც კომპარტიის უჯრედების ქსელი არც ისე ხშირია, კომკავშირი ასრულებს უდიდეს როლს; ისინი იზიდავენ გლეხობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ჩასაბმელად. ჩვენ გვაქვს აღებული კურსი არსებული უჯრედების ზრდისაკენ. საშუალოთ თვითეულ უჯრედში ითვლება 30 წევრი. ეროვნების მიხედვით კომკავშირში არიან: ქართველები—62,9 პროც., სომხები—11,5 პროც., თათრები—3,2 პროც. აფხაზები 2,1 პროც. სხვადასხვა—2,4 პროც.

ქალთა პროცენტი ორგანიზაციაში უდრის 14,3 პროცენტს.

უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია კომკავშირელებს შორის წერა-კითხვის უცოდინართა ზრდა. ეს აიხსნება იმით, რომ კომკავშირში მოდიან წერა-კითხვის უცოდინარნი. კომკავშირში შემოსვლის მსურველებს ამ მხრივ უფრო გაძლიერებული მოთხოვნილება უნდა წაუყენონ.

რაც შეეხება პარტხელმძღვანელობას, საჭირო არის სამაზრო პარტიულ კომიტეტების მოშაობის გაძლიერება. ცუდათ არის საქმე სოფლად, სადაც ხშირად არა ჰყავთ კარგი პარტიული ხელმძღვანელები. პარტიული აქტივის რაოდენობა ამჟამად უდრის 7.2 პროც.

დაბალი აქტივის წამოყენების მხრით საპასუხისმგებლო სამუშაოზე ჩვენა გვაქვს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შედარებით გასულ წელთან. უნდა განვაგრძოთ მუშაობა ჩვენი აქტივის თვისობრივი მხარის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოებში გადარჩევის კამპანიამ მოგვცა სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგები, მიუხედავათ იმისა, რომ არ ყოფილა არავითარი ადმინისტრატიული ზეგავლენა.

მოხსენება გადაიდო სალამოს სხდომისათვის.

მესამე სხდომა

მომხსენებელი განაგრძობს პრეზიდიუმის მოხსენებას. იგი პლენუმის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში გაძლიერდა კომკავშირის შემადგენლობის ცვალებადობა. საქართველოს ახალგ. ლენინური კომკავშირიდან გამოვიდა 1.724 კაცი; მათ შორის 3,3 პროც. თავისი ნებით, 50 პროც. კი გამორიცხულ იქნა უდისციპლინობისა და წესდებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, დანარჩენები—ლოთობისა, რელიგიური წესების შესრულებისა და სისხლის სამართლის ბოროტმოქმედების ჩადენის გამო.

რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული ეს არანორმალური მოვლენანი, უნდა შევეცადოთ, რომ შევსცვალოთ უჯრედის მუშაობა იმგვარად, რომ იგი უფრო დაუახლოვდეს ახალგაზრდობის ინტერესებს.

საქ. ახალგ. ლენინური კომკავშირის პოლიტგანმანათლებელი მუშაობის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პოლიტგანათლების სკოლებსა და წრეებში შარშან ირიცხებოდა 34.426 კაცი, მისი შედეგები ასეთია: მოსწავლეთა 63 პროც. ქალაქად და 29 პროც. სოფლად გადავიდენ უმაღლეს ჯგუფში.

შეგირდობის საკითხი ამჟამად მოწესრიგებულია. ის ისტუმრებს თავის ხარჯებს და ცოტა მოგებასაც კი იძლევა. მრეწველობის ყველა დარგში იზრდება მათი სამუშაო ხელფასი. ძალიან მძიმეა ბრძოლა უმუშევრობასთან: ამჟამად კომკავშირში 1.202 უმუშევარია.

წელს შრომის სახალხო კომისარიატის ხარჯით აღრიცხვით შესაძლებელი გახდა 124,290 მანეთის გადადება უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

საჭიროა კომკავშირმა გააძლიეროს მუშაობა მოჯამაგირე ახალგაზრდობის შორის. პროფგანათლება საქართველოში დამაკმაყოფილებელ დონეზე არის დაყენებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მიღებულნი არ იგზავნებოდენ კავშირის ხაზზე. ამით აიხსნება, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდობა, წარმოებაში სამუშაოდ გაგზავნის მაგიერ, უმუშევრად რჩებოდა.

სოფლად მოხერხდა გლეხური ახალგაზრდობის 36 სკოლის გახსნა.

რაც შეეხება პიონერთა ორგანიზაციებს, მათი ზრდა თვალსაჩინოა, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატის დახმარებით, აშკარად გაუმჯობესდა მათი მძიმე მატერიალური პირობები.

შემდეგ, მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

მეოთხე სხდომა

20 ოქტომბერს დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ცეკას პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. კუხალეიშვილმა (ქუთაისი), აზარაშვილმა, თავდგირიძემ (აჭარისტანი) ხამასურიძემ, ნესტეროვმა, კიკნაძემ და გარსევანიშვილმა.

ამხანაგები აღნიშნავდენ ს. ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის მიღწევებს და ნაკლულოვანებებს. მომხსენებელმა ამხ. გობეჩიამ თავის საბოლოო სიტყვაში სათანადო პასუხი გასცა მოკამათეებს.

პლენუმმა ცეკას პრეზიდიუმის პოლიტიკურ-ორგანიზაციული ხაზი და ამ მხრივ წარმოებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

მოხსენების ირგვლივ პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლათ არჩეულ იქნა 9 კაცისაგან შემდგარი კომისია.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტი"-ს გუშინდელ ნომერში საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის დადგენილებაში გაპარულია კორექტურული შეცდომა. **სწერია:** „ჩაბუნაშვილი ეფრემ ალექსანდრეს-ძე" და სხვა. **უნდა იყოს:** „ჩახუნაშვილი ეფრემ ალექსანდრეს-ძე" და სხვა.

პატარა ფელეტონი

გვირგვინოსანი ლეში ამერიკაში

„რუმინეთის მეფის ცოლი ჩავიდა ამერიკაში, სადაც მას დიდი ზეიმით და ზარბაზნების სროლით მიეგებებიან. მილიარდერების ქალიშვილები დაჟინებით ითხოვდნენ დაეშვათ ისინი მოახლეებათ მეფის ცოლთან“.

თქვენც კი იცით, მეც კი ვიცი...
ქვეყანაა ამერიკა.
ამბობენ, რომ დემოკრატებს
ბევრს იპოვით, თურმე, იქა.
კვლავ ამბობენ, რომ იქ თურმე
მეფე ჯერაც არ ყოფილა.
(ნახეთ ხალხო, ერთი ნახეთ
ამერიკა რა ყოფილა).
თუმცა... თუმცა, უკაცრავად,
ჩირქს ნუ მოვსცხებთ ამ ქვეყანას,
თორემ ვინძლო ვერ შეიძლებს
ამგვარ დარდის გადატანას.
მათ ჰყავთ მეფე, არა ერთი
ათასობით. დიახ, აბა?!—
ნავთის მეფე, რკინის მეფე,
ნახშირის და სხვა ჯანდაბა.
არ ჰყავთ იმათ, არ ჰყავთ მხოლოდ
გვირგვინოსან მეფის ლეში.
ზოგს ის ერთხელაც არ უნახავს
თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში.
და ამ, ხალხო, დღეს ელირსა,
დღეს ელირსა ამერიკას,
დღეს ეწვია იმას „ბედი“.
დღეს იძახის ის „ევრიკას“.
ისვრის, ისვრის ზარბაზნებსა
ხმაურობს და სჭიმავს ძარღვებს,
ხუმრობაა? რუმინეთის
დედოფალი ზღვას მოარღვევს!
მოარღვევს და მოდის იგი
ხუმრობ? მოდის ცოცხლად ლეში
უცხო მხეცი, უცხო რამე
გამოზრდილი სასახლეში.

„თავისუფალ“ ამერიკას
იგრიხება ძეგლი ოთხად.
დედოფალთან მიდის იგი
თაყვანი სცეს უნდა მორცხვად.
იქ, ამ ცოცხალ მაიმუნის
თვალით ნახვა უნდა ყველას
ზოგს სურს მისი ფარეშობა,
ზოგი ითხოვს ფარეშთ შველას.
ხალხო, გესმით? მილიარდერ
ერთ მეფის შვილს რა უთქვია?
—„თუ დედოფლის ტუფლს არ გავწმენდ,
უნდა ვიკრა შუბლში ტყვია“.
მოდი, რახან მეფეებზე
იქ ბაზარი ასეთია,
ჩვენ აქ ასე გადავსწყვიტოთ:
(ეს ხომ მაინც სულ ერთია)
მოვაგროვოთ ეს ნაგავი
(მეფეები) ევროპაში
და მის ნაცვლად, რომ ჩვენშივე
გადავყაროთ ყველა ტბაში
გაუგზავნოთ ლორ მეფეებს
და მათ შვილებს გასართობად.
ფულს ავიღებთ... მათ შემდეგაც
კი მივსწვდებით დასაღრჩობათ.
გავეგზავნოთ და შეუთვალოთ
ამერიკის პროლეტარებს:
ნავთის მეფეს, სხვა მეფეთაც
უთვალთვალონ ფხიზლათ კარებს.
და როდესაც ამერიკას
მიაკითხავს ოქტომბერი,
თავის თავად ყველა მეფეს
მიეზღვება ყველაფერი.

ხოზიკა

გურიის ნავთი

მუშაობა დაწყებულია

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში გურიის ნავთიანი ადგილების გამოსაკვლევად სამუშაოთა შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობებ შემდეგს:

— წინასწარი გამოკვლევითი მუშაობა უკვე დაწყებულია. მუშაობას უხელმძღვანელებს ინჟ. ერლაშვილი და ბურღვის გამგეთ მოწვეულია ცნობილი სპეციალისტი ჯინორიძე, რომელიც ამ საქმეში ითვლება დიდი გამოცდილების მქონეთ.

გარდა ამისა უკვე დაწყებულია საბურღავ ადგილებზე მუშებისათვის ბინების (ბარაკების) აგება და სწარმოებს საჭირო მოწყობილობათა და აპარატურის მიტანა ადგილზე.

გურიის ნავთის სამმართველო ამჟამად ორგანიზაციის სტადიაშია და იგი მოთავსდება ან სუფსაში და ან ოზურგეთში. სამუშაოთა გეოლოგიური სამმართველო იარსებებს ბაქოში „აზნავთთან“.

გურიის ნავთიანი ადგილების მთავარ გეოლოგიურ სამუშაოთა უფროსათ დანიშნულია გეოლოგი კრუში. მუშაობის დაწყება პირველ რიგში განზრახულია სუფსის ახლო—ხოფ. ომფარეთში. საჭირო მუშა-ხელი და სპეციალისტები უკვე მოწვეულია.

იტალიის მუშათა დელეგაციის მოლოდინში

27 ოქტომბერს ბაქოდან თბილისში ჩამოვა იტალიის მუშათა დელეგაცია.

დელეგაციაში შედის 27 კაცი; აქედან 13 იტალიის მუშა-ახალგაზრდობის წარმომადგენელია, 14 იტალიის მუშების და მუშა-ქალების წარმომადგენელი.

სხვათა შორის ეს იტალიის მუშების პირველი დელეგაციაა საბჭოთა კავშირში.

დელეგაციაში შედიან მუშა-მბეჭდავები, საამშენებლო დარგის მუშები, მექანიკოსები და ტრამვაის მუშები.

პარტიულობის მიხედვით დელეგაციაში შედიან კომუნისტები, სოციალისტ-მაქსიმალისტები, სოციალისტ-რეფორმისტები, ანარქისტები, რესპუბლიკანელები და უპარტიოები.

დელეგაცია უკვე ორი კვირაა, რაც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში.

სტაროსელსკის ქვრივი

თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის ყოფილ ცნობილ რევოლუციონერ გენერალ-გუბერნატორის სტაროსელსკის ქვრივი ვალენტინა ანდრიას ასული სტაროსელსკაია შვილებით.

სტაროსელსკი რეაქციის გამარჯვების შემდეგ 1907 წელს იძულებული იყო გაქცეულიყო რუსეთის თვითმპყრობელობის ჯალათებს და თავი შეეფარებია საფრანგეთისათვის, სადაც ის გარდაიცვალა პარიზში უკიდურეს სიღარიბეში 1916 წლის 26 აგვისტოს.

სტაროსელსკის გვამი დასწვეს და ფერფლი მიწას მიაბარეს კომუნარების სასაფლაოზე—„პერლაშეზზე“.

სხვათა შორის პარიზშივე გარდაიცვალა სტაროსელსკის ორი უფროსი ვაჟი.

ვალენტინა ანდრიას ასული ორი ვაჟით თბილისში ჩამოვიდა საქართველოს მთავრობის მოპატიჟების თანახმად. განათლების სახალხო კომისარიატმა ამხ. სტაროსელსკაიას აღუთქვა შვილების მოწყობა იმ სასწავლებლებში, სადაც ისინი მოისურვებენ.

სტაროსელსკაიას საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან დანიშნული აქვს მუდმივი პენსია.

ამხ. სტაროსელსკაია საფრანგეთის კომპარტიის წევრია 1923 წლიდან.

თბილისში ამხ. სტაროსელსკაია მოხსენებას გააკეთებს თანამედროვე საფრანგეთის ყოფა ცხოვრების შესახებ.

ბუნებრივი სიმდიდრენი

სპილენძის მადანი კახეთში

ამ რამოდენიმე თვის წინად ინჟ. კარაპეტიანცმა და ინჟ. დავიდოვმა მოახდინეს კახეთის სპილენძის საბადოების გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგების შესახებ მათ თავიანთი მოხსენება წარადგინეს ს. მ. უ. საბჭოში.

ს. მ. უ. ს. მიერ დანიშნული იქნა სპილენძის მადნეულობის საბოლოო შესასწავლად და რაოდენობის გამოსაკვლევად განსაკუთრებული გეოლოგიური კომისია ინჟ. კონიუშევსკის მეთაურობით. კომისიამ დაათვალიერა მადნების ყველა საბადოები და მოახდინა საექსპლოატაციო პირობების შესწავლა და მადნების რაოდენობის გამოკვლევა.

კომისიის დასკვნებით კახეთში სპილენძის მადნების ექსპლოატაციის დაწყება ჯერ-ჯერობით უნდა ჩაითვალოს მიზანშეუწონლად და ეს საკითხი მოხსნილ იქნა მიმდინარე სამუშაოთა პროგრამიდან.

ალიუმინის გამოკვლევა

გუშინ საღამოს ქიათურისკენ გაემგზავრა ამერიკელების საალიუმინიო კომპანიის გეოლოგთა კომისია, გეოლოგ გარდერის მეთაურობით. კომისიას თან გაჰყვა ს. მ. უ. ს. წარმომადგენელი ინჟ. კონიუშევსკი, რომელიც ამერიკელებთან ერთად ჩაატარებს გამოკვლევითი გეოლოგიურ სამუშაოებს.

ამერიკელ გეოლოგების აზრით ქიათურის რაიონში უნდა მოიპოვებოდეს საუკეთესო ხარისხის ალუმინის ბოქსიტები (მადნები). ბოქსიტების საბადოების გამოკვლევა გასტანს დაახლოებით ერთი კვირა, რომლის შემდეგაც დაიწყება ნაპოვნი მადნის ქიმიურ-ტეხნიკური ანალიზი.

ამერიკელ გეოლოგების კომისია გუშინ ჩამოვიდა განჯის რაიონიდან, სადაც მათ ჩაატარეს ალუმინის მადნების ძიება-გამოკვლევა. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მათ აღნიშნეს, რომ განჯის მადნის ნიმუშები იძლევიან საუკეთესო იმედებს და იქ ექსპლოატაციის დაწყება უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილ და დროულ საქმედ. ამჟამად სწარმოებს განჯიდან ჩამოტანილ ნიმუშების ანალიზი.

ახალი საბინაო ტარიფი

რა ცვლილებებია შეტანილი ახალ დებულებაში

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული იყო ახალი საბინაო ტარიფი, დამტკიცებული საქ. სახალხო კომისართა საბჭოს 19 ოქტ. სხდომაზე, იმ ცვლილებებით და შესწორებებით, რომელიც შეტანილ იქნა ა. წ. პირველ ოქტომბერს გამოქვეყნებულ პროექტში თბილისის საბჭოს პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად.

ამჟამად დაინტერესებულ პირთათვის მოგვყავს ძველი და ახალი დებულებების შედარება იმის განმარტებით, თუ სახელდობრ რა ცვლილებები არის შეტანილი საბოლოოდ მიღებულ და დადასტურებულ საბინაო ტარიფის დებულებაში.

სრულიად შეცვლილია დებულების მეოთხე მუხლი შემდეგნაირად:

1) მუშა-მოსამსახურენი მათი სატარიფო განაკვეთის მიხედვით თვითეულ კვადრ. მეტრზე რომელნიც ლებულობენ:

	წინანდელი დებულებით იხდიდნენ	ახლად მიღებული დებულებით იხდიან
20 მანეთამდე	5 კაპ.	4 კაპ.
20-დან—30-მდე	8 კაპ.	6 კაპ.
30-დან—40-მდე	11 კაპ.	8 კაპ.
40-დან—50-მდე	14 კაპ.	11 კაპ.
50-დან—60-მდე	17 კაპ.	14 კაპ.
60-დან—70-მდე	20 კაპ.	17 კაპ.
70-დან—80-მდე	22 კაპ.	20 კაპ.
80-დან—90-მდე	26 კაპ.	23 კაპ.
90-დან—100-მდე	28 კაპ.	26 კაპ.
100-დან—110-მდე	32 კაპ.	29 კაპ.
110-დან—125-მდე	35 კაპ.	32 კაპ.
125-დან—150-მდე	38 კაპ.	36 კაპ.

2) უმუშევარნი, რომელნიც პროფკავშირის წევრებად ირიცხებიან, ან აქვთ სოციალური დაზღვევის უფლება წინანდელი დებულებით იხდიდნენ 5 კაპ., ახლად მიღებული დებულებით კი 4 კაპ. თვითეულ მეტრზე,

3) შინამრეწველები და ხელოსნები, შინამრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრები, ან წევრობის უფლების მქონენი, რომელნიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით, უმეტეს ერთი მუშისა, წინანდელი დებულებით ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 28 და არა უმეტეს 86 კაპ. კვად. მეტრზედ ახლად მიღებული დებულებით კი იხდიან არა ნაკლებ 28 კაპ. და არა უმეტეს 86 კაპ.

4) შინა-მრეწველები და ხელოსნები, რომლებსაც შინა-მრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრობის უფლება არა აქვთ, და რომლებიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით უმეტეს ერთი მუშა-ხელისა, წინანდელი დებულებით ქირას იხდიდნენ სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 86 კაპ. და არა უმეტეს 2 მან. მეტრზე, ახლად მიღებული დებულებით კი იხდიან არა ნაკლებ 52 კაპ. და არა უმეტეს 2 მანეთისა.

5) პირნი, რომელნიც სოციალურ უზრუნველყოფაზე ირიცხებიან და არსებობის სხვა წყარო არ მოეპოვებათ; წითელ-არმიელის ოჯახი, რომელიც მის სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მის კმაყოფაზე ირიცხებოდა და, რომელსაც ამჟამად არა აქვს საკუთარი შემოსავლის წყარო: მოსწავლენი, რომელთაც სახელმწიფო სტიპენდია ეძლევათ; აგრეთვე ისინი, რომელთაც სტიპენდია არ ეძლევათ, მაგრამ განთავისუფლებული არიან სწავლის ფულისაგან, წინანდელი დებულებით იხდიდნენ 5 კაპ. ახალი დებულებით კი 4 კაპ.

6) თავისუფალი პროფესიის პირები (ექიმები, ინჟინრები, დამცველთა კოლეგიის წევრები და სხ.), რამდენადაც ისინი არ ექვემდებარებიან წინანდელი დებულების მე-4 და მე-13 §§-ს, ხოლო ახლად მიღებული დებულების 4-სა და მე-16 §§-ს, ქირას იხდიდნენ წინანდელი დებულებით სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 29 კაპ. და არა უმეტეს 2 მანეთისა., ახლად მიღებული დებულებით კი არა ნაკლებ 26 კაპ. და არა უმეტეს 2 მანეთისა.

წინანდელ და ახლად მიღებულ დებულებების დანარჩენ პარაგრაფებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

რკინისგზელების ხელფასის გადიდება

გუშინ მოხდა სატარიფო შეთანხმება ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტსა და ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის შორის. ახალი სატარიფო შეთანხმებით უდიდდებათ შრომის ხელფასი ა.-კ. რკინისგზელებს, გარდა ნარდ სამუშაოებზე მომუშავეებისა, მემანქანეებისა და სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისა. ახალი ხელშეკრულებით გაუქმებულია ა.-კ. რკ. გზაზე არსებული ორი სატარიფო ზოლი—ძირითადი და სამალარიო. აღნიშნულ ზოლების ნაცვლად წესდება ერთი მთლიანი ზოლი და რკ. გზ. ყველა მუშებს ეძლევათ თანასწორი ხელფასი, როგორც სამალარიო, ისე ძირითად ზოლში. ახალი ხელშეკრულებით ა.-კ. რკ. გზაზე წესდება შემდეგი სატარიფო ქსელი:

თანრიგები	ძირითადი ხელფასი	დამატებით	სრული ხელფასი
1	20 მ. 75 კ.	5 მ. 25 კ.	26 მ. კ.
2	23 „ 60 „	5 „ 40 „	29 „ 6 „
3	27 „ 90 „	5 „ 10 „	33 „
4	32 „ 50 „	5 „ —	37 „ 50 კ.
5	38 „ 55 „	3 „ 95 „	42 „ 50 „
6	42 „ 45 „	2 „ 05 „	44 „ 50 „
7	46 „ —	1 „ —	47 „ —
8	49 „ 30 „		
9	51 „ — „		
10	56 „ 85 „		
11	62 „ 70 „		
12	65 „ 60 „		
13	70 „ — „		
14	74 „ 35 „		
15	77 „ 30 „		
16	80 „ 20 „		
17	83 „ 10 „		
18	87 „ 50 „		
19	90 „ 40 „		
20	93 „ 30 „		
21	97 „ 70 „		
22	102 „ 10 „		
23	109 „ 35 „		
24	116 „ 65 „		

ამრიგად, ხელფასი უდიდდება ყველა კვალიფიკაციის მუშებს გარდა მემანქანეებისა, მონარდე მუშებისა და სამმართველოს მოსამსახურეებისა. განსაკუთრებით დიდდება დაბალ კვალიფიკაციის მუშათა ხელფასი.

ახალი სატარიფო ხელშეკრულებით ემატებათ თითო თანრიგი დაბალ თანამდებობისა და კვალიფიკაციის მუშებს, წყლის მიმწოდებლებს, სადგურის დარაჯებს, მეისრეებს, უფროს მეისრეებს, ვაგონების გადამბმელებს, მატარებლების შემადგენლებს, სიგნალისტებს, წყალსაქაჩავის მემანქანეებს, მწონავებს, ათისთავებს, გადამწერებს, კანტორის მოხელეებს, მებაბილეებს, მენიჩბეებს, ნავის თავებს და ტელეგრაფის ხაზის შემკეთებელ მუშებს.

ახალი ხელშეკრულება ვრცელდება ა.-კ. რკ. გზებზე ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან.

ახალი გამოგონება

ამას წინეთ თამბაქოს ტრესტში განცხადება შეიტანეს მუშა გარსოევმა და საბაევ-ნიკოლაევმა მათ მიერ ახალი სახვევი აპარატის გამოგონების შესახებ.

ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტმა მიიღო აღნიშნული გამოგონებანი და დანიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეამოწმოს ეს ახალი აპარატები მათი მიზან-შეწონილობისა და არსებულ აპარატების წინაშე უპირატესობათა მხრივ. აპარატების წინასწარმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ ამ აპარატებით მიღწეულ იქნება, როგორც ქაღალდის, ისე სამუშაო დროის დიდი ეკონომია.

ხვალისთვის დანიშნულია თამბაქოს ტრესტის მიერ ამ ახალი კონსტრუქციის აპარატების მიღება, რომელსაც უნდა დაესწრონ დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

სას. სამ. ბანკში

მოთხოვნილება სას.-სამეურნეო იარაღებზე

ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე, რათა მას 1926-27 წელში მიეცეს სარაიონო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებზე დასარიგებლად გუთნები—180 ცალი, ფარცხები—40, სათესი მანქანები—40, ვერმორელის აპარატები—185, ცელები—160, დანები—280, მაკრატლები—260, გოგირდი—100 ფუთი, შაბიაბანი—200 ფუთი და ტრაქტორი—1.

ზაჰესის სათავეების შემოწმება

(საუბარი ინჟ. ჩიქოვანთან)

ზაჰესის სათავეების გამოცდასთან და მტკვარში წყლის დონის მატება-დაკლების შესახებ, ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ზაჰესის სამუშაოთა ტეხნიკური განყოფილების უფროს ინჟინერს **ჩიქოვანს**, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— 19 ოქტომბრის გამოცდა ვერ ჩაითვლება საბოლოოდ და ის არის მხოლოდ დასაწყისი იმ დიდი მუშაობის, რომელიც ჩვენ უნდა ჩავატაროთ ამ 4-5 დღის განმავლობაში. 19 ოქტომბერს დაწყებულ იქნა მხოლოდ მთავარი არხის გამოცდა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობათაგანი, რომლის სიმტკიცეზედაც დამოკიდებულია მთელი ზაჰესის ბედი. არხში შეშვებულ იქნა წყალი ერთი მეტრის სიმაღლეზე და მომავალი 5 დღის განმავლობაში წყლის დონე არხში მომატებულ იქნება 4 მეტრამდე. ამის შემდეგ დაიწყება არხის ფაქტიური გამოცდა ანუ შემოწმება. 5 დღის შემდეგ არხს [illegible] დაწრეტენ წყლისაგან და სპეციალისტთა კომისია შეუდგება არხის ტეხნიკურ შემოწმებას. მაშასადამე, 5 დღის შემდეგ ჩვენ გვეცოდინება, თუ როგორი გამძლეობის იქნება მთავარი არხი და ან რა დეფექტები აქვს მას.

მეორე უდიდეს გამოცდათ ჩაითვლება მთავარი საგუბარის ფარების გამოცდა. საგუბარში წყლის დონე მაქსიმუმამდე იქნება აყვანილი. როგორც მოგეხსენებათ ეს საგუბარი წარმოადგენს ერთ დიდ ტბას, სადაც მომავალში განზრახულია სხვადასხვა ჯიშის თევზების მოშენება და ნაოსნობის მოწყობა. საგუბარის წყლით ავსების შემდეგ დაიწყება ფარების ნაწილობრივი გამოცდა. გამოცდამ უნდა გამოარკვიოს ფარების წყლის დაკავების უნარიანობა და გაძლება.

საგუბრის გამოცდასთან დაკავშირებით მტკვრის კალაპოტში წყალი დაიწყებს ხშირ ცვალებადობას, რომლის დროსაც წყლის დაკლება იქნება წამში 500 კუბ. მეტრი. ეს უდრის მტკვარში საშუალო წყალდიდობას, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მტკვარმა ზიანი მიაყენოს ქალაქს, თუ წინასწარი ზომები არ იქნა მიღებული. ასეთი ხელოვნური წყალდიდობისაგან ქალაქის დაცვის ზომები უნდა გაგრძელდეს 24 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე.

არხის ტეხნიკური შემოწმების შემდეგ დაიწყება ტურბო-გენერატორების გამოცდა. პირველად გამოცდილი იქნება ერთი ტურბო-გენერატორი, რომელიც ქალაქს სანიმუშოთ მიაწვდის ენერგიას. ამასთან ერთდროულად იწარმოებს საგუბარის ფარების ხელმეორე და საბოლოო გამოცდა.

ნოემბრის შუა რიცხვებში ტეხნიკური განყოფილების გამოანგარიშებით შესაძლებელი გახდება ქალაქს მივაწოდოთ საჭირო ენერგია.

ზაჰესის მთელ ნაგებობათა საბოლოო ჩაბარება მოხდება დეკემბრის ბოლო რიცხვებში. ჩასაბარებლად მოველით საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ტეხნიკურ დაწესებულებათა გამოცდილ ხელმძღვანელებს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

როგორ მიმდინარეობს გადასახადის აკრეფა

მიმდინარე წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის კამპანიის შესახებ ჩვენს თანამშრომელს საქართველოს ფინსახკომის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილებაში აცნობებს შემდეგი:

— გადასახადის აკრეფის პირველი ვადა თავდება მიმდინარე წლის პირველ ნოემბერს; ამ დროისათვის აკრეფილი უნდა იქნეს გაწერილი გადასახადის 35 პროც. სულ კი მთელს რესპუბლიკაში ავტონომიურ ოლქებთან ერთად წელს გაწერილია 1.922.241 მანეთი; აქედან სამხრეთ-ოსეთზე მოდის—14.349 მანეთი, აჭარისტანზე—20.764 მანეთი და აფხაზეთზე—193.144 მანეთი.

შარშან მთელს რესპუბლიკაში გაწერილი იყო 1.581.395 მანეთი; წლევანდელი გადასახადი შარშანდელთან შედარებით გადიდებულია 21.55 პროც-ით.

გადასახადის გადიდება მოხდა კულაკური ელემენტების ხარჯზე. წელს მრავალი მეურნეობაა განთავისუფლებული გადასახადისაგან. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში სრულებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან გლეხთა მეურნეობების 73,65 პროც., აღმოსავლეთ საქართველოში—46,67 პროც., სულ კი მთელს რესპუბლიკაში გადასახადისაგან განთავისუფლებულია 61.49 პროც., ჩვეულებრივ კი გასულ წლებში განთავისუფლებულ მეურნეობების რიცხვი არ აღემატებოდა 30 პროც.

გადასახადის აკრეფა ჯერ-ჯერობით სუსტათ მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია საგადასახადო ფურცლების გვიან დარიგებით. ეს კი გამოიწვია იმან, რომ დასაბეგრავ ობიექტების აღრიცხვა აპრილის მაგივრად დაწყებული იყო ივნისში. ამაში ფინსახკომის აპარატს არ მიუძღვის ბრალი, რადგან ინსტრუქციები არ იყო თავის დროზე მიღებული.

გადასახადის თავის დროზე აკრეფას ხელს უშლის აგრეთვე მოსავლის დაგვიანებით აკრეფა და გასაღება გლეხების მიერ. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა გასული წლების გადასახადის ნარჩენების აკრეფა, რაც რამოდენიმეთ ხელს უშლის მიმდინარე წლის გადასახადის წარმატებით აკრეფას.

განყოფილების აზრით, პირველი ნოემბრისათვის შეიძლება დავალება შესრულებული ვერ იქნეს სავსებით, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადასახადის 25-30 პროც. შეგროვილი იქნება ყოველგვარ მიზეზების გარეშე. ახლანდელ პირობებში ესეც დიდ წარმატებათ უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება გასული 1924-25 და 1925-26 წლების გადასახადის ნარჩენებს, ნარჩენების საერთო რაოდენობიდან—641.576 მანეთიდან უკვე შეგროვილია 424.874 მანეთი, ე. ი. 66 პროც., დანარჩენის აკრეფა სწარმოებს მიმდინარე წლის გადასახადთან ერთად.

წლევანდელი გადასახადის ასაკრეფად დაწესებულია სამი ვადა: პირველი ნოემბერი (აკრეფილი უნდა იქნეს გაწერილი გადასახადის 35 პროც.), პირველი იანვარი (50 პროც.) და პირველი თებერვალი (15 პროც.).

ამჟამად ადგილებზე ტარდება დაკვრითი კამპანიები-კვირეულები გადასახადის მნიშვნელობის და თავის დროზე შეტანის განსამარტავად.

საგეგმო კომისიაში

ძირითადი დებულება ბინის ქირის შესახებ

საქართველოს საგეგმო კომისიამ დაავალა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, იუსტიციის სახკომთან შეთანხმებით შეიმუშაოს პროექტი ძირითადი დებულებისა ბინის ქირის შესახებ, რომლის მიხედვითაც აღმასკომებმა უნდა აამუშაონ თავიანთი დებულებები ამავე საკითხზე.

მეთამბაქოების განვითარებისათვის

იმ მიზნით, რომ არ შემცირდეს თამბაქოს ნათესების სივრცე, საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო, რომ მეთამბაქოებს საერთოდ დაუბრკოლებლივ ეძლეოდეს წინასწარ დაწესებული ავანსები.

ვინაიდან მეთამბაქოებს მიმდინარე წელში მიღებული აქვთ დესეტინაზე 400 მანეთის ნაცვლად 230 მანეთი, საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკს მიიღოს ყველა ზომები, რათა სასწრაფოდ იქნეს განაღდებული თამბაქოს საფასურში ტრესტისაგან მიღებული თამასუქები და ამ თანხიდან რიგს გარეშე დაურიგდეს მეთამბაქოებს თვითეულ დესეტინაზე კიდევ 170 მანეთის ავანსი.

რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს იმ კატასტროფიულ მდგომარეობას, რომელსაც ხშირად განიცდიან ჩვენი მეთამბაქოები ავანსების თავის დროზე მიუღებლობის გამო, საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო სექციას შეიმუშაოს ორი თვის განმავლობაში ღონისძიებანი იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება ამ საკითხის მოგვარება და წარმოუდგინოს ისინი განსახილველ - დასამტკიცებლად საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს.

ქრონიკა

დახმარება ინგლისის მემადაროებს

კამპანიის დაწყებიდან დღევანდლამდე საქართველოს პროფსაბჭოში ინგლისის გაფიცულ მემადაროეთა დახმარების ფონდში ერთდროული ანარიცხების სახით შემოვიდა 80.679 მანეთი; აქედან უკვე გაგზავნილია დანიშნულებისამებრ 77.230 მანეთი.

ერთ პროცენტიანი ანარიცხები პროფსაბჭოში ჯერ არ შესულა. აკრეფა დაიწყება ამ დღეებში.

მასიური ექსკურსია ზაჰესში

კვირას, 31 ოქტომბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება პროფკავშირების წევრებისათვის აწყობს მასიურ ექსკურსიას ზაჰესში.

ამხ. ემელიანოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა მაჰაში (სპარსეთი) ახლად დანიშნული საბჭოთა კავშირის კონსული ამხ. ემელიანოვი.

ამხ. რიბკინის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის წყალთა მეურნეობის სექციის სამეცნიერო მუშაკი—ამხ. რიბკინი.

უზბეკისტანის ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა უზბეკისტანის ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი ისაევი, რომლის ჩამოსვლის მიზანია ადგილობრივი ტროპიკული ინსტიტუტების და მალარიის საწინააღმდეგო ორგანიზაციების მუშაობის გაცნობა და მათთან კავშირის დამყარება.

ამხ. შატუნოვსკის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციის წევრი—ამხ. შატუნოვსკი.

თბ. ალმასკომში

◆ **ზაჰესის მაღალი ძაბვის** ქსელისათვის მონტიორების მოსამზადებელ კურსების მოსაწყობათ ალმასკომმა გადასდო 10.000 მანეთი.

◆ **მე-8 საბავშვო სახლი** გადატანილი იქნა დუშეთში. მის ადგილას გაიხსნა მე-5 პროფსკოლა.

◆ **ახალგაზრდობის სკოლა.** ქვემო-ავჭალის 7 წლედი განათლების განყოფილებამ გადააკეთა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლათ.

◆ **ტყეების გაშენება.** მანგლისის და კიკეთში შეუდგენ ფიჭვის გაშენებას.

◆ **ამხანაგობები.** ალმასკომმა დაამტკიცა 5 ახალი საბინაო-საიჯარო ამხ-ბა.

◆ **აღწერა.** შეწყდა აღწერის ჩასატარებლათ მუშაკების განცხადებების, მიღება.

◆ **ბავშვის სამდღიურს** ჯანმრთელობის განყოფილება ჩაატარებს მომავალ თვეში.

◆ **შეშა.** განათლების განყოფილებამ სკოლებისათვის მოიმარაგა საჭირო შეშა.

მადანის აღმოჩენა

ამ დღეებში სიღნაღის მაზრაში ადგილობრივ გლეხების მიერ, მინდვრად მუშაობის დროს, ბოდბის და მაღაროს თემების მინდვრების გასწვრივ, მდინარე იორის მახლობლად აღმოჩენილი იქნა ქვა-ნახშირი, ცარცი, სოლებავი, საპნის მიწა და გოგირდი, რომლებითაც მოცულია მთელი მთა; ამას გარდა აღმოჩენილი იქნა კიდევ ნავთი.

შრომის კომისარიატში

◆ **თამბაქოს ტრესტთან** ეწყობა შრომის და ჰიგიენის და პროფტეხნიკური კურსები.

◆ **შრომის დაცვის განყოფილება** ადგენს იმ წარმოებათა სიას, რომელთაც არა აქვთ შემოტანილი ორთქლის ქვაბების და ძრავების გადასახადი.

◆ **შრომის მუზეუმში.** შრომის კომისარიატი შეუდგა შრომის მუზეუმის გაფართოებას.

◆ **შრომის დაცვის** განყოფილება ახლო ხანში შეუდგება შრომის პირობების გამოკვლევას აფხაზეთის თამბაქოს საწყობებში.

◆ **პროფსკოლები.** სიღნაღის მაზრის თემებში იხსნება პროფსკოლები.

◆ **მოჯამაგირეთა** შრომის პირობების სანიმუშო გამოკვლევა უკვე დაამთავრა კომისარიატმა.

სხვადასხვა

— **კურსდამთავრებულ სტ. აგრონომთა კრება.** შაბათს, 23 ოქტ. სად. 6 საათ. სტ. აგრონ. წრის მუზეუმის შენობაში შესდგება ტ. ს. უ. აგრ. ფაკ. კურსდამთავრებულ სტუდენტთა კრება.—გამოსარკვევია სახელმწიფო გამოცდის დანიშვნის დრო.

◆ **პასტერის ინსტიტუტი.** ქუთაისში გაიხსნა პასტერის ინსტიტუტი.

◆ **წითელი ჯვარის** საზ-ბა ბორჩალოში ხსნის საექიმო პუნქტს.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ ღამის 11 ნახ. საათზე რუსთაველის პროსპექტზე № 36 გაჩნდა ხანძარი.

ცეცხლი დაიწყო საამშენებლო მასალების საწყობიდან, საიდანაც შემდეგ გადავიდა საზეინკლო სახელოსნოზე.

ჰქროდა საკმაოდ ძლიერი ქარი, რის გამო ცეცხლი ერთბაშად მოედო მთელს საამშენებლო მასალებს. ჩქარა უზარმაზარი ალი ამოვარდა, რომელიც ემუქრებოდა მეზობელ სახლებს.

ცეცხლი პირველად შენიშნა მეეზოვემ, რომელმაც საჩქაროდ ტელეფონით გამოიწვია ცეცხლის მქრობელი რაზმი. ხანძრის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდა თბილისის ყველა ცეცხლისმქრობელი რაზმები. მათი ენერგიული მუშაობის შემწეობით ცეცხლი ნახევარ საათში ჩაქრობილ იქნა.

დაიწვა ხე-ტყის პატარა საწყობი და საზეინკლო სახელოსნო. საამშენებლო ხელსაწყოები გადარჩენილ იქნა, ზოგიერთი დაზიანდა უმნიშვნელოდ.

ზარალი არ აღემატება 1000 მანეთს. ხანძრის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

ფიქრობენ, რომ ხანძარი გამოიწვია დილით ეზოში დანთებულ ცეცხლიდან დარჩენილ ნაკვერჩხლების გაღვივებამ.

◆ **მკვლელობა.** 18 ოქტ. ასურეთის თემში მოკლეს მელიქ თათარაშვილი.

◆ **ჯიბგირობა.** 19 ოქტ. ყოფ. ზემელის აფთიაქთან ალ. ფილიას ამოაცალეს 200 მანეთი.

◆ ამავე დღეს მოქ. მიხ. კრასკოეს ამოაცალეს საათი.

◆ **შეპყრობა.** 19 ოქტ. შეიპყრეს ქურდი აბგარ ხოჯაბეგოვი.

◆ **ბოქლომის გატეხის** საშუალებით ძნელაძის ქუჩა № 26 ნატალია ანსაკიანცს მოპარეს 250 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს გაქურდეს სპირდონ უჩანეიშვილის ბინა, (გუნიბის ქ. № 41), წაიღეს 80 მანეთის ნივთები.

◆ ამავე დღეს ნეკრასოვის ქ., № 5, მოიპა-დუშეთში. მის ადგილას გაიხსნა მე-5 პროფ-

◆ ამავე დღეს მიღაკოვის ქ. № 27 მართა კალანდაძის ბინიდან მოიპარეს 100 მ. ნივთები.

სასამართლო

აპარინის საქმე

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა მოწმეების დაკითხვა. ზოგიერთი მოწმეების ჩვენებამ არავითარი ახალი გარემოება არ შეიტანა საქმეში.

დიდ ინტერესს იწვევს პოპოვის (შემნახველ სალაროს კონტროლიორი) დაკითხვა. მოწმე დაწვრილებით უამბობს სასამართლოს იმ წესებს, რომელნიც შემნახველ სალაროში არსებობდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა საკონტროლო უწყებებზე ის ხელს აწერდა წაუკითხავად და ამით ხსნის იმ გარემოებას, თუ რატომ ვერ შენიშნა მან აპარინის მიერ წარდგენილ უწყებებში არა სწორი ციფრები კლიენტებისაგან შემოსულ თანხების შესახებ.

მოწმის თქმით, აპარინი მასზე სტოვებდა კეთილსინდისიერი ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ ამ გარემოებას ფაქტებით ვერ ადასტურებს.

აპარინის ცოლი აღნიშნავს, რომ მართალია მან წინასწარ გამოძიებაზე განაცხადა, რომ აპარინი ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ ეს ვსთქვი იმის გამო, რომ მაშინ ქმართან ცუდ განწყობილებაში ვიყავიო. მოწმე დაჟინებით უარყოფს წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ სხვა ჩვენებებსაც.

შემდეგი მოწმეების ჩვენებიდან ირკვევა, რომ აპარინი საღამოობით მიდიოდა შემნახველ სალაროში, საიდანაც გამოჰქონდა ფულები და პირადი საჭიროებისათვის ხარჯავდა.

დღევანდელ სხდომაზე მოსმენილ იქნება ექსპერტების დასკვნა და გაიმართება მხარეების კამათი.

მოკვლის ცდა

(ტ. პიანტოვსკაიას საქმე)

პროცესის მეორე დღისაც სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

მოწმე **მალცევის** სიტყვით, ტატიშვილის ცოლსა და ბრალდებულს შორის უსიამოვნება გამოწვეული იყო სამზარეულოთი სარგებლობის ნიადაგზე.

მოწმე **ბერძენიშვილი** აღნიშნავს, რომ მართალია, მან მისი რევოლვერი ათხოვა ბრალდებულს, მაგრამ მან არ იცოდა, თუ მას რევოლვერი კაცის მოსაკლავათ უნდოდა. ბრალდებული შეხვედრია და უთქვია მისთვის—„ქალაქს გარეთ მივდივარ და მათხოვე რევოლვერი“. მოწმის კითხვაზე, თუ რათ ესაჭიროება რევოლვერი, პიანტოვსკაიამ უპასუხა,—„ნიშანში სასროლათო“.

მოწმე **ბ. ჭიჭინაძე** ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულს იარაღის ხმარება უყვარდა.

მოწმე ექიმი **ზანდუკელი** უამბობს სასამართლოს, რომ ბრალდებული პიანტოვსკაია შეპყრობილია მძიმე ფორმის ფსიქო - ნევრასტენიით.

ამით დასრულდა მოწმეების დაკითხვა.

შემდეგ დაკითხულ იქნა **ლარიონოვა** (ტატიშვილის ცოლი).

ლარიონოვა აჩვენებს, რომ მასა და ბრალდებულს შორის კარგი განწყობილება არსებობდა. ჩემს ვერ წარმოიდგინა, თუ პიანტოვსკაიას ქალი მას სასიკვდილოთ გაიმეტებდა. ამა წლის სამ მაისს, სამზარეულოში შემოვიდა ბრალდებული. გადმომცა ელექტრონის ფული და წავიდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ხელმეორედ შემოვიდა ჩემთან სამზარეულოში და მითხრა: ფულის დაბრუნება ხომ არ არის საჭირო. მე უარყოფითად ვუპასუხე.

ამ დროს ამოიღო რევოლვერი და ორჯერ მესროლა.

პიანტოვსკაიას დამცველმა მესხიშვილმა შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე ექიმ-ექსპერტების გამოწვევის შესახებ.

სასამართლო ადგენს: დამცველის შუამდგომლობა უარყოფილი იქნას.

ორთაჭალის „რაინდი“.

(გ. გევორქოვის საქმე)

ავლაბრის მუშათა კლუბი სავსეა ხალხით. საბრალმდებლო სკამზე ზის ვიღაც მოქალაქე, უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი. ძალიან ფართო სახელოებიანი ხალათი, შარვალი „გალიფე“ და ნახევრად ძირგავარდნილი აზიური ფეხსაცმელი.

გაისმა ზარის ხმა და სასამართლომ დაიკავა თავისი ადგილი.

— ბრალდებულო გევორქოვ! ადგექით და უთხარით სასამართლოს, იცით თუ არა თქვენ, რაში გედებათ ბრალი?

ბრალდებული მშვიდათ წამოდგა. დარბაზს რაღაც დამცინავი თვალებით გადახედა და ისეთი ხალისიანი კილოთი გასცა პასუხი, თითქო ორთაჭალის ბაღში იჯდა და არა საბრალმდებლო სკამზე.

— ვა, მე დალოცვილო, ისე მეკითხები თითქო, რომელიმე ბანკის დირექტორი ვიყო, რომ 40 ათასი მანეთი ერთბაშად ჩამეყლაპოს რაღა, ან მილიციელს დედას შევაგინებდი, ან არა და რომელიმე მოქალაქეს „სიფათში“ ავადებდი. შეიძლება შეზარხოშების შემდეგ ლამაზ გოგონასაც ალერსი დავუწყე, რაღა.—სხვა რა უნდა ყოფილიყო.

— სწორედ მაგაში გედებათ ბრალი,—ეუბნება მას თავმჯდომარე. ქუჩაში ქალისათვის შეურაცხყოფა მიგიყენებიათ, მილიციელისათვის გიცემიათ.

— ძალიან კარგადაც მოვქცეულვარ, რატომ ერთი მაგრადაც არ უთაქე. ძალიანი მწყინს.

— რა დაგიშავათ მილიციელმა, რატომ სცემეთ მას?

— ვა! კაცო, რა დამიშავა რომელია, მილიციელის შიშით პურმარილი ველარ გვიჭამია. ძმაბიჭებთან ქუჩაში ველარ გაგვივლია.

სასამართლომ დაჰკითხა რამოდენიმე მოწმე, რომლებმაც დაადასტურეს ბრალდება. გამოირკვა, რომ ხულიგნობა ბრალდებულისათვის პროფესიათ ყოფილა გადაქცეული.

სასამართლომ დაამთავრა გამოძიება და უკანასკნელი სიტყვის ნება მისცა ბრალდებულს და უთხრა:

— რას სთხოვთ თქვენ სასამართლოს?

— ეე რაღა საკითხავია! გთხოვთ გამიშვათ სახლში. ძმა-ბიჭები, ვინ იცის, როგორ დამეძებენ.

სასამართლომ გევორქოვს 10 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

გ—რი.

სამძიმრის დეპეშები

ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო

ამხ. ლუნაჩარსკისაგან

განათლების სახალხო კომისარიატმა ამხ. ლუნაჩარსკიდან ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო მიიღო შემდეგი სამძიმრის დეპეშა: „გამოვსთქვამ უღრმეს მწუხარებას ქართული სცენის [illegible] გამო. გთხოვთ გადასცეთ ჩემი თანაგრძნობა ვასო აბაშიძის გარდაცვალებით მსახიობთა დამწუხრებულ ოჯახს, და სახელოვნო კომიტეტს.

საბჭოთა რუსეთის განათლების კომისარი—
ა. ლუნაჩარსკი.

სომხეთის განათლების კომისარისაგან

განათლების სახალხო კომისარიატმა ერევნიდან მიიღო შემდეგი სამძიმრის დეპეშა:

„მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა ქართული სცენის მოამაგის ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო“.

სომხეთის განათლების სახ. კომისარი—
მრავიანი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ევგენი ონეგინი

ტატიანას პარტიას ასრულებდა თბილისის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მომღერალი ქალი ბოკოვა. ეს პარტია მსახიობს დამუშავებული აქვს ტატიანას სიღრმისეულ შეფარდებით, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრით. სრულ თავის სიმაღლეზე იდგა ნიჭიერი მსახიობი ქალი ამ [illegible]; მხოლოდ სადაოა მისი ახალი გრიმი, რომელიც არ შეეფერება პუშკინის ტატიანას სახეს. საუკეთესო სცენები იყო „წერილის“ მონოლოგი და ფინალური სცენა ონეგინთან.

უდარდელი, მხიარული ქალის დამახასიათებელი სახე შექმნა მომღერალმა ქალმა ვოლჩანეცკაიამ ოლგას პარტიაში.

დიდი წარმატებები ეტყობა ვოკალურის მხრით მომღერალ ქალს შაყაშვილს (ძიძიკო). პარტიის სცენიური შესრულება მის მიერ მოფიქრებულია და იდეალური.

თბილისის სცენაზე პირველად გამოსულმა მომღერალმა კანზბურგმა (ლენსკი) აღმოაჩინა ლამაზი ტემბრის ლირიული ტენორი და მუსიკალობა. მაგრამ საეჭვოა მისაღებად ჩაითვალოს მის მიერ ლენსკის პარტიის შესრულება, — აქ იყო ნაკლულევანებანი, როგორც ვოკალურის (ტემპის გაჭიანურება) არა-რიტმიულობა, ოლგასთან არიოზოში პირველი აქტი, და ონეგინთან დიალოგში (მეორე აქტი) ლენსკის პარტიის სცენიური შესრულება არ ეგუება სიმართლეს და რეალიზმს. მსახიობი სულ მუდამ თამაშობს, იგი მუდამ მოუსვენარია, მიმიკა ხშირად არ ეთანხმება ფრაზას. არია დუელის წინ შესრულებულ იქნა განწყობილებით და სავსებით მუსიკალურად.

ონეგინის პარტია ახალი არის ვენაძის რეპერტუარში. იგი ამ პარტიას ასრულებდა ერთხელ, თუ ორჯელ გასულ სეზონში. როგორც ჩანს, მას შემდეგ, — მომღერალს უმუშავნია ამ პარტიის შესათვისებლად. წარმატებები აშკარად ჩანს. მსახიობს პარტია დაუძლევია და შეუქმნია ონეგინის სახე, ისე როგორც პუშკინს აქვს დახატული. შესაფერი აქვს გრიმიც, და სავსებით შეთვისებული აქვს სცენიური ხერხებიც. ვოკალური შესრულება ყველა ადგილებში ჩინებულია. პარტიის შესრულება მსახიობს შეთანხმებული აქვს პარტიტურასთან და უაღრესად მუსიკალურია.

ღრმა განცდით და მუსიკალურად შესრულა თავადი გრემინის არია შარაშიძემ.

დიდი ქების ღირსია ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი მელიქ ფაშაევი. მან მოგვცა მხატვრული მუსიკალური ილუსტრაცია, რომელიც შეეთანხმებოდა ვოკალურ შესრულებას.

ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო ბალეტი.

პ. გ.

ქართველი მხატვრის გამოფენა პარიზში

თბილისში მიღებულ ფრანგული ჟურნალ-გაზეთების, უკანასკნელი ნომრები ყურადღებით იხსენიებენ ქართველი მხატვრის — ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენას, რომლის გახსნაც დანიშნული იყო მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის.

გაზეთების ცნობით ახვლედიანის სურათების გამოფენა მიიზიდავს დიდძალ საზოგადოებას, რადგანაც სურათებში მოცემულია ახალი სიუჟეტები და შინაარსის გადმოცემის განსაკუთრებული მანერა.

ხელოვანთა სასახლეში

— **ხელოვნების სასახლის** წარმომადგენლათ ხელოვნების განყოფილების საბჭოს პლენუმში არჩეულნი არიან: მწერლები კ. მაყაშვილი, პ. ქავთარაძე, დ. რონდელი, ნ. ჩაჩავა. მუსიკოსი:— სახალხო არტისტი ზაქარია ფალიაშვილი; მხატვარი:—ვ. სიდამონ-ერისთავი.

— **დღეს, ოქტომბრის 21-ს,** ხელოვნების სასახლეში საღამოს ექვს საათზე დანიშნულია მთავარ სახელოვნო საბჭოს პირველი სხდომა. დღის წესრიგშია: 1. შ. დუდუჩავას მოხსენება: „მიმდინარე სამხატვრო სეზონი“. 2. შ. დადიანის—მოხსენება: „პროვინციის თეატრები“.

◆ **„რიგოლეტო“.** დღეს ოპერაში მიდის „რიგოლეტო“.

◆ **„როზიტა“.** ახლო ხანში წითელი თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „როზიტა“.

◆ **„აბრეკ ზაურ“.** აპოლოში დაიწყო ჩვენება „აბრეკ ზაურის“.

— **ახალი კურსები.** რკინის-გზის პროფგანათლების განყოფილებას განზრახვა აქვს ნოემბერში გახსნას მწონავთა კურსები.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გაფლანგველი

ქუთაისი, 20 ოქტომბერი. ივანე შილოვას, რკინის გზის აგენტს საჩხერეში, 1.044 მან. მითვისებისა და გაფლანგვისათვის, დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ მიუსაჯა 3 წლის სატუსაღო სასტიკი იზოლაციით.

სიყალბე და მითვისება

ქუთაისი, 20 ოქტომბერი. ბანძის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდან აბაშაში გაიგზავნა პარკი, რომელშიაც თანდართულ ბლანკის თანახმად უნდა ყოფილიყო 10.000 მან. აბაშაში პარკი გახსნეს, მაგრამ ფული არ აღმოჩნდა. სიყალბისა და მითვისებაში ბრალი დასდეს ბანძის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს ბიქტორ კაჭარავას და იმავე განყოფილების ფოსტალიონს ფანცულაიას. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ კაჭარავას მიუსაჯა 3 წლის დაპატიმრება სასტიკი იზოლაციით, ხოლო ფანცულაიას ერთი წლით.

პოლიტსკოლები კომკავშირელებისათვის

ფოთი, 20 ოქტომბერი. 1 ნოემბრიდან ქალაქში გაიხსნება 6 პოლიტსკოლა კომკავშირელებისათვის: 4 პირველი საფეხურის სკოლა და 2 მეორე საფეხურის. სკოლები ნავარაუდევია 180 მსმენელისათვის.

საბერძნეთის ახალშენის დაბრუნება ოზურგეთში

ოზურგეთი, 20 ოქტომბერი. იმპერიალისტური ომის დროს სამშობლოში წავიდა ბერძნების ახალშენი, რომელიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ოზურგეთში ცხოვრობდა. ამჟამად ახალშენმა აღძრა შუამდგომლობა დაბრუნების შესახებ, რაზედაც მან მიიღო ნებართვა. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საბერძნეთის ხელისუფლების წინაშე არ შეუშალოს ხელი ახალშენის წევრებს საქართველოში წამოსასვლელად.

ჭირნახულის აკრეფა

ოზურგეთი, 20 ოქტომბერი. მშვენიერი ამინდები დაიჭირა. სწარმოებს ჭირნახულის აკრეფა. გურიის მთელი მოსახლეობა მინდვრებშია. სოფლის შარა-გზებზე გამწკრივებულია სიმინდით დატვირთული ურმები.

გლეხური ახალგაზრდობის სკოლა

ოზურგეთი, 20 ოქტომბერი. სოფ. დვაბზუ-ქვალაში გაიხსნა გლეხური ახალგაზრდობის სკოლა, წინად ეს სკოლა შრომის შვიდწლედი იყო.

1904 წ. გაწვევა გორის მაზრაში

გორი, 20 ოქტომბერი. 1904 წ. გაწვევა სავსებით წარმატებით მიმდინარეობს ადგილი არ ქონია გამოუცხადებლობას სამხედრო ბეგარის თავიდან აცდენის მიზნით. გაწვეულთა გამოცხადების გასაადვილებლად შესაკრები პუნქტები მოწყობილია მაზრის სამ რაიონში, წინად კი ყველა გაწვეულნი ქ. გორში უნდა გამოცხადებულიყვნენ.

მოსავლის დღე

ახალქალაქი, 20 ოქტომბერი. მოსავლის დღეს, 24 ოქტომბერს განზრახულია სამაზრო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობა. გამოფენის მოსაწყობად არჩეულია სპეციალური კომისია.

ახალქალაქის მაზრის ბიუჯეტი

ახალქალაქი, 20 ოქტომბერი. ახალქალაქის მაზრის ბიუჯეტი უდრის 423.432 მან., აქედან ახალქალაქზე მოდის 110.782 მან., თემებზე—103.903 მან. და მაზრის საერთო საჭიროებებზე—208.767 მან. წარსულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ხარჯები სოციალ-კულტურულ მოთხოვნილებებზე.

წერილები

მებრძოლოთ ქურდ-ბაცაცებს

ქურდ-ბაცაცობა გლეხის მეურნეობის შეურიგებელი მტერია. არაფერი ისე არ აღელვებს გლეხს, როგორც ქურდულად და ყაჩაღურად მიყენებული ზიანი. სოფლის მეურნე კიდეც ურიგდება სტიქიურ უბედურებას, რადგან სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლა მას ხშირად არ შეუძლია. მაგრამ ის ვერ ითმენს ქურდობას, მძარცველობას და ავკაცობას.

ამიტომაა, სხვათა შორის, რომ გლეხი თავგამოდებული მომხრეა რევოლიუციურ კანონების, ამიტომაა, რომ მას მოსწონს მთავრობის მაგარი ხელი, რომელიც სდევნის სოფლის ყველა ხორცმეტებს და გარეწრებს.

შემოდგომის დადგომისთანავე, როგორც ჩვეულებრივათ, ქურდ-ბაცაცობამ სოფელში იმატა. გაგრის მაზრაში, ს. ალახაძიდან იტყობინებიან, რომ ძარცვა-გლეჯამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. გლეხები იმდენად დაშინებული არიან ქურდებისაგან, რომ ლიბ-სახანი თავლებში აქვთ გადატანილი და ღამეს საქონელთან ათევენ.

ასეთივე ცნობებია შორაპნის მაზრის ს. ხარაგოულიდან. იმ რაიონში, როგორც კორესპონდენტი „დაფიქრებული“ სწერს, უკანასკნელი ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ბოროტმოქმედებებს:

„ამ ერთი თვის წინად, იტყობინება „დაფიქრებული“ ს. ზაზალეთში მცხოვრებს მანოილ ჰიპაშვილს, ეზოდან მარჩენალი ძროხა მოჰპარეს. 11 ოქტომბერს ს. ლაშიში მთლიანად „გასწმინდეს“ რკინის გზის მუშის კირილე დიდიძის ოჯახი. ასე გასინჯეთ სამუშაო ტანისამოსიც კი აღარ შეარჩინეს. 14 ოქტომბერს ს. ფარცხნალში გაქურდეს ნოე აბაშიძე. ქურდების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ზეზე მყოფებსაც აღარ მოერიდნენ და, როდესაც აბაშიძის ოჯახი აივანზე სიმინდს არჩევდა, უკანა ფანჯრებიდან გადმოსულნი ქურდები თავის საქმეს აკეთებდნენ“.

ასეთი შინაარსის წერილები სხვა სოფლებიდანაც ბევრი მოდის. რას მოწმობს ყოველი ეს? აშკარაა, რომ აქა-იქ სოფლის ბაცაცებმა თავი წამოჰყვეს. რა თქმა უნდა ამ მოვლენის მიზეზების ძებნა შორს წაგვიყვანდა. აშკარაა ერთი რამ, ქურდების წახალისებას, სხვა მიზეზებს შორის, უთუოდ ხელს უწყობს ადგილობრივ ხელისუფლების სისუსტე, დამნაშავეთა გასამართლების გაჭიანურება, დამნაშავეთა ხელის დაფარება და სხვა.

არის შემთხვევები, როცა გლეხმა აშკარად იცის, ვინც სჩადის ასეთ საზიზღრობას, მაგრამ ენა ვერ დაუძრავს, რადგან ეშინია, მხილებულმა რაიმე უბედურება არ შეჰყაროს. ან გადასწვას, ან ჩაუსაფრდეს და მოჰკლას, ან საქონელს დაუზიანებს, ან ნათესებს გააფუჭებს და სხვა და სხვა. აქ ადმინისტრაციამ უნდა გამოიჩინოს ხელი. მან უნდა დაანახვოს გლეხკაცობას, რომ დამნაშავე დაუსჯელად არ დარჩება, რომ გამჟღავნებულ ბოროტმოქმედიდან გამჟღავნებელს ზიანი არ მიადგება.

ვიმეორებთ, ყველაფერი ეს დამოკიდებულია ხელისუფლების და სოფლის მოწინავე მოსახლეობის ინიციატივასა და ფხიზლობაზე. თუ ეს პირობა შესრულებული იქნება, ქურდ-ბაცაცები ვერ გაიხარებენ სოფელში.

ბ. გ—ლი.

„თერგის ხევი“

(წერილი დ. ყაზბეგიდან)

დუშეთის მაზრაში არსებობს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა „თერგის ხევი“, რომელსაც აქვს განყოფილებები: ყაზბეგში, ფასანაურში და თრუსოში (კობის რაიონი).

კოოპერატივს ევალება მეცხვარეობის დარგის გაუმჯობესება, საბალახოების საკითხების მოგვარება, ზაფხულობით ყაზბეგ-ფასანაურ-კობის რაიონებში და ზამთრობით ყიზლიარში.

ყიზლიარის ოლქში მუდამ მეტად მწვავედ სდგას საძოვრების საკითხი. მთიულეთის და ხევ-ოსეთის ცხვარს ამ ზამთრისათვის თითქმის სრულიად არ უშვებდა დაღესტნის რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატი, რომ საქმეში არ ჩარეულიყვნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი. არც ამის შემდეგ დააკმაყოფილეს მთლიანათ საძოვრებით ჩვენი ცხვარი. „თერგის-ხევი“-ს გამგეობა ისევ თხოულობს დახმარებას საქართველოს მთავრობისაგან.

გამგეობის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე წევრთათვის საჭირო საქონლის მიწოდება და მის ნაწარმოების მატყლის გასაღება. „თერგის ხევმა“ საზოგადოება „შერსტის“ წარმოკავშირის საშუალებით ჩააბარა წარსულ ზაფხულში 10.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი და ახლაც „სოფლის-კავშირის“ საშუალებით იმავე „შერსტს“ უნდა ჩააბაროს 8.000 ფუთი კრავილი და შემოდგომის მატყლი. „თერგის-ხევს“ უკვე დამზადებული აქვს 5000 ფუთი კრავილი და შემოდგომის მატყლი, რომლის მიღებას საზოგადოება „შერსტი“ უკვე აწარმოებს.

მეცხვარე.

წერილებიდან

დ. კულაში, (ქუთ. მ.)

—**თავნება თავმჯდომარე.** აქაურ თემაღმასკომის თავმჯდომარე დ. შენგელიამ ამას წინათ თავის ნებით დაატყვევა სრულიად უდანაშაულო 95 წლის გლეხი კვირიკაძე. საზოგადოთ შენგელია ცნობილია მისი თავგასულობით მთელ თემში. მაზრაღმასკომმა ასეთ უპასუხისმგებლო თავმჯდომარეს შესაფერისი ადგილი მიუჩინოს.

ჩხენიშელი.

ზეკარის თ., (ქუთ. მ.)

— **ჩამორჩენილი თემი.** ზეკრის თემის ს. ხანის სკოლა შეუკეთებლობის გამო და იმიტომ, რომ მასწავლებელი არ დაუნიშნავთ, დაკეტილია. სამკითხველოც დაკეტილია, რადგან გამგე არ არის. გაზეთები ნახევარი იკარგება. რაც მოდის ისიც 10 დღით იგვიანებს. კოოპერატივი ხშირად მიკეტილია. თემში გავრცელებულია ყაჩაღობა. საჭიროა მაზრამ აქეთ მეტი ყურადღება დაიჭიროს.

ხანელი.

სოფლის ქრონიკა

— **საზ-ბა „კახეთიდან“** თელავის აღმასკომმა შეიძინოს სათბური, მარანი და შენობა, ღირებული 10.000 მ.

— **მერეთის, ხვრას და ალაიანის** მამულები გადადის გორის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში.

— **საავადმყოფო.** ახალციხის სამაზრო საავადმყოფოში 1 იანვრიდან ოქტომბრამდე გატარდა 421 მწოლარე ავადმყოფი.

— **დუშეთის** აღმასკომმა დაადგინა სოფ. [illegible] გადაიტანოს ობისის შრომის სკოლა.

— **მიწა სკოლას.** სოფ. იანეთის 4 წლიან შრომის სკოლას გადაეცა მიწის ნაკვეთი პრაქტიკულ მუშაობისათვის.

მუშათა ცხოვრება

საჭიროა ამ საქმეში დაეხმაროს ალმასკომი

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ლ. დუმბაძის ქ. № 24 აიღო სახლები სტამბის მუშებისათვის. უწინ ეს სახლები ეკუთვნოდა მ. ნუზაროვს და ეჟ. ელიავას. 1925 წელს მოქ. ელიავამ ეს სახლები მიჰყიდა ვინმე [illegible]. შემდეგ სახლები გადავიდა ნ. არუთინოვის ხელში, რომელიც მხოლოდ ქირების ასაკრეფად მიდიოდა აქ. უკანასკნელისთვის [illegible] არა ერთხელ მიუმართავთ რომ სამზარეულოს და ფეხსადგილებს ესაჭიროებოდა შეკეთება. თვით სახლსაც კაპიტალური შეკეთება სჭირია. სტამბის მუშებს ამის საშუალება არა აქვთ და ამის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან ისინი.

ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ აღნიშნული სახლები გადაეცეს კოოპერატიულ ამხანაგობას, რომელმაც უნდა შეაკეთოს სახლები და იზრუნოს აქა მცხოვრებ მუშებზე. იმედია, ამაში ალმასკომი დაგვეხმარება.

სტამბის მუშა.

საქართველოს სახელგამის თანამშრომლები „ზაჰესში“

ა.-წ. 17 ოქტომბერს საქართველოს სახელგამის თანამშრომლები, რიცხვით 16 კაცი ადგილკომის წევრების ამხ. ა. ბუთხუზის და ა. მაწუკოვის ხელმძღვანელობით გაემგზავრენ საექსკურსიოდ „ზაჰესის“ მუშაობის დასათვალიერებლად. დღის 11½ საათზე ექსკურსია უკვე დანიშნულ ადგილზე იყო.

ექსკურსიამ დაათვალიერა ყველა საინტერესო მხარეები „ზაჰესის“ ჰიდრო-ელექტრონული სადგურისა. განმარტებული იყო სადგურის მნიშვნელობა და აგრეთვე მუშა-ხელის სიძლიერე, რომელიც ქმნის ასეთ დიდ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეს.

„ზაჰესის“ მოწყობილობამ, ტეხნიკამ და მუშაობის სიდიადემ, წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენ ექსკურსანტებზე.

შემდეგ ექსკურსია გაემგზავრა მცხეთაში და დაესწრო მცხეთის რკინის ახალი ხიდის გახსნას.

ხიდი კოხტა და მოხდენილ ადგილას არის აგებული და ზედმეტად კარგი და თვალსაჩინო ნამუშევარია. გავისეირნეთ შიგ მცხეთაშიაც. და ახალ ხიდთან გავშალეთ ჩვენი პროლეტარული სუფრა, საუზმე—სადილით. სუფრაზე უკრავდენ გიტარას, ჩანგურს და მღეროდენ ექსკურსანტები.

დიდად ნასიამოვნები ექსკურსანტები საღამოს 7½ საათზე უკვე თბილისში ვიყავით.

სასურველია ასეთ ექსკურსიებს ხშირად მოაწყობდეს ადგილკომი.

დამსწრე.

სახალხო მსახიობის ნ. გოცირიძის საპასუხოდ

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სახალხო მსახიობ ნ. გოცირიძის წერილის შესახებ „კომუნისტი“ № 212 თბილისის პოლიტგანი გაუწყებთ შემდეგს:

ბიბლიოთეკა, რომელზედაც ნ. გოცირიძე სწერს, ეკუთვნოდა სახალხო სახლის ქართულ დრამას. 1923 წელში დრამა დაიშალა და თავის მემკვიდრედ დასტოვა საქართველოს პროლეტკულტი, რომელსაც ოფიციალურად გადასცა თავისი მოძრავი ქონება და მათ რიცხვში წიგნთ საცავიც. 1924--25--26 წლების განმავლობაში ბიბლიოთეკას პატრონობდა და განაგებდა პროლეტკულტი. როდესაც პროლეტკულტის ლიკვიდაცია მოხდა, წიგნთსაცავის შკაფი, როგორც ნივთი, გადატანით, ხოლოდ წიგნები დატოვებით ეზოში. ამის შესახებ ცნობა მიიღო წითელი თეატრის გამგემ, რომელმაც თავისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ გადაიტანა წიგნები წითელი თეატრის შენობაში, სადაც ამჟამად ინახება. ეს ამბავი ეცნობა ყოფილ დრამის წევრებს და მათ რიცხვში ნიკო გოცირიძესაც.

თბილისის პოლიტგანის გამგე კ. ზერიძე.

ფეხბურთი

სპარსეთის გუნდის მოწვევა

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ მოიწვია სპარსეთის (თეირანის) ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც რამოდენიმე მატჩს ჩაატარებს ბაქოში.

სპარსელი ფეხბურთელების ჩამოსვლა მოსალოდნელია ნოემბრის პირველ რიცხვებში.

„დინამო“—„არსრაიონი“

კვირას, 24 ოქტომბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „დინამო“-ს და არსენალის რაიონის პირველი გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

მატჩი დაიწყება დღის სამნახევარ საათზე.

„მელითონე“—„მესტრანი“

პარასკევს, დღის 3 ნახ. საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „მელითონე“-ს და ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა გუნდის—„მესტრან“-ის შეხვედრა პროფკავშირების გუნდების პირველობაზე.

„დურუჯი“ II—„ზარია“

შაბათს იმავე მოედანზე გაიმართება „დურუჯი“-ს მეორე გუნდის და „ზარია“-ს კალენდარული შეხვედრა პირველობაზე.

„დურუჯი“-ს მეორე გუნდი წელს გადახალისებული და შევსებულია ახალი მოთამაშეებით.

კულტურული მუშაობა კოლოფების ქარხანაში

კოლოფების ქარხანა **„ინტერნაციონალი“-ს** კულტკომისიამ 13 ოქტომბერს გამოუშვა კედლის გაზეთი „წითელი მეკოლოფის“ № 10.

კედლის გაზეთში არის შემდეგი განყოფილებები: **მომჭირნეობის რეჟიმის გატარება, ჩვენი ცხოვრება, პარტცხოვრება, წითელი ჯარის ცხოვრებიდან და სხვა.**

კედლის გაზეთი, საერთოთ, როგორც შინაარსით, აგრეთვე გარეგნული სახით კარგია.

მიმდინარე სეზონში კულტ-კომისიამ თავისი მუშაობა გააფართოვა — ზაფხულის პერიოდთან შედარებით.

კულტ-კომისია თავის ყველა დადგენილებებს ცხოვრებაში ატარებს. ქარხანაში უკვე შესდგა სია იმ მუშებისა, რომლებიც არიან წერა-კითხვის უცოდინარნი და მცირე მცოდნენი; ეს სიები უკვე გადაგზავნილია სათანადო ადგილას მათ სკოლებში გასანაწილებლად.

აქ სასურველია, რათა მათი სკოლებში განაწილება დაუგვიანებლად მოახდინონ, რომ შარშანდელი სურათი (დაგვიანებით სკოლების გახსნა) არ განმეორდეს.

კულტკომისიამ დაარსა მუშებისათვის—ფეხბურთელთა გუნდი; შეძენილია წითელ კუთხეში ორი სათამაშო „ჭადრაკი“ და ორიც „ნარდი“. სადაც მუშები დასვენების შემდეგ ერთობიან. წითელი კუთხე დასვენების მხრივ დიდი დახმარებას უწევს მუშებს. იქვე არის გამართული პატარა ბიბლიოთეკა და სამკითხველო, სადაც მოიპოვება ყოველნაირი ჟურნალ-გაზეთები.

მუშებს გამოწერილი აქვთ: **„კომუნისტი“**—27 ცალი, **„მუშა“** 6 ც., **„ზარია ვოსტოკა“** 23 ც., **„რაბოჩაია პრავდა“**—39 ც., **„მარტაკოჩი“**—5 ც.

საჭიროა კულტკომისიამ ფართო კომპანიები ჩაატაროს მუშებში გაზეთების გამოსაწერად. საჭიროა აგრეთვე ხშირად იმართებოდეს ლექციები მუშებში როგორც ქართულ ენაზე, აგრეთვე რუსულ ენაზედაც.

კულტ-კომისიის მუშაობა მიმდინარეობს ადგილობრივი ქარხკომის თავმჯდომარის დახმარებით.

მუშკორი ვანო.

მუშათა წერილებიდან

— **მუშაობა ფერხდება და ზედმეტი ხარჯებიც არის.** სად. ნავთლუღში მუშაობს 4 ორთქლმავალი, დღე და ღამის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ისინი ვერ იმარაგებენ საჭირო მასალას, როგორიც არის: წყალი, მაზუთი და სხვა. ეს იწვევს მემანქანეთა შორის ზედმეტ მუშაობას. საჭიროა რკინის გზის სამმართველომ და ადმინისტრაციამ განსაზღვროს დრო ორთქლმავალთა მაზუთის და წყლის ასაღებად, თორემ ეს ზედმეტ ხარჯებს იწვევს და მუშაობაც ფერხდება.

მუშკორი შავსოფლელი.

— **გამოიყვანეთ აუტანელ მდგომარეობიდან.** ქ. ქუთაისში შ. რუსთაველის ქუჩაზე № 27-ში სცხოვრობს ვინმე ჭილაია და ხაჟია, რომელთაც ხელზე მოსამსახურეები ჰყავთ აყვანილი. (ქალებია). ეს უკანასკნელნი აუტანელ მდგომარეობაში არიან. ამას წინად მოქ. ჭილაიას ცოლმა სცემა კიდეც ხელზე მოსამსახურეს.

საჭიროა მოჯამაგირეთა კავშირმა დაიხსნას [illegible] ადამიანთა ბრჭყალებიდან უმწეო მოსამსახურენი.

— **კულტმუშაობა მოისუსტებს.** სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის მუშათა კლუბში ამ უკანასკნელ ხანებში კულტმუშაობა ძალზე მოისუსტებს. აქ დაარსებული იყო ქართული დრამწრე და სხვა, მაგრამ ამჟამად კლუბი გამოკეტილია და არავითარი კულტმუშაობა არ სწარმოებს.

საჭიროა კულტ-კომისიამ და ადგილკომმა ითაოს ეს საქმე და გააცხოველოს კულტურული მუშაობა.

მუშკორი რადიუმი.

მუშათა ქრონიკა

გინეკოლოგიურ ინსტიტუტში

— **გინეკოლოგიურ ინსტიტუტში.** აღნიშნულ ინსტიტუტის ადგილკომმა გააგზავნა შვიდი კაცი და ამ მოკლე ხანში კიდევ გააგზავნის რამოდენიმეს დასასვენებელ სახლებში.

— **სასურსათო საწყობის შეკეთება.** ამავე ინსტიტუტის მომჭირნეობის კომისიამ დაადგინა აუცილებლად შეკეთებული იქნეს ინსტიტუტის სასურსათო საწყობი.

— **შვებულების საკითხი მოწესრიგდა.** ამავე ინსტიტუტის [illegible] განყოფილების მუშებს და მრეცხავ ქალებს მიეცათ მორიგი თითო თვის შვებულება.

— **სპეცტანსაცმელები დაურიგდათ.** ამავე ინსტიტუტის [illegible] განყ. მუშებსა და მრეცხავ ქალებს, ადგილკომის დახმარებით დაურიგდათ სპეცტანსაცმელები.

— **ხარჯების შემცირება.** ამავე ინსტიტუტში მოიხსნა სამი განყოფილება 40 საწოლით, რითაც შემცირდა ხარჯები 5.000 მან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.

მდივანი ფანცულაია.

— **დღეს, 21 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე** ს. კ. პ. (ბ) ცკ-ს აგიტპროპში მოწვეულია არის მეთოდ-ბიუროს სხდომა; დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის: სულაქველიძე, დუდუჩავა, ხუნდაძე, ბუდილიევი, ალავერდიანი, კვიცარიძე, თათარიშვილი, მეძმარიაშვილი, ჯაფარიძე, ორახელაშვილი (გ. კომ.), შუშანია, ხაჭაპურიძე, მაჟავარიანი და ხითაროვი.

ს.კ.პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპის მდივანი მამალაძე.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო ამით აცხადებს ცალკე უჯრედების წევრთა საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 21 ოქტომბერს დღეს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია აღნიშნულ უჯრედთა არაჩვეულებრივი [illegible] კრება.

დასწრება სავალდებულოა.

— წინადადება ეძლევათ ამხ. ამხ. 1. სტრუჩილინს სტეფანე მიხეილის ძეს და 2. ახალკაცს მიხეილ ლეონის ძეს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ცკკ-ში.

ც. კ. სტლ. ქ-განყ. მდივანი: შავლიაშვილი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე.

1) ქართული ჯგუფი — აგიტპროპ მუშაკის კაბინეტში.

2) სომხური ჯგუფი — მესამე რაიონის პარტკლუბში.

3) რუსული ჯგუფი — განათლების მუშაკთა სახლში.

თბ-ლისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება

— პარასკევს, 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ყოფილ ბავშვთა სახლის შენობაში (პლეხანოვის, 100) შესდგება № 24 კომუჯრედის ლენ-რაიონის მუშაკთა კავშირის ღია კრება.

დღის წესრიგშია ამხ. გოგოძის მოხსენება საზოგადოებათ - მეცნიერების სკოლებში სწავლების შესახებ.

მოხსენება წაკითხული იქნება რუსულ და ქართულ ენაზე.

საქ. კომპარტიის ლენრაიკომის საქმეთა მმართველი აკოპოვი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი განმეორებით შეაგონებს და კატეგორიულად აძლევს წინადადებას ქვემოსენებულ ამხანაგებს, რომ გამოცხადდნენ რაიკომის საღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში.

1. ავაკოვი სტეფანე, 2. აგულოვი ლუკა ს., 3. ზმიაპარაშვილი გიორგი დ., 4. ალექსანდროვი ვლადიმერ ა., 5. ალბერიხი კარლ ა., 6. ალხაზოვი შაულუ ა., 7. ალშანსკი ანტონ ქ., 8. ანიშჩუკი არკადი მ., 9. ანთაძე სერგო ქ., 10. ასანაშვილი გიორგი ლ., 11. არუთინოვი ისააკ ა., 12. აბერტიანცი სირანუშ გ., 13. ბაიანდურაშვილი კონსტანტინე ს., 14. ბირიუკოვი ივანე პ., 15. ბეგჯანოვი გიორგი, 16. ბერიძე სერგო დ., 17. [illegible]წაძე გიორგი ტ., 18. ვოლკოვი ვლადიმერ ა., 19. ვოლეინი ალექსანდრე ლ., 20. გვალია [illegible] ა., 21. გიორგობიანი თეოფილე რ., 22. გეორკოვი მკრტიჩ გ., 23. გოხაძე ვასილ მ., 24. [illegible]ულიაშვილი ნიკოლოზ დ., 25. გუნცაძე-ლომაძე ალექსანდრა ა., 26. დავიდოვი სერგო ა., 27. [illegible]ალნაია სოფიო ი., 28. დანელაშვილი ლიდია [illegible], 29. დაოახველიძე გიორგი ი., 30. დათუნაშვილი აგნი ი., 31 ზავიტაევი ნიკოლოზ ა., 32. [illegible]ლიევი ძალია, 33. ინასარიძე მიხეილ, 34. იორდანიშვილი ანდრია ი., 35. კალაშნიკოვისა ანნა ი., 36. კალანტაროვი ივანე მ., 37. კანაევი პავლე ე., 38. კაზასოვი იოსებ ვ., 39. კაპანაძე გიორგი ფ., 40 კარაპეტოვი ივანე ბ., 41. კარაკოზიანცი კარაპეტ მ., 42. კვალნიკოვისა ეკატერინე ა., 43. კილოსახიძე ვასილ ვ., 44. კოლესნიკოვი მიხეილ [illegible], 45. კოჰიევსკი კაზიმირ ქ., 46. კოტრიანცი გიორგი ა., 47. კოჯიევი ნიკოლოზ ი., 48. [illegible]ოვი ვლადიმერ მ., 49. მალინინისა ალექსანდრა ა., 50. მიკირტუმოვი ლივან ე., 51. მურადოვი სირანუშ მ., 52. პალლერი მათე ი., 53. პიტერი თევდორე ქ., 54 პუტნე რობერტ ი., 55. სარქისიანი აშოტ გ., 56. საოქისოვი ავეტის ქ., 57. [illegible]კიბინისა ანნა ს., 58. სიროტკინი ნიკოლოზ მ., 59. სორძე სერაფიონ პ., 60. სიხაშვილი ზაქარია [illegible], 61. სევერიუხინი ნიკოლოზ ს., 62. სტეპანოვი ნიკოლოზ მ., 63. სულიმოვისა ალექსანდრა ა., 64. თაიაძე ანდრია ი., 65. რატანაშვილი გაბო ი., 66. ტარასოვი პეტრე ნ., 67. თარხანოვი გიორგი ე., 68. ტრაპაიძე ზავედი ს., 69. ხოდარიძე მეთოდე ი., 70. ხრისტოლიუბოვი მიხეილ მ., 71. [illegible] პანტელეიმონ ს., 72. ჭანტურია დიმიტრი [illegible], 73. ჭანტურია ისიდორე ს., 74. [illegible]ილიძე მიხეილ ა., 75. [illegible]აიხოვი იაკობ ა., 76. შევჩენკო ლუბა ე., 77. შენგელია ვასილ ბ.

მდივანი ფანცულაია.

საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილების გამგე გოგოლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული ძმა კირილე გიორგისძე, რძალი მარიამ (პაშა) გრიგოლის ასული იოსელიანები შვილებით: გიორგი, ელენე, ვალიკო, ნუცა, მერი, ლიზა და სიძე ბორის ვესელაგისძე შენგელიძე, დისწული ალექსანდრა (საშა) ტიმოთეს ასული და პეტრე ხარლამპისძე ტუროვეცი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას

აგრაფენა კონსტანტინეს ასული ზარნეპაუს (ოლდენბურგსკისა)

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება 21 ოქტომბერს დღის 3 საათზე საკუთარ ბინიდან საფირჩხის სასაფლაოზე ქ. ქუთაისში ქვ. 263

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 21 ოქტომბერს, ბარიტონ გორელოვის პირველი გამოსვლისათვის

რიგოლეტო

მონაწ. ილებენ: კალანდაძე, ვოლჩანეცკაია, კანცბურგი, გორელოვი, მესხიაევი და სხვ.

პარასკევს, 22 ოქტომბერს, მე-2 აბონიმენტის 1-ლი წარმოდგენა **აიდა**

შაბათს, **დემონი**

ნ. 101

აპოლო
არფასტო
სოლეი

სახკინმრეწვის საუკეთესო სურათი

აბრეკ-ზაურ

კინო მოთხრობა 10 ნ. (კავკასიის ახლო წარსულიდან)

უმთ. როლებში გ. გუნია, ნ. შენგელაია, ნ. საპოვი, გ. ჩიჩელაშვილი, ა. თაყაიშვილი, განტარინისა, აგანბეკოვისა

„მეჟრაბპომ რუსის" საუკეთესო სურათი

„პროცესი სამი მილიონის შესახებ"

უმთ. როლებში—იგორ ილინსკი, ჟიზნევისა, კტოროვი კლიმოვი

სიმფონიური ორკესტრი.

ანონსი: მალე სახკინმრეწვის ახალი სურათი „ბაფლანგვა"

ნ. 1833 0—18

იბეჭდება —

შალვა გომართელი
ფარსულის ხვეულებში

(რევოლიუციონური მოთხრობა)

251 ფასი 50 კაპ.

მაპოვნელს ჯილდო

რუსთველის პრ. ლალიძისა და „ზაკკნიგას" მაღაზიას შუა **დაიკარგა** თბ. სახ. უნივ. წიგნაკი (მატრიკული) გიორგი ნოესძე მგალობლიშვილის სახელზე, მპოვნელი მიიღებს ჯილდოს. ჩემი მისამართი სასახლის ქუჩა № 5 საავთიაქო სამმართველო. ქვ. 269

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი შუხმანი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

საქართველოს სახ. კინო-მრეწველობის მორიგი ახალი სურათი

ბაფლანგვა

ნ. 103. რეჟისორი პერესტიანი. ოპერატორი ა. ი. დიგმელოვი.

ა.-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს, რომ 1926 წ. 5 ნოემბერს, დღის 12 საათზე ქ. თბილისში გზის განყოფილების სამოქალაქო ნაშენთა ნაწილის შენობაში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 73)

შესდგება

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიცემა სამუშაოები შემდეგ შენობათა ასაგებად: ყინულის ქარხანა და საცივებელნი ა | კ. რკინის გზ. სადგურ სამტრედიაში, შენობათა საერთო სივრცე უნდა უდრიდეს 46×19= (დაახლოვებით) 875 კვ. მეტრს; შენობის კუბატურა დაახლოვებით 6560 კუბ. მეტრი. შენობების აგება ხდება რკინა-ტინობით და შეიცავს შემდეგ სამუშაოებს.

1. რკინა-ტინობის ტიხრები, ბოძები და სახურავები—460 კუბ. მეტრი.
2. ტინობის კედლები (ღრუა ქვებიდან 15 სან.× 10 სან.×70 სან.) და იატაკები—320 კუბ. მეტრი.
3. კორპის იზოლიაცია—1900 კვ. მეტრი.
4. ხიმინჯების ჩასობა—360 ცალის.
5. მიწის სამუშაო—270 კუბ. მეტრი.

განცხადებები დახურულ კონვერტებში ვაჭრობაზე მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა ჩაავდონ განსაკუთრებულ ყუთში, რომელიც მოთავსებულია მეორე სართულზე გზის განყოფილებაში. განცხადებების მიღების ვადაა ა. წ. 5 ნოემბრის დილის 5 საათამდე.

განცხადებაზე დართული უნდა იყოს ქვითარი იმის შესახებ, რომ ა. კ. რკინის გზათა სამმართველოს ცენტრალურ სალაროში (სადგ. ქუჩა № 1) შეტანილია გირაოს სახით წარმოდგენილი ფასის 10 პროცენტის რაოდენობით ან მოწმობა საბჭოთა კავშირის კანონების მიხედვით გირაოს შეტანიდან განთავისუფლების შესახებ.

ფასები ნაჩვენები უნდა იქნეს ორი ვარიანტით:

ა) გზის ყველა მასალებით, გარდა კორპის იზოლიაციისა და

ბ) კონტრაგენტის ყველა მასალებით.

ორივე შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს კარიერები ხრეშისა და სილისათვის, ასეთების გადაზიდვით გზის სამსახურების ცხრილის მიხედვით.

დაწვრილებითი ნახაზების მიღება და ტეხნიკურ პირობების გაგება შეიძლება გზის განყოფილების სამოქალაქო ნაშენთა ნაწილში სამუშაო საათებში დილის 9-დან 3 სთ. საათამდე კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 73, სხვა ქალაქებში მცხოვრებთ საჭირო მასალები ფოსტით გადაეგზავნებათ.

გამგეობის წევრი ტეხნიკური ნაწილიდან,
ინჟინერი: **გვერდწითელი**

3—1 ნ. 97

იყიდება

მველი ეტლები, თვლები და სხვადასხვა ნაწილები

დათვალიერება შეიძლება 10—12 საათამდე ყოველდღე უქმეების გარდა მალაკნის ქ. № 48, ეზოში

მოქ. ი. მებრეშიშვილთან

განცხადებები მიიღება ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველოში რუსთაველის გამზ. № 10 ტელეფ. 6—78.

ნ. 79 3—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 25 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 10, უგოლნი (ნახშირის) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სერგო გოდბაშიანცის მოძრავ ქონებას: ქვასის სახარშის მოწყობილობა: ბოჩკები, ვედროები, ბოთლები და სხვ. შეფასებულს 155 მანეთად, საბჭოთა მუშაკების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 3588 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

262

საქ. სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოსთან არსებული

მაუდის ფაბრიკის ამშენი კომიტეტი

ამით იუწყება, რომ საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს ტეხნიკური განყოფილების შენობაში, პუშკინის № 3 დანიშნულია **ვაჭრობა** გაერთიანებული კომვოლისა და მაუდის ქარხნის მთავარი კორპუსის შენობის ასაგებად.

ვაჭრობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

ხელშეკრულებაში შეტანილი იქნება შემდეგი სამუშაოები:

1. ქვისა და ტინობების,
2. რკინა-ტინობების.
3. სადურგლო.
4. სამჭედლო-საზეინკლო.
5. სახურავის.
6. შეღებვის.
7. საფეიქრო.
8. წყალსადენის და კანალიზაციისა.

იმ პირთ, რომელთაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, შეუძლიათ გაეცნონ ფაბრიკის შენობის პროექტებს, კომიტეტის კანცელარიაში, ყოველ დღე, დასვენების გარდა დილის 10 ს. 2 საათამდე, 27 ოქტომბრიდან კი შეუძლიათ კონდიციების მიღება

2—1 ნ. 102 მაუდის ფაბრიკის ამშენი კომიტეტი

მეურნეთა საყურადღებოდ

საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურს დამზადებული აქვს მიმდინარე სეზონისათვის წმინდა კულტურის დედოები, (შამპანიური „აი" და „შტეინბერგ"-ი), ღვინის და ტკბილის ანალიზისათვის 1 | 3 1 | 10 № ხსნარი და სხვა დამხმარე რეაქტივები.

სადგურში არის აგრეთვე 140.000 ნამყენი ვაზი ადგილობრივ ჯიშისა. გარდა ამისა სადგური იღებს შესასრულებლად ყოველგვარ ანალიზებს.

საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის გამგე: **გ. მგალობლიშვილი**

ქ. ზესტაფონი 260

ქუთაისში

ექიმი ჩიჩილაშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ქავჟაძის ქუჩა № 9

მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 13—

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე. ქალების მიღება 1—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

13—21

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 48 მოცემული რაჭის სამხედრო კომისარიატიდან პარმენ ალექსისძე მოქუჯაძის სახელზე, ჩ. გ. 260

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 458, მოცემული სიგნალის პროფკავშირისაგან, კოტე მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 261

დაიკარგა ღვინის გადასატანი მოწმობა № 10474, შედგენილი 4 დეკემბერს 1925 წელს დავით პეტრიაშვილის სახელზე, მოწმობაში იყო აღნუსხული 6 კასრი ღვინო რაოდენობით 326 ვედრო. ჩ. გ. 257

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა 4 № 232 აკაკი არსენისძე ქავთარაძის სახელზე, ჩ. გ. 259

დაიკარგა საბინაო წიგნაკი ხივის შესახვევი № 2 ეკატერინე ავეტიკას ასულის უმბრიევის სახელზე, ჩ. გ. 265

დაიკარგა თბილისის სამხედრო კომისარიატიდან გაცემული სააღრიცხვო სამხედრო წიგნაკი და საქარის თემიდან მოცემული პირადობის მოწმობა ვასილ ირაკლისძე აბაშიძის სახელზე ჩ. გ. 266

დაიკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი, № 1980 მოცემული ყარაიაზის მიწა-ტყის კავშირიდან გიორგი კაკაბაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 260

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 6700, გაცემული გემოკვების კავშირიდან აკოპა ყადიროვის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 268

დაკარგულია საბინაო დავთარი ანა იმედაშვილის სახელზე, პრიუტის ქ. № 29., ჩ. გ. 264

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 1327 ფორმა № 4 გაცემული გორის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ ვლადიმერ მასურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 263

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2331, გეურქ ხეჩოსძე სარქისოვის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 267

საქართველოს ს.მ.უ.ს. სამთო-ქიმიური კომბინატი „სამთო-ქიმი"

ბალანსი

1925 წლ. 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი.

I. ქონება		
1. შენობანი და ნაგებობანი	157.470—83	
2. გაწყობილობა და მანქანები	45.510—74	
3. იარაღი	1.858—05	
4. ინვენტარი	12.672—26	
5. ტრანსპორტი	2.742—37	
6. ქონება და სხვადასხვა	18.921—55	239.175—80
II. მასალა		
1. წარმოებითი		
ა) ძირითადი	22.855—32	
ბ) დამხმარე	8.758—34	
გ) სათბობი	5.461—86	37.075—52
2. არა წარმოებითი		6.118—29
3. სათადარიგო გაწყობილ. იარაღ. და მანქ. ნაწ.		1.283—19
III. 1. ნახევარ-ფაბრიკატები საწყობში		18.298—93
IV. 1. საქონელი და დამზადებული ნაკეთობა		
ა) საწყობში	19.124—76	
ბ) საკომისიოთ გადაცემული	697 79	
გ) გზაში	4.716——	24.538—55
2. დამზადებ. ნაკეთობა ქარხ. საწყობში		10.200—01
V. ფულადი სახსარი და ფასიანი ქაღალდ.		
1. სალარო და მიმდინარე ან-ში	3.671—01	
2. ფასიანი ქაღალდები	337—07	14.008—08
VI. ანგარიშ-სავალდებულო თანხები		2.841—03
VII. სამისაღებო ვალდებულებანი და დოკუმენტები		
1. სამისაღებო თამასუქები	27.744 93	
2. განაღდებული თამასუქები	30.650—74	58.395—67
VIII. დებიტორები		
1. ავანსი მუშა-მოსამსახურეთ	3.380—28	
2. ავანსი ნარდათ მომუშავეთ და გამყიდველ-მიმწოდებელთ	7.184—24	
3. მყიდველნი	31.587—51	
4. გაცემული საწინდარი	447——	
5. სხვა და სხვა დებიტორები	32.774—09	
6. საეჭვო მოვალენი	304—79	75.677—91
კაპიტალური რემონტი		24.504—84
საწესდებო კაპიტალის შემცირება:		
საბრუნავის	21.092—07	21.092—07
ბალანსი	— ——	533.209—89
ბალანს გარე მუხლები		
მიწა 18.550 კვ. საჟენი	— ——	13.254——

გამგეობის თავმჯდომარე **ელბაქიძე**

პასივი

I. კაპიტალები		
1. საწესდებო:		
ა) ძირითადი	220.287—75	
ბ) საბრუნავი	39.910—93	260.198—68
2. საამორტიზაციო		23.027—61
II. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი		2.204—39
III. სესხი და კრედიტი		
ა) სესხი	32 845—06	
ბ) ბანკებში თამასუქების განაღდებისათვის	30 650—74	63.495—80
IV. გაცემული თამასუქები		4.676——
V. კრედიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	10.633—03	
2. ნარდათ მომუშავენი და გამყიდველ-მომწოდ.	42.144—08	
3. მყიდველთა ავანსები	8.470—52	
4. ფინანსთა სახ. კომისარიატი		
ა) აქციზი, გადასახადი და გამოსაღ.	9.965—83	
ბ) საძირე და მიწის წიაღის სასყიდ.	2.582—30	
გ) ანარიცხი ხაზინის სასარგებლოთ	3.408—78	
5. სხვა და სხვა კრედიტორები	42.271—98	119.476—52
საწესდებო კაპიტალის გადიდება		
1. ძირითადი კაპიტალისა		18 888—05
მოგება საანგარიშო წლისა		41.242—84
ბალანსი	— ——	533.209—89

მთავარი ბუხჰალტერი **მასტიცკი**

მოგების განაწილება

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი	10 %	4.124—28
2. სარევიზიო ფონდი	20 „	8.248—57
3. საშემოსავლო გადასახადი	10 „	4.124—28
4. ანარიცხი ხაზინის სასარგებლოდ	25 „	10.310—71
5. საბრუნავი კაპიტალ. გასაძლიერებლად	35 „	14.435—00
სულ	100 %	41.242—84

ეს ბალანსი განხილულია ს.მ.უ.ს. მთავარ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა ბალანსების განმხილველ კომისიისა და საქართველოს ეკონომიური საბჭოს მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

ნ. 100 საქ. ს.მ.უ.ს. მთავარი ბუხჰალტერი **ჯანელიძე**

მოგებისა და ზარალის ანგარიში

ზარალი.

	%%	
1. სავაჭრო ხარჯები	12,6	5.498—65
2. გამგეობის საერთო ადმინისტრატიული ხარჯები	77,1	33.771 94
3. გადახდილი პროცენტები	10,3	4.505—75
სულ	100,0	43.776—34
4. მოგება საანგარიშო წლის		41.242—84
ბალანსი		85.019—18

მოგება.

	%%	
1. მოგება საქონლისა და ნაკეთების რეალიზაციისა	77,0	65.516—99
2. მიღებული პროცენტი	4,6	3 890—72
3. საიჯარო შემოსავალი	9,5	8 059—43
4. შემთხვევითი შემოსავალი	18,9	7.552—04
	—	—
ბალანსი		019—18

მთავარი ბუხჰალტერი **მასტიცკი**

ბალანსი

საქართველოს სახელმწ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა „გრუზგოსტორგი"-სა

1925 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ ანგარიშების დასახელება	კერძო	საერთო
1. ნაღდი საშუალებანი		
ა) სალარო	32.283—52	
ბ) სახელდახელო ანგარიშები	20.789 52	
გ) უცხო ვალიუტა	272—30	53.345—34
2. ფასიანი ქაღალდები		
ა) %%-იანი ქაღალდ.		17.797—25
3. საქონელი და ფაბრიკატები		
ა) საწყობებში	518.653—15	
ბ) მაღაზიებში	912.229 82	
გ) საკომისიოთ გაცემ.	42.732—69	
დ) გზაში	283.958—80	
ე) სამნეო ნაწილში	3.954—16	
ვ) გადამუშავებაში	45.541—86	
ზ) გირაოს ქვეშ	117.352—20	
თ) შესანახათ გაცემ.	15 146—60	1.939.569—28
4. მასალა და ნედლეულობა		
ა) საწყობებში და სარდაფ.		96.234—68
5. ქონება		
ა) მოძრავი და ტარა		142.966—82
6. თანხები ანგარიშ-ქვეშ		
ა) სამნეო და საოპერაციო		22.879—79
7. თამასუქები		
ა) პორთფელში	66.064—79	
ბ) დახურდავებული	413-642—15	
გ) საკომისიოთ გაცემ.	5.254 65	
დ) პროტესტქნილი	5.140—07	490.101—66
8. დებიტორები		
ა) სხვადასხვა პირნი და დაწ.	316.375 06	
ბ) დანარჩენი დებიტორ.	20.718—34	337.093—40
9. გარდამავალი თანხები		10.014—29
10. მომავალი წლის ხარჯები		
ა) საორგანიზაციო	27.567—14	
ბ) სხ. და სხ. სავაჭრო	26.605—70	54.172—84
ბალანსი		3.164.175—35
ბალანსის გარე ანგარიშები		
განყოფილებანი	511.862—84	
საკომისიოთ міღ. საქონელი	20.080—72	

გამგეობის თავმჯდომარე **ნ. მ. ამირალოვი**

პასივი

№№ ანგარიშების დასახელება	კერძო	საერთო
1. კაპიტალი:		
ა) სააქციო		516.158 84
2. თანხები		
ა) საამორტიზაციო		15.718—47
3. სესხები		
ა) საქონლის გირაოს ქვეშ	140.134—58	
ბ) დახურდ. თამასუქ.	413·642—15	553.776—73
4. თამასუქები		
ა) გაცემული		1.505.927—30
5. კრედიტორები		
ა) სხვადასხვა პირ. და	456.127—09	
ბ) დანარჩენი კრედიტ.	369—34	456.496—43
6. გარდამავალი თანხები		19.562—28
7. მოგება საანგარიშო წლის		96.535—30
ბალანსი		3.164.175—35
ბალანსის გარე ანგარიშები		
გამგეობა	511.862—84	
კომიტენტები	20.080—72	

საფინანსო-საანგარიშო განყოფილ. გამგე **ქ. ი. ცისკარიძე.**

მოგების და ზარალის ანგარიში

ზარალი

№№ მუხლების დასახელება	საერთო
1. საერთო სავაჭრო ხარჯები	504.362—73
2. კომისია გაცემული	6 381—49
3. %%-ბი გაცემული	2.166—34
4. ქონების ამორტიზაცია	15.718—47
5. დამტვრეული და გაბათილებული ინვენტარი	517—37
6. საორგანიზაციო ხარჯები (20 პროც.)	4.859—34
7. საქონლის დანაკლისები	16.537—52
8. კურსის განსხვავება	7.774—27
9. გაცემული შეღავათები საქონელზე	90.379—62
10. საქონლის გადაფასების შედეგები	184.438—57
11. არა-საიმედო დებიტორები	7.793—24
12. ტანტიემა (თანამშრომელთა ჯილდო)	13.140—40
სულ	854.069—36
საანგარიშო წლის მოგება	96.535 30
ბალანსი	950.604—66

გამგეობის თავმჯდომარე **ნ. მ. ამირალოვი.**

მოგება

№№ მუხლების დასახელება	საერთო
1. საქონლის ოპერაციები	
2. „ ფასთა სხვაობა	809 980—87
3. ზედმეტათ აღმოჩენილი საქონელი, ინვენტარი და თანხები	93.946—08
4. მიღებული კომისია	11.858—05
5. მიღებული %%	25.868—15
6. კურსის განსხვავება	4.106—31
7. მიღებული იჯარა	9—08
8. დანარჩენი წვრილმანი	3.281—11
	1.555—01
სულ	950.604 66
ბალანსი	950.604—66

საფინ.-საანგარ. განყოფილების გამგე **ქ. ი. ცისკარიძე.**

ეს ბალანსი განხილულია და დამტკიცებულია.

1. სახელმწიფო სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა ბალანსების გამხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ ოქმი № 2. 2 | 7-26 წ.
2. საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ ოქმი № 20, 28 | 8-26 წ.

თანახმად საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა ა | წ. 31 აგვისტოს თარიღით (ოქმი № 31) 1924 საოპ. წლის მთელი სარგებელი მან. 96.535—30 გადარიცხული იქნა ამხანაგობის საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად.

ნ. 78

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68